

The image features a stylized, dark grey coat of arms of Georgia, centered at the top. It consists of a shield with a figure holding a sword, topped by a crown and flanked by two smaller crowns. The shield is supported by two eagle-like figures with large, spread wings. Below the coat of arms, a red silhouette of the map of Georgia is overlaid on a black background. The text is written in white, bold, uppercase Georgian letters across the map.

ჩვეთის
საბერძნეთში
ჰერერობა

ბოკის აკონინი „კონათის სანდგნოროს ისტოკიის“ პინაპვიით

ჩუსეთის საბმდისნენო ჰაიადობა

ბორის აკუნინის ცხრაგომეულის –
„რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ –
გზამკვლევი-კრებული

თბილისი
2023

პროექტის/იდეის ავტორი: მარინა ლომოური

თარგმანი: ირაკლი ლომოური

გამოცემა მომზადდა საბჭოთა წარსულის კვლევის
ლაბორატორიის მხარდაჭერით.

გამოცემაზე მუშაობდნენ: მაგდა ცოცხლაშვილი,
რუსიკო კობახიძე, ირაკლი ხვადაგიანი

© ირაკლი ლომოური, 2023

© მარინა ლომოური, 2023

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-8-5784-3

სარჩევნი

| | |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| კრებულის წინასიტყვაობა, ირაკლი ლომოური | 7 |
| ცხრატომეულის აკუნინისეული წინათქმა | 12 |
| პიჩველი ტომი | |
| ევროპის ნაწილი. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია. საწყისებიდან მონღოლების შემოსევამდე, <i>შესავალი</i> | 15 |
| <i>პირველი ტომის დასკვნა</i> , დასკვნის მაგიერ. შეეძლო რუსეთს, ევროპად დარჩენილიყო? | 19 |
| მეორე ტომი | |
| აზიის ნაწილი. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია. ურდოსეული პერიოდი, <i>შესავალი</i> | 27 |
| <i>მეორე ტომის დასკვნა</i> , ურდოსეული რუსულ სახელმწიფოებრიობაში | 31 |
| მესამე ტომი | |
| აზიასა და ევროპას შორის. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია. ივანე III-დან ბორის გოდუნოვამდე. <i>შესავალი</i> | 41 |
| <i>მესამე ტომის დასკვნა</i> , რუსეთის „მეორე“ სახელმწიფოს ძალა და სისუსტე | 45 |
| მეოთხე ტომი | |
| ევროპასა და აზიას შორის. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია. მეჩვიდმეტე საუკუნე, <i>შესავალი</i> | 51 |
| <i>მეოთხე ტომის დასკვნა</i> , გზის არჩევის წინაშე | 54 |

გეხუთე ტომი

- აზიური ევროპეიზაცია. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
მეფე პეტრე ალექსის-ძე, *შესავალი* 59
- მეხუთე ტომის დასკვნა*, რუსეთი იმპერია ხდება 64

გეექვსე ტომი

- ევრაზიული იმპერია. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
დედოფალთა ეპოქა, *შესავალი* 73
- მეექვსე ტომის დასკვნა*,
მეთვრამეტე საუკუნის შედეგები და გაკვეთილები 78

გეშვიდე ტომი

- პირველი ზესახელმწიფო. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
ალექსანდრე ღვთივკურთხეული და
ნიკოლოზ ნეტარსახსოვარი, *შესავალი* 85
- მეშვიდე ტომი დასკვნა*, „ურდოსეულობის“ ზიგზაგები 90

გეჩვე ტომი

- წამალი იმპერიისთვის. რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
მეფე-განმათავისუფლებელი და
მეფე-მშვიდობისმყოფელი, *შესავალი* 95
- მერვე ტომის დასკვნა*, გამარჯვების ფასი 97

გეცხრე ტომი

- ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
ნიკოლოზ მეორის დროება, *შესავალი* 103
- მეცხრე ტომის დასკვნა*, გაგძელება იქნება 106

| | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| დილეტანტის ჩანაწერები აკუნინის ცხრატომეულზე და სხვა საკითხებზე... მარინა ლომოური | 113 |
| დანართი აკუნინის პორტრეტისათვის – მიხო მოსულიშვილის ესეები და ინტერვიუ HONOR PRIMUM, ALIA DEINDE (ინტერვიუ ბორის აკუნინთან, ანუ გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილთან) | 139 |
| ნაჩქარევი ესკიზი (ბორის აკუნინის, ანუ გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილის პორტრეტისთვის) | 147 |
| აკუნინი პიესას წერს, რომლის მოქმედება საქართველოში ხდება... (თბილისში რომ ჩამოვიდა) | 152 |
| მეორე დანართი: „რუსეთიდან და ბელარუსიდან ჩამოსულ მოქალაქეთა საყურადღებოდ“ | 157 |



ქრეზულის წინასიძყვაობა

ირაკლი ლომოური

წინამდებარე კრებული განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის, უპირველესად კი იმ ადამიანისთვის, ვისაც აწუხებს და აღელვებს საქართველოს ბედ-იღბალი და, შესაბამისად, ამ კონტექსტში, რუსეთის ისტორიაც აინტერესებს – კარგად ესმის, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი მრავალწილ დამოკიდებული იყო და ახლაც დამოკიდებულია ჩვენს ჩრდილო მეზობელზე: მის იმპერიულ პრეტენზიებსა თუ ამბიციებზე, მის აგრესიულ, დამპყრობლურ პოლიტიკასა და მზაკვრულ ქმედებაზე.

ასეთი ადამიანი, ცხადია, დაინტერესდებოდა ბორის აკუნინის (გრიგოლ შალვას-ძე ჩხატრიშვილის) ნაშრომით „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“, მაგრამ რადგან ის ძალზე ვრცელია, ცხრა ტომისგან შედგება, მისი წაკითხვა პრობლემას წარმოადგენს დროის უქონლობის გამო (მრავალტომეული ინტერნეტში ხელმისაწვდომია, უფასოდ დევს – იხილეთ ელექტრონული ბიბლიოთეკები, ვთქავთ, BookZip.ru ანდა LoveRead.ec).

აკუნინის ნაშრომის წასაკითხად კიდევ ერთი – და მთავარი – ხელისშემწეელი ფაქტორია ენა. ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ რუსული ნაკლებად, ანდა სულაც აღარ იცის. მის ნაცვლად ინგლისურის ცოდნა, ერთი მხრივ, სასიკეთო და მისასალმებელ მოვლენად მიგვაჩნია (რადგან ეს ჩვენი ევროპული, პროდასავლური ორიენტაციის გამოხატულებაა უთუოდ), თუმცა, მეორე მხრივ, გულდასაწყვეტია, რომ ჩვენი დამპყრობლის ისტორიული არსის შესახებ დაწერილი სამეცნიერო-პოპულარული, ბელეტრისტული და, იმავდროულად, ანალიტიკური ნაშრომის წაკითხვა ჩვენს ახალგაზრდებს თითქმის აღარ შეუძლიათ (რომ არაფერი ვთქვათ რუსული ლიტერატურისა და კულტურის შედეგებზე, უამრავ საინტერესო და ღირებულ წიგნზე, რომელთაც არამც და არამც არ უარყვოფთ და არ ვაკნინებთ)... არადა, პირველ რიგში, სწორედ ახალმა თაობამ უნდა გაიგოს და გააცნობიეროს, ვისთან გვაქვს საქმე, ვინაა ჩვენი მტერი, – რა ამოძრავებს ამ გეგმა ვეშაპ-სახელმწიფოს, რუსულ „დერჟავა“-იმპერიას...

ერთი სიტყვით, სწორედ ამიტომ გვსურს ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ აკუნინის ნაშრომზე ჩვენს მიერ შედგენილი გზამკვლევი-კრებული, სადაც წარმოჩენილია რუსეთის სახელმწიფოს არსი – მისი სიღრმისეული პარადიგმა.*

წინამდებარე წიგნი აკუნინის ცხრატომეულის თავისებური მიმოხილვა-გზამკვლევაა: თითოეული ტომის შესავალი გავაქართულე, ჩემი სიტყვით გადმოვეცი (ზოგჯერ მცირედი შემოკლებით, ზოგჯერ – საინტერესო ინფორმაციის დამატებითაც). შემდეგ ყოველი ტომის დასკვნები ქართულად ვთარგმნე შემოკლებების გარეშე. აკუნინის დასკვნები სიტყვა-სიტყვით იმიტომ ვთარგმნე, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტებია საკვლევი თემის გააზრების კუთხით – მაქსიმალურად ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ რას ამბობს ავტორი.

ცხრა ტომის შესავლებისა და დასკვნების შემდეგ კრებულში მარინა ლომოურის ვრცელი ესეა, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას აკუნინისა და მის მიერ განხილული თემის – ყბადაღებული „დერჟავული“ იმპერიალიზმის – მიმართ. შემდეგ ორი დანართია: პირველი – მიხეო მოსულიშვილის ესეები და ინტერვიუ აკუნინთან, მეორე – მარინა ლომოურის ლიფლეტის ტექსტი, თუ რა უნდა იცოდეს საქართველოში რუსეთიდან და ბელარუსიდან ჩამოსულმა ადამიანმა (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზეა).

ამგვარად მიმოხილული აკუნინისეული ნაშრომი ქართველ მკითხველს საშუალებას მისცემს მეტ-ნაკლებად ადეკვატური წარმოდგენა შეიქმნას ცხრატომეულის სტრუქტურასა და შინაარსზე, და რაც მთავარია, რუსეთის სახელმწიფოს ისტორიულ პარადიგმაზე, რომელიც მთელი მისი არსებობის განმავლობაში განსაზღვრავდა და ახლაც განსაზღვრავს „დერჟავის“ ცხოვრებასა და სახეცვლილებას.

აკუნინისეული ანალიზი, მის მიერ გამოტანილი დასკვნები, სრულიად ლოგიკური და დამაჯერებელია – მოვლენებს წინ გავუსწრებ და ახლავე მოგახსენებთ, რომ ავტორის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს არსი (ანუ სახელმძღვანელო პრინციპი, პარადიგმა), სხვა არაფერია, თუ არა აზიური მმართველობის წესი – მონღოლ-თათრული ურდოს მოდელი.

* პარადიგმა – იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც კონსენსუსის საფუძველზე აყალიბებს აზრობრივ ჩარჩოსა თუ მოდელს (რედ.შენიშვნ.).

რუსეთის სახელმწიფოებრიობის პარადიგმა აზიური რომაა, აკუნინს არ აღმოუჩინია. დაახლოებით იმავეს წერდა, ვთქვათ, ალექსანდრ ბლოკი 1918 წელს (პირველი ტომში აკუნინს მოჰყავს ციტატა ბლოკის ლექსიდან „სკვითები“, თუმცა აღნიშნავს, რომ სკვითები და მონღოლ-თათრები ერთ-მანეთს, სინამდვილეში, არ ენათესავებოდნენ.).

საინტერესოა, რომ იმავე 1918 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა მსგავსი მოსაზრება გამოთქვა (წერილში „გზა დასავლეთისაკენ“): „...ჩრდილოეთის მომხრენი ვართ თუ აღმოსავლეთისა ან დასავლეთისა, ამის შესახებ დავა და კამათი უნაყოფოა და მავნებელიც. საითაც ქვეყანა ტრიალებს, ჩვენც იქით უნდა ვიბრუნოთ პირი. ხოლო იგი უძლეველის ძალით მიექანება დასავლეთისაკენ. მისი გზა მოსკოვსა და პეტროგრადზე კი აღარ მიდის, არამედ შავ ზღვასა სჭრის და დუნაის ხეობაზე გადადის. გვეყო მოსკოვ-პეტროგრადში გაცხრილულ ევროპულ კულტურით კვება, რომელსაც უფრო მეტი მონღოლური შხამი უტრევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასამელი...“

„მონღოლური შხამი“ – მრავლისმთქმელია...

ამ თემაზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ინტერნეტის ეპოქის მემი – ე.წ. თანამედროვე „ხალხური სიბრძნე“ – გვეუბნება: „ნუ დაიბადები ბედნიერი, არამედ დაიბადე რუსეთისგან შორს“ („Не родись счастливым, а родись подальше от России“). ქართველებს რუსეთის მეზობლობა თანდაყოლილი ჭირივით გვერგო, არადა, ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს ეს გეოპოლიტიკური ფაქტი ბედნიერებად მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია – თუნდაც ედუარდ შევარდნაძის ცნობილი ნათქვამი გავიხსენოთ: „საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“...

იმედია, აკუნინის მრავალტომეულის გზამკვლევი-კრებული დააფიქრებს ქართველ მკითხველს – განსაკუთრებით, ახალგაზრდა მკითხველს. დაეხმარება გაარკვიოს, რუსეთი საქართველოსა და სხვა მეზობელი ქვეყნებისთვის რამდენად სასიკეთო როლს თამაშობდა და თამაშობს? უკრაინასთან რუსეთის აგრესიული, უსამართლო ომის ფონზე ამ კითხვაზე პასუხი, თითქოს, თავისთავად ცხადი და ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს...

არადა, სამწუხაროდ, მრავალი ჩვენი თანამემამულე და მმართველი პარტია აშკარად პრორუსულ პოზიციაზე დგას, რუსული ყბადაღებული

პრობაგანდის ტყეობაშია... აკუნინის მრავალტომეულის გზამკვლევი-კრებულის შედგენის მიზანია – გავიმეორებ – ქართულ საზოგადოებას გავაცნოთ ამ შესანიშნავი ნაშრომის არსი, დავაფიქროთ...

როდესაც ჩემს დას, მარინა ლომოურს გზამკვლევი-კრებულის იდეა გაუჩნდა, დაისვა კითხვა, გვჭირდება თუ არა საავტორო უფლებების შექმნა? გადავწყვიტეთ აკუნინისთვის მიგვეწერა, ნებართვა გვეთხოვა – რამდენიმე მეგობარმა ფეისბუქის მის პირად გვერდზე წერილი გავგზავნეთ. პასუხი, ჩვენდა სასიხარულოდ, მეორე დღესვე მივიღეთ, სადაც აკუნინმა ჩვენი იდეა მოიწონა და შემოგვთავაზა:*

Уважаемые дамы и господа,

..... имеет смысл сделать вот что. Книга будет называться, допустим „Акунинская история российского государства“ или „История российского государства в версии Б. Акунина“. У книги будет автор, который изложит содержание – возможно, с собственными комментариями – и переведет большие фрагменты из оригинала. вам достаточно будет получить от меня разрешение на перевод фрагментов. Это разрешение я могу дать и без агента. Других юридически-финансовых отношений между нами не возникнет.

С наилучшими пожеланиями

Г. Чхартишвили

ცხადია, პასუხის პასუხი ჩვენც დაყოვნების გარეშე დაფუბრუნეთ: აკუნინის ასეთმა გულისხმიერებამ დიდი სტიმული მოგვცა მარინას და მე. გადავწყვიტეთ მაქსიმალურად სწრაფად მოგვემზადებინა გზამკვლევი-კრებული.

ჩვენი მცდელობის შედეგი თქვენ წინაშეა. იმედია, არაერთი ახალგაზრდა (და არა მხოლოდ) მკითხველისთვის აღმოჩნდება საინტერესო და სასარგებლო.

მერე კი აკუნინი, ალბათ, ახალ ისტორიულ წიგნს დაწერს და იმასაც გაგაცნობთ!

ი. ლ.

* წერილის ტექსტი მოყვანილია შემოკლებით (რედ.შენიშვნ.).

P.S.

სანამ ზემოხსენებული ცხრა ტომის შესავლებსა და დასკვნებს წარმოგიდგენდეთ, ერთ შენიშვნას გავაკეთებ: აკუნინი ცხრატომეულში რამდენჯერმე იმეორებს ჩინგიზ-ყაენის ოთხ პრინციპს, რომელიც ჯერ „ოქროს ურდოს“ სახელმძღვანელო იყო, შემდეგ კი რუსეთის “დერჟავის“ პარადიგმად იქცა.

ცხრატომეულს ათი წლის განმავლობაში წერდა, ყოველ ტომს ცალ-ცალკე, დაწერისთანავე აქვეყნებდა და, ცხადია, ამიტომაც იმეორებდა ნაშრომის მთავარ სათქმელს – რუსეთის სახელმწიფოს მოდიფიკაციებზე მოსაზრებებს. თუმცა როდესაც ცხრატომეული ერთიანად გამოაქვეყნა ინტერნეტში, შესავლების და დასკვნების გადაკეთება არ დაუწყია.

გადაწყვიტე, მთავარი სათქმელის მხრივ აკუნინის ტექსტები არ შეემოკლებინა, ოთხი პრინციპი მეც რამდენჯერმე გავიმეორე. თანაც, როგორც უკვე ვთქვი, წინამდებარე წიგნი, უბირველესად, ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი, ხალხური სიბრძნე კი გვეუბნება, „გამეორება ცოდნის დედა“-ო. ანუ, ახალგაზრდა მკითხველისთვის ეს, წესით, სასარგებლო უნდა იყოს. თანაც სხვადასხვა ტომში ხსენებული პრინციპები განსხვავებულადაა გადმოცემული (შინაარსი არ იცვლება, ცხადია, იცვლება მხოლოდ ფორმა), რაც, თავისთავად, ხსენებული პარადიგმის უკეთ შეცნობასა და დამახსოვრებას ხელს შეუწყობს.

სწორედ ამ საბედისწერო მონოლოურ-რუსული პარადიგმის გაცნობიერებაა ჩვენი ამოცანა. უნდა ვიცოდეთ, რაზე დგას „დერჟავა“.

„ცოდნა – ძალა“, ხოლო „ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია“.

ცხრატომიულის აკუნინისეული წინათქმა

მრავალტომიულს აკუნინი წინათქმით იწყებს – მკითხველს აფრთხილებს, რომ მის ნაშრომს სამი თავისებურება ახასიათებს, რაც უნდა გაითვალისწინოს კაცმა, როდესაც უნდა გადაწყვიტოს, წაიკითხოს თუ არა.

ნაშრომს წერს მათთვის, ვინც ცუდად იცის რუსეთის ისტორია და სურს მასში გაერკვეს. როგორც ამბობს, რუსეთის ისტორიაზე ცხადი წარმოდგენა მას თავადაც არ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ განათლებით ისტორიკოსია და რამდენიმე ათეული ისტორიულ რომანი დაწერილი აქვს, ერთხელაც გააცნობიერა – არ იცის, რატომ და როგორ ჩამოყალიბდა რუსეთი ისეთად, როგორცაა სინამდვილეში. ეს რომ გაერკვია, მიხვდა, ათეულობით ათასი გვერდი უნდა წაიკითხოს და მერე რამდენიმე ათასი გვერდი დაწეროს.

ავტორის სიტყვით, იგი არავითარ კონცეფციას არ აგებს – უბრალოდ, არ გააჩნია კონცეფცია.* ამიტომ არც ცდუნება აქვს, მხოლოდ ის ფაქტები გამოიყენოს, რაც აწყობს, ხოლო რაც არ აწყობს – მიაჩუმათოს.

გარდა ამისა, აკუნინი იდეოლოგიზებული ისტორიის კატეგორიული წინააღმდეგია. თანაბრად არ აინტერესებს სამამულო ისტორიკოსების ისეთი ნაშრომები, სადაც რუსეთს განადიდებენ, ანდა პირიქით, აკნინებენ. მას სურს გაიგოს, როგორ იყო საქმე სინამდვილეში. წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება არ გააჩნია. აქვს კითხვები და მათზე პასუხის პოვნის სურვილი.

იგი ხაზს უსვამს, რომ სწორედ სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორია აინტერესებს – სახელმწიფოს აღმშენებლობის, მისი მართვის მექანიზმების, ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობის, საზოგადოებრივი ევოლუციის ისტორია. კულტურას, რელიგიას, ეკონომიკას მხოლოდ იმდენად ეხება, რამდენადაც პოლიტიკას უკავშირდება.

მისი თქმით, რუსეთი, უპირველესად, სახელმწიფოა, რაც, თავისთავად, არაა ქვეყნის თანხვედრი, ხოლო ისტორიის გარკვეულ მომენტებში სუ-

* მოვლენებს გავასწრებ და აღვნიშნავ: ნაშრომის ბოლო ტომის დასკვნაში აკუნინი წერს, რომ მას რუსეთის სახელმწიფოს კონცეფცია აქვს, მაგრამ ის მუშაობის პროცესში ჩამოყალიბდა – თავიდან არ გააჩნდა (რედ.შენიშვნ.).

ლაც მის მიმართ მტრულად განწყობილი ხდება. თუმცა, სწორედ სახელმწიფოს მდგომარეობა განსაზღვრავდა მუდმივად რუსეთის ცხოვრების ევოლუციის (ან დეგრადაციის) ვექტორს. სახელმწიფო გახლავს რუსეთის უბედურებების და რუსეთის გამარჯვებების მიზეზი.

საბოლოო ჯამში, ეს ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, გაარკვიოს, ამ ათასწლოვან სახელწმიფოში რა არის რიგზე და რა – არა (და რატომ).

პირველი ტომი



ევროპის ნაწილი.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
საყუისებიდან მონღოლების შემოსევამდე

პირველი ტომის შესავალი

აკუნინი დაბეჯითებით აფრთხილებს მკითხველს – რასაც იგი რუსეთის სახელმწიფოს საწყისებზე, მის უძველეს ისტორიაზე წერს, მხოლოდ რეკონსტრუქციაა, ვარაუდია, რომელზეც მეცნიერთა წრეში გარკვეული, მეტ-ნაკლები კონსენსუსი არსებობს. საქმე ისაა, რომ წყაროები მეტისმეტად მწირია, რიგ შემთხვევაში კი აშკარად მითოლოგიზებული.

ავტორი აცხადებს, რომ ამ მცირერიცხოვანი წყაროებისა და მათზე დაწერილი მრავალრიცხოვანი გამოკვლევა-კომენტარების შესწავლის შემდეგ მას ჩამოუყალიბდა მტკიცე შეხედულება: არცერთმა ისტორიკოსმა არ იცის ზუტად, როდის, ვის მიერ და რა გარემოებებში შეიქმნა პირველი რუსული სახელმწიფო.

ამ ბუნდოვანების, ფაქტების სიმწირის გამო მრავალი მკვლევარი ქმნის საკუთარ ჰიპოტეზებს და ვერსიებს, უარყოფს „კანონიკურ“ დათარიღებას, რადგან იქ მეტისმეტად ბევრი შეუსაბამობაა – და ცდილობს ისტორია გადაატრიალოს. რაც უფრო ცოცხალი ტემპერამენტი აქვს ისტორიკოსს, მით უფრო რევოლუციურ ვერსიებს იგონებს.

აკუნინი თქმით, მის მიერ დაწერილი ტექსტი სრულიად არარეგულაციურია. მისი ძირითადი მეთოდია „ოკამის სამართებელი“, როდესაც მსჯელობისას ყველაფერი ზედმეტი და ნაკლებსანდო თითქოსდა სამართებლით ჩამოიკვეთება და რჩება მხოლოდ შემოწმებული ფაქტები, რომლებსაც მეცნიერთა უმეტესობა დამაჯერებლად ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უფრო სავარაუდოდ მიიჩნევს. თუკი რალაც საკითხზე ეჭვი რჩება, ამას ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავს.

ძველი რუსეთი იმდენად განსხვავდებოდა მონღოლთა შემდგომი რუსეთისგან, რომ განვლილი ასწლეულების შემდეგ რალაც გამქრალ, ლეგენდარულ ატლანტიდად წარმოგვესახება. ამიტომ ავტორმა საჭიროდ მიიჩნია, პოლიტიკური ისტორიისთვის დაერთო თავი: „ცხოვრება ძველ რუსეთში“. ისტორიულ მატრიანებში მხოლოდ ექსტრაორდინარული მოვლენებია ასახული. ადამიანი ქრონიკების გადმოცემით რომ შემოიფარგლოს, შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, ძველი რუსეთის ცხოვრება მხოლოდ ომების, ეპოდემიების, მოუსავლიანი წლების, მმართველთა

ცვლილებებისა და დიდი ტაძრებისა და ციხე-სიმაგრეების აშენებისგან შედგებოდა. ეს თავი გარკვეულად სცილდება ნაშრომის მიზანდასახულებას, სამაგიეროდ, მკითხველს უქმნის გარკვეულ წარმოდგენას, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველი რუსები.

კიევის რუსეთის პერიოდის ისტორიოგრაფია, უაღრესად მწირია. მათ შორის მთავარი წყარო, – ფაქტობრივად, ფუძემდებლური, – ერთია, ესაა „გარდასულ წელთა მათიანე“*.

ხელნაწერს თავდაპირველი სახით არ მოუღწევია, არამედ არსებობს გვიანდელი პერიოდის ორი სხვადასხვა ვარიანტი. ფრაგმენტები, რომლებიც ორივე ხელნაწერში ერთმანეთს ემთხვევა, პროტოგრაფად, ანუ პირვანდელ ტექსტად მიიჩნევა, მაგრამ ეს ნაწილებიც, სავარაუდოდ, პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით იცვლებოდა – ხელნაწერების გადაწერისას. მეცხრე და მეთექვსმეტე საუკუნეების მოვლენები ძალზე მიახლოებით, ზოგჯერ კი აშკარად მცდარადაა აღწერილი, ტექსტში ასევე ჩართულია ლეგენდები და გადმოცემები, რომლებიც, როგორც ჩანს, ფოლკლორიდანაა აღებული. არის დიდი ლაკუნები. მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნიდან მათიანე ნამდვილ ისტორიულ ქრონიკას ემსგავსება. თუმცა მემათიანე აშკარად მიკერძოებულია და ცდილობს ვლადიმირ მონომახს** აამოს (ის, შესაძლოა, იყო კიდეც ინიციატორი ან სულაც, დამკვეთი ჩვენამდე მოღწეული რედაქციისა), რაც ტექსტის მიმართ ერთგვარ სკეპტიკურ დამოკიდებულებას აძლიერებს. ალტერნატიული ქრონიკები, მათ შორის, რეგიონული (ნოვგოროდული, გალიც-ვოლინური) მხოლოდ აღნიშნული პერიოდის ბოლოს ჩნდება და სურათს ვერ ავსებს.

რაც შეეხება პოლიტიკური ისტორიის სხვა წყაროებს. არსებობს მეთერთმეტე საუკუნის კანონთა კრებული, „რუსული სამართალი“, რომელიც ასევე გვიანდელი ხელნაწერის სახითაა შემორჩენილი და, რაც მთავარია, იქ ისტორიული მოვლენები გადმოცემული არაა.

ზოგიერთი ცნობა გვხვდება უცხოურ ქრონიკებში, ბიზანტიურსა და და-

* „Повесть временных лет“ – დაიწერა კიევში ნახევრად ლეგენდარული მემათიანის, ნესტორის მიერ დაახლოებით 1110 წელს (რედ.შენიშვნ.).

** ვლადიმირ მონომახი – კიევის რუსეთის დიდი მთავარი 1113–1125 წლებში (რედ.შენიშვნ.).

სავლეთევროპულში, მაგრამ ისინი ხშირად დამახინჯებული ანდა აშკარად მიკერძოებული, თანაც მეტად ფრაგმენტულია და სრულყოფილ წყაროებად ასევე არ გამოდგება.

არსებობს მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებმაც რუსეთი მოინახულეს. ცალკეულ შემთხვევაში, ამა თუ იმ ფაქტის დაზუსტებაში ისინი მკვლევარს შეიძლება დაეხმაროს, მაგრამ უცხოელები ცუდად ერკვეოდნენ რუსულ რეალობაში, ამახინჯებდნენ სახელებს და ზოგჯერ აშკარა ტყუილებსაც კი წერდნენ.

არქეოლოგიური არტეფაქტები ზოგ შემთხვევაში პოლიტიკური ისტორიისთვის საინტერესო ცნობებს იძლევა, თუმცა უმეტესად, ისინი ახალ კითხვებს წარმოშობს, პასუხებს კი არ გვთავაზობს.

აკუნინი ხაზგასმით იმეორებს, რომ წყაროების ასეთი სიმწირის პირობებში ძველი რუსეთის „ოფიციალური ისტორია“ სხვა არაფერია, თუ არა კონსენსუსზე დამყარებული რეკონსტრუქცია – ანუ მკვლევართა უმეტესობის მიერ გაზიარებული ვარაუდი იმისა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში. ბევრ საკითხზე კი კონსენსუსიც არ მოიპოვება.

არსებობდა თუ არა სინამდვილეში რიურიკი? მოიწვიეს თუ არა სლავებმა ვარიანგები? საერთოდაც, ვინ არიან „ვარიანგ-რუსები“? („варяги-русы“)? მიაჭედა თუ არა მთავარმა ოლეგმა თავისი ფარი ცარგრადის (ანუ კონსტანტინოპოლის) კარიბჭეზე? ამ და მრავალ სხვა კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს – მხოლოდ ვარაუდებია.

ამავდროულად საკითხები სხვადასხვა მნიშვნელობისა – ზოგი პირველხარისხოვანია, ზოგი მეორეხარისხოვანი და ზოგიც – მესამეხარისხოვანი.

აკუნინი აცხადებს, რომ ყველა კითხვაზე პასუხის მოძიებას არ აპირებს – მხოლოდ პირველხარისხოვანებზე ეცდება. მისი აზრით, ეს კითხვებია:

1. როგორ, როდის და, რაც მთავარია, რატომ შეიქმნა რუსეთის პირველი სახელმწიფო?
2. რა ფაქტორებმა და მოვლენებმა განსაზღვრეს ამ სახელმწიფოს ბუნება და ფორმა?
3. შეიძლება თუ არა რუსეთის პირველი სახელმწიფო მივიჩნიოთ ამჟამინდელი რუსეთის უშუალო წინაპრად?

ცხრატომეულის პირველი ტომი წარმოადგენს მცდელობას, ამ კითხვებიდან პირველს უპასუხოს, და ასევე იწყებს პასუხის გაცემას მეორე კითხვაზე, რისთვისაც უფრო ფართო პერსპექტივაა საჭირო.

მესამე საკითხი სადისკუსიოა – წერს აკუნინი. არსებობს კარგად არგუმენტირებული მოსაზრება, რომ რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის საწყისი მონღოლთა შემდეგომი პერიოდიდანაა საძიებელი – როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად მოსკოვი იქცა. თუმცა ამ შეხედულებას თავად არ იზიარებს. ეთანხმება იმ ისტორიკოსებს (მისი თქმით, ისინი უმრავლესობას შეადგენენ), ვისაც მიაჩნია, რომ მიუხედავად ყველა ზიგზაგისა და მეტამორფოზისა, რის ძალითაც რუსეთი („Русь-Россия“) ხან ევროპული, ხანაც კი აზიური სამყაროს ნაწილი იყო, შემდეგ კი საკუთარი ევროაზიული იმპერიის მშენებლობა დაიწყო, რუსეთის სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ფენომენი, IX საუკუნიდან არსებობს.

მრავალტომეული ნაშრომის პირველ ტომს ავტორმა უწოდა „ევროპის ნაწილი“, რადგან იმ პერიოდში რუსეთი, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით, მთლიანად ევროპულ სამყაროს ეკუთვნოდა. მეორე ტომს დაარქვა „აზიის ნაწილი“.

პირველი ტომის დასკვნა*

დასკვნის მაგიერ. შეეძლო რუსეთს, ეგრობად დარჩენილიყო?

ალტერნატიული ისტორია – სრულიად არამეცნიერული ჟანრია, თუმცა, იმავდროულად, უაზრობა სულაც არ განლავს. ეს ანალიტიკური მეთოდი საშუალებას იძლევა გავაბათილოთ ზოგიერთი გამყარებული ცთომილება და ისტორიული მოვლენების მნიშვნელობა მართებულად შევაფასოთ.

ხშირად სვამენ კითხვას: როგორი იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოს ბედი, თუკი გაუძლებდა ჩინგიზიდების დარტყმას, როგორც მანამდე მოახერხა და პაჭანიკების შემოტევას გაუძლო?

რა იქნებოდა, შემოსევის დროს დიდი მთავრის ტახტზე მონომახის მსგავსი გამორჩეული ლიდერი რომ აღმოჩენილიყო, რომელიც მოახერხებდა წინაღმდეგობის გასაწევად ქვეყნის გაერთიანებას?

ანდა, დაფუძვით, შეტაკება საერთოდაც რომ არ მომხდარიყო, ურდო დასავლეთისკენ კი არა, არამედ სამხრეთისკენ წასულიყო, რუსეთს დრო მიეცემოდა, დაქსაქსულობა რომ დაეძლია და ძალები მოეკრიბა.

როგორი იქნებოდა ჩვენი სახელმწიფო, თუკი ქვეყანა, რომელიც მოგვიანებით რუსეთი გახდა, XIII საუკუნის შუა წლებში აზიური იმპერიის ნაწილი რომ არ აღმოჩენილიყო, და შეენარჩუნებინა თავისი პირვანდელი, ეგრობული ბუნება?

აქ, კაცმა რომ თქვას, ორი კითხვა ჩნდება.

პირველი: პრინციპულად რამდენად იქნებოდა შესაძლებელი მოვლენების ასეთი განვითარება?

მეორე: რამდენად დიდი განსხვავება იქნებოდა ჰიპოთეტურ „ეგრობულ“ რუსეთსა და რეალურ „ევროაზიურ“ რუსეთს შორის?

პირველ კითხვაზე, ალბათ, უარყოფითი პასუხის გაცემა მოგვიწევს.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნებრივი, შინაგანი ევოლუცია და გეოპოლიტიკური სიტუაცია რუსეთს უცილობლად უქადდა, რომ, ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ აზიური სახელმწიფოს მიერ იქნებოდა დაპყრობილი.

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ.შენიშვნ.).

მონღოლების შემოსევის მომენტისთვის ცენტრიდანული ტენდენციები ოდნავ თუ შეიმჩნეოდა. XIV საუკუნეში, დაქსაქსულობის მაქსიმალურ წერტილში, რუსეთი კიდევ უფრო იოლი ნადავლი გახდებოდა – იმ დროისთვის ქვეყანა დაიშალა ორასორმოცდაათ ბატარა ფეოდალურ სამთავროდ, რომლებიც ერთმანეთს მუდმივად ექიშებოდნენ.

მაგრამ აზიურ ტალღას რუსეთისთვის მისი ერთობის პერიოდში რომც დაერთყა, საეჭვოა, რიურკოვიჩების სახელმწიფო გადარჩენილიყო. წინა შეტევამ აღმოსავლეთიდან, – ბაჭანიკებისა 1060 წელს, – კინალამ დაამხო ცენტრალიზებული კიევის სახელმწიფო, არადა, ის ურდო სულაც არ იყო მრავალრიცხოვანი და ორგანიზებულობითაც არ გამოირჩეოდა.

საფიქრებელია, რომ ხისტად კონსტრუირებული სამხედრო იმპერია (რაც არც ბაჭანიკებს და არც ყივჩაღებს არ გააჩნდათ) დათრგუნავდა და გასრესდა ქვეყანას, რომელსაც მიწათმოქმედთა მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა.

ჩინგიზიდების ლაშქარს, ცხადია, შეეძლო, ვოლგისპირეთის სტეპებიდან სამხრეთისკენ გადაეხვია არაბეთის ქვეყნებისა და ბოსფორის მიმართულებით, მაგრამ ეს მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ უკანასკნელი ხომ არ ყოფილა. შემდეგ გამოჩნდნენ თურქ-ოსმალები, თემურ-ლენგი* – მოხდა თურქი ხალხების გრანდიოზული შემოსევა.

ისტორიის იმ პერიოდში მოთუხთუხე აზიური ქვაბი მწველი ორთქლის ახალ-ახალ ბოლქვებს წამდაუწუმ აფრქვევდა. ერთი თუ არა, მეორე ხომ აუცილებლად დაფუფქავდა რუსეთს, ევროპული ცივილიზაციის საზღვრისპირა ოლქს. ბიზანტიის იმპერიაც კი, გაცილებით ძლიერი და განვითარებული, ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლეთის ზეწოლით დაეცა. იგივე ბედი ეწია ყველა ბალკანურ სამეფოს. აზიის შეტევა ევროპაზე XVI საუკუნემდე გაგრძელდა და მხოლოდ ვენის კედლებთან შეჩერდა.

უფრო რთულია მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა: რამდენად განსხვავ-

* ამ წინადადებაში, ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს თემურ-ლენგი თურქ-ოსმალებთან ერთად იწყებს შემოსევებს. რეალურად, თემურ-ლენგი, სხვა ხალხების მსგავსად, თურქ-ოსმალებსაც უპირისპირდებოდა. 1402 წელს ანგორის ბრძოლაში დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო კიდევ თურქ-ოსმალების სულთანი ბაიზიდ I. თემურ-ლენგი, როგორც ცნობილია, იყო მონღოლური ეთნიკური ჯგუფის – ბარლასების – წარმომადგენელი. ბარლასების ნაწილმა, რომელიც მომთაბარეობდა ცენტრალურ აზიაში, განიცადა თურქიზაცია, გათურქდა და მიიღო ისლამი. თემურ ლენგის ჯარს, ძირითადად, ისინი შეადგენდნენ (რედ.შენიშვნ.).

გებულო იქნებოდა რუსული სამყაროს ბედი, თუკი ის რაღაც სასწაულით მოახერხებდა და შეინარჩუნებდა თავის „ევროპულობას“.

სახელმწიფოს განვითარების ეტაპების ზოგად თანმიმდევრობაზე ეს, სავარაუდოდ, გავლენას არ მოახდენდა. ადრეფეოდალური სახელმწიფოს დაშლა მანამდე გაგრძელდებოდა, სანამ შიდა ეკონომიკური კავშირების განმტკიცება არ მოითხოვდა ახალ გაერთიანებას უფრო მაღალ დონეზე. ეს ცენტრალიზაცია, საფიქრებელია, დაახლოებით იმავე პერიოდში მოხდებოდა – მე-15 საუკუნეში, როდესაც დაქუცმაცებულობა დაძლიეს საფრანგეთმა, ინგლისმა, ესპანეთმა და პირველი დიდი ევროპული ერები ჩამოაყალიბეს.

ასეთივე აუცილებლობა იქნებოდა რუსეთის გადაქცევა იმპერიად, რომელიც აღმოსავლეთისკენ წავიდოდა. ეს ვექტორი მმართველთა ახირება კი არ იყო, არამედ საყოველთაო კანონის გამოვლინება, რომლის თანახმადაც გაძლიერების გზაზე შემდგარი ყოველი სახელმწიფო ტერიტორიების გაფართოებას ესწრაფვის. რუსეთს არ ჰქონდა საჭიროება, ახალი მიწები ოკეანეს გაღმა ეძებნა. იქვე ახლოს ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულიყო ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის მდიდარი და მცირედ დასახლებული ოლქები. აზიის „გაფართოების“ ეპოქაში რუსეთის შუალედური გეოგრაფიული მდებარეობა ნეგატიური ფაქტორი იყო, ხოლო ევროპის „გაფართოების“ ეპოქაში ის უპირატესობად იქცა. სავარაუდოდ, შიბოთეტური „ევროპული“ რუსეთი რუკაზე დაახლოებით იმავე სივრცეს დაიკავებდა, რაც რეალურ რუსეთს უკავია.

გამოდის, რომ რუსეთის ისტორიის საერთო ალგორითმი და მისი პერიოდიზაცია კი, უმეტესად, ისეთივე, ან თითქმის ისეთივე იქნებოდა.

ასევე არ შეიცვლებოდა სახელმწიფო იდეოლოგიის პრინციპები, რომლის პარადიგმა მე-13 საუკუნისთვის უკვე ჩამოყალიბდა კონსტანტინოპოლის თარგზე.

წარმომოშობისთანავე რუსეთმა ბიზანტიის იმპერიასთან მეტოქეობა დაიწყო – იქამდეც კი, რომ კიევის მთავარმა არქიტექტურულმა ნაგებობებმა (წმინდა სოფიას ტაძარი, ოქროს კარიბჭე და სხვ.) სახელები ცარგრადში (კონსტანტინოპოლში) არსებულის ანალოგიით მიიღეს.

რუსეთის სახელმწიფოს, ნებისმიერი წარმატებული განვითარების

შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, უნდა დაეწყო ბრძოლა სრუტეების მფლობელ იმპერიასთან (სულერთია, ბერძნულსა თუ თურქულთან), რათა მოეპოვებინა გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაზე – ანუ გაჩნდებოდა ის სიტუაცია, რომელიც ახალი დროის რუსული პოლიტიკის კურსს განსაზღვრავდა.

ასეთივე უცილობლობით წარმოიშვებოდა მეტოქეობა დასავლეთ მეზობლებთან – პოლონეთსა და შვედეთთან. იმის გათვალისწინებით, რომ რესურსები შეუდარებლად განსხვავებული იყო, სავარაუდოდ, დაპირისპირება იმავე შედეგით დასრულდებოდა.

საერთო ვამში, შეიძლება დავუშვათ, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური ბიოგრაფია მონღოლათა შემოსევის გარეშეც კი დაახლოებით ისეთივე იქნებოდა.

ყველა არსებითი განსხვავება სახელმწიფოს შინაგანი მოწყობის, ნაციონალური მენტალიტეტისა და საბაზისო კულტურულ-სოციალური განწყობების სფეროს კუთვნილება განდებდა.

„აზიაში ცხოვრების“ ორნახევარმა საუკუნემ – არადა, სწორედ ამ პერიოდში მოხდა მოსკოვის სახელმწიფოს ფორმირება – ჩამოაყალიბა მისი ფუნდამენტი, რომელიც უცვლელი რჩება მიუხედავად იმისა, თუ როგორ იცვლება მისი ზედნაშენი: მონონაციონალური დიდი სამთავროდან მრავალნაციონალურ სახელმწიფომდე, შემდეგ სამხედრო იმპერიამდე, შემდეგ სოციალისტურ დიქტატურამდე, შემდეგ კი კაპიტალისტურ რესპუბლიკამდე.

თავდაპირველი რუსეთი, რომლის ისტორია შემოსევასთან ერთად წყდება – რუსეთის სახელმწიფოს ორი მშობელიდან ერთია. მისი მეორე მშობელი ურდო იყო. წინამდებარე ტომი რუსეთის მხოლოდ ევროპულ ფესვებს ეძღვნება, აზიის გენეტიკურ მემკვიდრეობაზე საუბარი წინაა.

მოკლედ და მარტივად თუ ვიტყვით, მთავარი განსხვავება ევროპული ცივილიზაციის არქეტიპულ მოდელსა და აზიურ (უფრო ზუსტად, ჩინურ) მოდელს შორის, საზოგადოებრივისა და ბიროვნულის უპირატესობის პრობლემამდე შეიძლება დავიყვანოთ.

ევროპაში ანტიკური დროიდან – გამომდინარე ბუნებრივი ბირობებიდან, ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან, განსახლების სიმ-

ჭიდროვიდან, მეურნეობის სპეციფიკიდან და ა.შ. – ჩამოყალიბდა მტკიცე წარმოდგენა იმაზე, რომ ინდივიდის ინტერესები უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს; ისინი სოციუმის ინტერესებზე უფრო მნიშვნელოვანია. აღმოსავლეთ აზიაში ადამიანებს იმისთვის, რომ გადარჩენილიყვნენ, უბედობდათ თემებში გაერთიანება და უპირველეს მიზანს კოლექტივის გადაარჩენა წარმოადგენდა. ამისთვის შეიძლებოდა და საჭიროც იყო, გაეწირათ საზოგადოების ცალკეული წევრების ინტერესები, უფრო მეტიც, მათი სიცოცხლეც კი.

ისტორიულ განვითარებასთან ერთად ეს ორი თავდაპირველი პრინციპი ორ განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემად ჩამოყალიბდა. „ევროპული“ აქცენტს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებზე აკეთებდა (და აკეთებს); „აზიური“ კი – საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების პრიორიტეტებზე.

თანასწორობა, სამართლებრივი სახელმწიფო ყველასთვის ერთიანი კანონით – „ევროპული“ იდეაა. „აზიური“ მოდელისთვის უფრო მნიშვნელოვანია იერარქიის სიმტკიცე, სადაც უფრო მაღალი მდგომარეობა ასევე პიროვნული უფლებების უფრო დიდ არჩევანს ნიშნავს. პირველი მოდელის უპირატესობა ცხადია. მეორეს უპირატესობა კი – ისტორიული ქართველების დროს უფრო დიდ გამძლეობასა და მდგრადობაშია.

რუსეთისთვის მთავარ აზიურ „მემკვიდრეობად“ იქცა სახელმწიფოს ძალაუფლების საკრალიზაცია, როგორც სტაბილურობის გარანტისა, და აქედან გამომდინარე, პიროვნული უფლებების შეზღუდვა. სახელმწიფო კი არ ემსახურება თავის მაცხოვრებლებს (მოსახლეობას), არამედ მაცხოვრებლები (მოსახლეობა) – სახელმწიფოს. ესაა პრინციპი, რომლის მიხედვითაც იყო მოწყობილი რუსეთის შინაგანი ცხოვრება ნებისმიერ პერიოდში (მათ შორის, მაშინაც კი, როდესაც ამას ოფიციალურად უარყოფდნენ).

რუსული „ევროაზიური“ სახელმწიფოს ფორმირებისას მთელი მოსახლეობა განიხილებოდა, როგორც მონარქის საკუთრება. თავადაზნაურობაც კი, ევროპულისგან განსხვავებით, მონების მდგომარეობაში იყო, რადგან მამულები მამიდან შვილზე კი არ გადადიოდა, არამედ ეძლეოდათ „კორმლენიეში“, ანუ დროებით სარგებლობაში გადაეცემოდათ ხელმწიფის ნებით.

პირადი დამოკიდებულებების ასეთივე პრინციპი ვრცელდებოდა მემამულის და მიწათმოქმედის ურთიერთობებზე. იმ პერიოდში, როდესაც ევროპის გლახობა თანდათანობით გათავისუფლდა ფეოდალური დამოკიდებულებისგან, მოსკოვის სამეფოში საბოლოოდ დამკვიდრდა ბატონყმობა.

გლახური ცხოვრების სტრუქტურულ ერთეულში, თემში, იგივე „აზიური“ ცივილიზაციური პრინციპი მოქმედებდა – კოლექტივს შეეძლო თავისი ნება თავს მოეხვია მასში შემაგალი ყოველი ოჯახისა თუ ადამიანისთვის.

ასევე შეიცვალა ოჯახის შიდა ურთიერთობები ძველრუსულთან შედარებით: ქალის მდგომარეობა სულ უფრო უფუფლებო ხდებოდა, სლავურ-ვარიანულ ტრადიციებს სულ უფრო შორდებოდა.

რუსეთი, ორმაგი ევროპულ-აზიური კონსტრუქციის გამო, მთელი მისი ისტორიის განმავლობაში ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. ქვეყანა ხან სასწრაფოდ იწყებდა „ევროპეიზაციას“, ხანაც უკან აზიაში იხევდა, ლიბერალიზაციის პერიოდები „ჭანჭიკების მოჭერით“ (ანუ გამკაცრებით) იცვლებოდა, „გამყინვარება“ – „დათბობით“, რეფორმები – კონტრეფორმებით.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა „აზიურ“ შემადგენელს ისე ვუყუროთ, როგორც ძნელად მოსარჩენ ავადმყოფობას, ანდა რუსეთის სამშობიარო ტრავმას. ისტორიულ პერსპექტივაში ეს ჩვენი გენეტიკური თავისებურება მხოლოდ პრობლემებს კი არ გვიქმნიდა, არამედ ბონუსებსაც გვჩუქნიდა.

ჯერ ერთი, „აზიური“ კომპონენტის გარეშე რუსეთი არ იქნებოდა კულტურულად და სულიერად ესოდენ „მრავალფეროვანი“ ქვეყანა, როგორიც დღესაა.

მეორეც, „სახელმწიფოს“ პრიმატი და მასობრივი ცნობიერების „თემური“ მოწყობა რუსეთს არაერთხელ დახმარებია, უმძიმესი ქარტეხილები გადაეტანა, რომელთაც ნამდვილი ევროპული სახელმწიფო ვერ გაუძლებდა (და მართლაც ვერ უძლებდნენ). ასე იყო დიდი არეულობის დროს და ჩრდილოეთის მძიმე ომის პერიოდში. ასე იყო მოგვიანებითაც, როდესაც ლოვიკისა და მათემატიკის საწინააღმდეგოდ, რუსეთი ორ უმძლავრეს სამხედრო იმპერიაზე ძლიერი აღმოჩნდა – ჯერ ნაპოლეონისა, შემდეგ კი, ჰიტლერის. სიცოცხლისუნარიანობა, განსაცდელის ჟამს გაერთიანების

უნარი, სიმტკიცის უზარმაზარი რესურსი, თავდადება, ცნობილი „ჩვენ ფასს არ დაგიღევთ“ („мы за ценой не постоим“) – ეს ყველაფერი ევრობული კი არა, აზიურია.

ალექსანდრ ბლოკი წერდა მორიგე სამხედრო კატასტროფის წინ:

„Мы широко по дебрям и лесам
Перед Европою пригожей
Расступимся! Мы
обернемся к вам
Своею азиатской
рожей!“

(„მოხდენილი ევრობის წინაშე ფართოდ გავიშლებით ტყე-ღრეში!
ჩვენი აზიური სიფათით თქვენსკენ შემოვბრუნდებით!“ – ბჭკარედული თარგმანი).

სად ვიქნებოდით ამ ჩვენი „აზიური სიფათის“, ამ აღმოსავლური გამძლეობის გარეშე?

და საერთოდ, ვიქნებოდით კი?

მეორე ტომი



აზიის ნაწილი.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
ურდოსეული პერიოდი

მეორე ტომის შესავალი

ავტორი შესავალს იწყებს განცხადებით, რომ მეორე ტომში აღწერს სამამულო ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც რუსეთი, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა. იყვნენ ადამიანები, რომლებიც რუსულად ლაპარაკობდნენ, რუსულ ჩვეულებებს იცავდნენ, რუსულ სარწმუნოებას ინარჩუნებდნენ, მაგრამ ქვეყანა არ არსებობდა – და კიდევ დიდხანს, ორნახევარი საუკუნის განმავლობაში, 1238 წლიდან მეთხუთმეტე საუკუნის შუაწლებამდე არ იარსებებდა.

მონღოლთა ბატონობის დასასრულის თარიღად 1480 წელს ასახელებენ (იმ წელს გამოცხადდა მოსკოვის დამოუკიდებლობა მონღოლი ყაენებისგან), მაგრამ აკუნინი წერს, რომ ეთანხმება იმ ისტორიკოსებს, ვინც იმ ეპოქის დასასრულს ცოტა უფრო ადრე მოიაზრებს. და ამიტომ თხრობას ვასილი ბნელის სიკვდილით ასრულებს – მისი მმართველობის ბოლოსთვის რუსეთი ურდოსგან ფაქტობრივად გათავისუფლდა. ტახტზე ივანე III-ს ასვლით კი დაიწყო ახალი ეტაპი, რომელსაც ცალკე ტომი ეძღვნება.

ამდენად, აკუნინის ნაშრომის მეორე ტომის ქრონოლოგიური ფარგლებია: 1223 წლიდან (რუსების და მონღოლების პირველი შეჯახებიდან) 1462 წლამდე (უკანასკნელი დიდი მთავარის გარდაცვალებამდე, ვინც მმართველობის იარლიყი ურდოში მიიღო).

აკუნინი წერს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში არსებობს ნაციონალური პატივმოყვარეობისთვის საამო ან პირიქით, უმსგავსო ფურცლები, რაც სურთ დაივიწყონ ანდა მითოლოგიის საბურველში გაახვიონ. აცხადებს, რომ მონღოლთა ბატონობის ეპოქა რუსეთის ისტორიაში ყველაზე დამამცირებელია („эпоха монгольского владычества в русской истории – самая неприглядная.“). ეს იყო დაკნინების, რღვევის, საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის დრო-ჟამი. თუმცა შემდეგ განწყობა ნელ-ნელა შეიცვალა. ზღაპრისა არ იყოს, რუსეთს ვერ თითქოს „მკვდარი წყალი“ ასხურეს, შემდეგ „ცოცხალი წყალი“ – და ისიც აღდგა, გაცოცხლდა, მერე კი წინანდელზე მეტად გაძლიერდა.

აღნიშნული პერიოდი აღსაწერად ძალზე რთულია, – შენიშნავს ავტორი, – რადგან მოვლენები ქაოტური და აბურღული, მატრიანთა მოწმობანი კი

წინააღმდეგობრივია. ძნელი გასარკვევია, სადაა სიძარტლე და სად – გამოწვანია. როგორც წესი, მოგვიანო აღწერებში მომხდელურთა რაოდენობა და გაწეული წინააღმდეგობა გაზვიადებულია, იგრძნობა სურვილი, წინაბრებს ნამუსი მოსწმინდონ, გაამართლონ.

და მართლაც, თუკი ბათო ყაენის შემოსევას განვიხილავთ, როგორც „უცხოების“ გამარჯვებას „ჩვენებზე“, საწყენი გამოდის. მაგრამ ჩემთვის უფრო მისაღებია შეხედულება, – აგრძელებს აკუნინი, – რომ „თათარ-მონღოლთა ურდო“ უცხოტომელების შემოსევა კი არ იყო, არამედ რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ეს ჩვენები ეომებოდნენ ჩვენებსვე. თანამედროვე ბრიტანელების პოზიციიდან ამის მსგავსად გამოიყურება ნორმანთა ომი ანგლოსაქსებთან. ამიტომ უფრო სწორი იქნება, ურდოს პერიოდის განსაცდელეები იმ სახელმწიფოს სამშობიარო ტკივილებად მივიჩნიოთ, სადაც ვცხოვრობთ. მშობიარობა მტკივნეული იყო, მაგრამ მის გარეშე რუსეთი ვერ გაჩნდებოდა.

აკუნინის აზრით, თათრები რუსეთის ისეთივე ძველი მოსახლეობაა, როგორც თვით რუსები. არადა, ძველი რუსული ანდაზები განაქიქებენ მათ, თუ ერთგვარ სამაგიეროს უხდიან. ასეთია, მაგალითად, „დაუბატი-ჟებელი სტუმარი თათარზე უარესიაო“ („Незванный гость хуже татарина“) – იგულისხმება მონღოლ-თათრები, რომლებიც გადასახადების ასაკრეფად მოდიოდნენ. იმავე მნიშვნელობის მქონეა გამოთქმა, „ჩვენ თათრებს, ყველაფერი უფასოდ (გვერგება)“ („Нам, татарам, всё даром“). სიტყვა „თათრობა“ („татарщина“) იხმარებოდა „ველურობის, ბარბაროსობის“ გაგებით. ოჯახურ არეულობაზე შეეძლოთ ეთქვათ „თითქოს მამაიმ* გადაიარა“ („Будто Мамай прошел“).

აკუნინი შენიშნავს, – უცნაურია, რომ ისტორიკოსი კარამზინი, თავად ურდოელი კარა-მურზას ჩამომავალი, წერდა ასეთ ფრაზებს: „თათრებს ღირსების გაგება არ გააჩნდათ“ („Татары не знали правил чести“). სინამდვილეში ამის გაგება ჰქონდათ, უბრალოდ, მათი წესები რუსულს არ ემთხვეოდა.

თათრული საგვარეულოების რაოდენობა რუსეთის თავადაზნაურობაში ერთობ დიდი იყო. ისტორიკოს ნ. ზაგოსკინის (სხვათა შორის, თვი-

* მამაი (1335-1380) – ოქროს ურდოს ბეგლარბეგი (ბეგთა ბეგი) (რედ. შენიშვნა).

თონ იგი მურზა შეეკალის შთამომავალი გახლდათ) ანგარიშით, „აღმო-სავლური“, ანუ ურდოსეული წარმომავლობის 156 გვარი იყო, თითქმის იმდენივე, რაც ვარიანული (168), და გაცილებით მეტი, ვიდრე „დაუ-ზუსტებელი რუსული“ (42).

აკუნინი წერს, რომ რუსული ენა, თუ დაკვირვებით განვიხილავთ, მონ-ლოლური ლექსიკის მნიშვნელოვან წილს შეიცავს. მრავალი სიტყვა, რომელიც დღეს რუსულად აღიქმება, ურდოდან შემოვიდა: деньги – ფული, башмак – ფეხსაცმელი, аршин – არშინი (საზომი ერთეული), алтын – სამკა-ბიკიანი, сундук – სკივრი, казна – ხაზინა, таможня – საბაჟო, базар – ბაზარი, барыш – მოგება, გამორჩენა, табуи – რემა და სხვ.

საინტერესოა, რომ აკუნინის მიერ ჩამოთვლილი ათი სიტყვიდან სამი, – „არშინი“, „ხაზინა“ და „ბაზარი“ – ქართულ ენაშიც დამკვიდრდა.

რამდენადაც ვიცით, ისეთი ქართული სიტყვაც კი, როგორცაა „ოჯახი“, სინამდვილეში მონლოლური წარმოშობისაა – რუსული „оѣа“ (კერა, კე-რია) და ქართული „ოჯახი“ ერთი ძირიდან მოდის. ქართველებისთვის კარ-გად ცნობილი რუსული სიტყვა, სიხარულის გამომხატველი შეძახილი „ура“ (ვაშა), მონლოლ-თათრული „ხურრაგ“-იდან წარმოდგება, რაც მათ ენაზე ნიშნავს „წინ!“ ეს მონლოლი მხედრების საბრძოლო ყიჟინა გახლდათ.

აკუნინი წერს, რომ რუსები დიდი ხნის წინათ უნდა გათავისუფლებუ-ლიყვნენ „ანტითათრული“ მიკერძოებისგან. უამრავი წყაროსა და მათი ინტერპრეტაციების გაცნობის შემდეგ იგი მივიდა დასკვნამდე, რომ მონ-ლოლ-თათრული კომპონენტი რუსეთის სახელმწიფოებრიობაში არა თუ ორგანულია, არამედ აღემატება კიდეც უფრო ძველ ვარიანულ-ბიზანტი-ურს და, კაცმა რომ თქვას, სლაგურ შემადგენელსაც კი. თუმცა, ცხადია, არსებობენ რუსი ისტორიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ურდოს გა-მოცდილება და წვლილი რუსულ სახელმწიფოებრიობაში უმნიშვნელო იყო (მაგალითად, ამ მოსაზრებას იზიარებენ ს.სოლოვიოვი, ს.პლატონოვი და სხვ.).

აქვე შევნიშნავთ, რომ თანამედროვე რუს ისტორიკოსებს, პუბლი-ცისტებსა თუ „საზოგადო მოღვაწეებს“ აკუნინის ნაშრომის მიმართ ცალსა-ხად კრიტიკული, უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, რაც, სავარაუდოდ, მისი ამგვარი პოზიციითაც აიხსნება.

აკუნინს მიაჩნია, რომ მოსკოვის რუსეთი ძველი რუსული სახელმწიფოს გაგრძელება კი არ იყო, არამედ არსობრივად სხვა წარმონაქმნი, რომელსაც პრინციპულად ახალი თვისებები ჰქონდა. ის სხვა, მეორე რუსული სახელმწიფო გახლავთ.

პირველი სრულიად ევროპული იყო. XIII საუკუნეში ფრანგი ელჩი დე რუბრუკი აღნიშნავდა, რომ „...რუსი ქალები ისევე იმოსებიან, როგორც ჩვენები, თავის კაბებს კი ციყვის ან სიასამურის ბეწვით რთავენ. მამაკაცები ... გერმანელებივით იცვამენ, თავზე მაუდის წაწვეტებულ ქუდეებს იხურავენ.“ ორასი წლის შემდეგ, როდესაც კონტინენტის პოლიტიკურ რუკაზე კვლავ გაჩნდა რუსული სახელმწიფო, მოსკოვიტებს დასავლელი ადამიანები პირწავარდნილ აზიელებად აღიქვამდნენ – და ასევე დარჩა პეტრეს ვესტერნიზაციამდე.

ამიტომაც თავისი „ისტორიის“ პირველ ტომს აკუნინმა უწოდა „ევროპის ნაწილი“, მეორეს კი – „აზიის ნაწილი“.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთი აზიური დერჟავის შემადგენელი იყო. ოდნავ განცალკევებულად დგას ნოვგოროდის ისტორია, რომელიც მონღოლ-თათართა ოკუპაციას გადაურჩა და ამიტომ თავდაპირველი რუსეთის სახელმწიფოს ნიშნებს დიდხანს ინარჩუნებდა (ნოვგოროდის სავაჭრო რესპუბლიკას პირველ ტომში ცალკე თავი ეძღვნება). თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის ჩრდილო-დასავლეთი პოლიტიკურად დამოუკიდებელი არ ყოფილა, ურდოს სატელიტს, მის პროტექტორატს წარმოადგენდა.

აკუნინი აღნიშნავს – რუსეთი ახლაც უმეტესად აზიური ქვეყანაა. გეოგრაფიულ ატლასში თუ ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, თანამედროვე რუსეთის საზღვრები უფრო ოქროს ურდოს კონტურს ემთხვევა, ვიდრე კიევის რუსეთისა. სხვა საქმეა, რომ აზიურ ცივილიზაციურ მოდელში ორასწლიანი ცხოვრების შემდეგ რუსეთი იქ არ დარჩენილა, გარეთ გამოვიდა. თუმცა ევროპულ პარადიგმას კი არ დაუბრუნდა, არამედ შეეცადა საკუთარი, შუალედური გზა მოეძებნა. ამაზე მსჯელობა მესამე ტომში იქნება – ამ სიტყვებით ასრულებს ავტორი მეორე ტომის შესავალს.

მეორე ტომის დასკვნა*

ურდოსეული რუსულ სახელმწიფოებრიობაში

იბადება ბუნებრივი კითხვა: საბოლოოდ რატომ არ შეერწყა და ერთ სახელმწიფოდ არ გაერთიანდა ურდო და რუსეთი, რომლებმაც ორ საუკუნეზე მეტ ხანს იარსებეს, როგორც ერთიანმა ქვეყანამ, სადაც მმართველი ზედაფენა თათრული იყო, ძირითადი მოსახლეობა კი – რუსული? მონღოლების მიერ დაპყრობილ ზოგიერთ ქვეყანაში ხომ ასე მოხდა.

ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ მმართველი ყაენები რუსეთს ისე უყურებდნენ, როგორც კოლონიას, ანუ სრულიად პარაზიტულად – როგორც მომჭირნე პატრონები კი არა, არამედ როგორც მძარცველები: ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ღალა ამოეჭაჩათ და რაც შეიძლება მეტი ადამიანი წაეყვანათ თავიანთი საჭიროებებისთვის.

გარდა ამისა, მონღოლები ასიმილირდებოდნენ თურქულ ტომებთან, რომლებიც მათი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, მაგრამ რუსოსლაგებთან სრულიად არ ითქვიფებოდნენ. „მონღოლებს ჩვენთანაც რომ იგივე გაეკეთებინათ, რაც ჩინეთში გააკეთეს, ანდა რაც თურქებმა – საბერძნეთში: რომ მიეტოვებინათ სტები და მომთაბარეობა, და ჩვენს ქალაქებში დასახლებულიყვნენ, დღემდე სახელმწიფოს სახით იარსებებდნენ“, – წერს კარამზინი და გულისხმობს რუსულ-მონღოლურ საერთო სახელმწიფოს. მაგრამ მონღოლები, რომლებიც თათრებად იქცნენ, განაგრძობდნენ გეოგრაფიულად განცალკევებულ ცხოვრებას. მათ ააშენეს საკუთარი ქალაქები, რომლებმაც დიდხანს ვერ გაძლეს.

რასაკვირველია, რუსეთი ვერ გადაიქცეოდა თათრულ სახელმწიფოდ მას მერე, რაც ოქროს ურდომ სახელმწიფო რელიგიად ისლამი აირჩია. იყო ერთი მომენტი – სარტაკის მმართველობისას, რომელიც ქრისტიანი იყო და აღექსანდრე ნეველს მფარველობდა, – მაშინ, თითქოს გაჩნდა „ანგლო-ნორმანდიული“ ვარიანტი, როდესაც დამპყრობლები და დაპყრო-

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ.შენიშვნ.).

ბილები ერთ ერთად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ახალ ყაენს დიდხანს არ უცვოცხლია, მისი მემკვიდრე ბერკე კი ისევ მუსლიმი იყო.

ამგვარად, სიმბიოზი არ შედგა. რუსები და თათრები კვლავაც ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, მაგრამ ის მათთვის საერთო არადა არ გახდა. ელიტების და, შესაბამისად, მმართველობის მთელი სისტემის შეცვლა მოხდა. თავიდან რუსები თათრების ხელისუფლების პირობებში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი, პირიქით, თათრებმა რუსების ხელისუფლების პირობებში იწყეს ცხოვრება (ეს ეხება ეპოქას, რომელიც აღწერილია მომდევნო ტომში).

მოსკოვის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო რუსული გამოვიდა. მაგრამ მას მემკვიდრეობით ოქროს ურდოს მრავალი თვისება გადაეცა. მთელი რიგი ისტორიკოსების აზრით, ეს მემკვიდრეობა ახალი რუსული სახელმწიფოებრიობის მთავარი შემადგენელი გახლდათ.

მოდი, ვცადოთ ეს „მონღოლური გენები“ გამოვყოთ.

მკვლევართა უმრავლესობა თანახმაა, რომ თვითმპყრობელობა, აბსოლუტური მონარქიის რუსული ფორმა, ურდოსეულ ყალიბზე შეიქმნა. მე-15 და მე-16 საუკუნეებში ევროპის ბევრ ქვეყანაში მიდიოდა ცენტრალიზაციის პროცესები და მონარქთა ძალაუფლება მტკიცდებოდა, მაგრამ ავტორიტარიზმს ასეთი სისრულისთვის არსად მიუღწევია.

პოსტმონღოლური პერიოდის მოსკოვის დიდი მთავრების ძალაუფლება გაცილებით უფრო ძლიერი, სტატუსი კი გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათ თანადროულ ევროპელ „კოროლებს“ (მეფეებს) ჰქონდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ კიევისა და ვლადიმირ-სუზდალის პერიოდის რუს ხელმწიფეებზე.

მონარქის თვალშეუდგამ სიმაღლეზე აღზევება ჩინგიზ-ყაენის მიერ შექმნილი სისტემის ერთ-ერთი ფუნქციონალური ელემენტი გახლდათ. ეს აძლევდა საშუალებას მორჩილებაში ჰყოლოდა მრავალი სხვადასხვაგვარი, დაუოკებელი ტომი, რომლებიც სტების დიად იმპერიას შეადგენდნენ. ბლანო კარბინი * ვერ კიდევ XIII საუკუნეში გაოცებულნი აღნიშნავდა:

* ჯოვანი და პიან დელ კარბინე, ან ბლანო კარბინი (1182-1252) — იტალიელი მოგზაური. მისი მოგზაურობა, რომელიც 1245-1247 წლებს მოიცავს, საფრანგეთიდან დაიწყო, მან გადალახა მთელი ევროპა, ჩავიდა კიევის რუსეთში და იქედან გაემართა ოქროს ურდოს ყაენის, ბათუს კარზე. საბოლოოდ მოხვდა მონღოლეთში, ყარაყორუმში, დიდი მონღოლი გუიუქ-ყაენის კარზე. კარბინი ყაენს ბაბის წერილი გადასცა, ხოლო მისგან საპასუხო წერილი

„...თათრები უფრო ემორჩილებიან თავიანთ ხელმწიფეს, ვიდრე სხვა რომელიმე ამ ქვეყნად მცხოვრები ადამიანები, საერონი და სასულიერონი, და ისეთ პატივს სცემენ მას, რომ თითქმის არასოდეს არ სტყუიან მის წინაშე“.

მოსკოვმა ურდოსგან ერთობ არასასიამოვნო ატრიბუტიც ისესხა – მონარქის წინაშე ქვეშევრდომის დამცირების ტრადიცია. ურდოში თვითდამცირების ჩვეულება (მიწაზე გართხმა, საკუთარი არარაობისა და მონური მორჩილების სიტყვიერი დეკლარირება) საკრალური რიტუალის ფუნქციას ასრულებდა. პირველ რიურიკოვიჩებს, რომლებსაც მოუწიათ ყაენს ხლებოდნენ, ამ ცერემონიის შესრულება, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ, ზოგირთმა სიჯიუტის გამო თავიც კი წააგო. თუმცა, დროთა განმავლობაში, რუსი დიდი მთავრები მიეჩვივნენ ურდოს ჩვეულებებს, დააფასეს მათი სარგებლიანობა და იგივე წესის დანერგვა დაიწყეს თავიანთ სახლში. „მთავრები, რომლებიც ურდოში თავს მორჩილად იმცირებდნენ, იქიდან მრისხანე მბრძანებლებად ბრუნდებოდნენ“, – წერს კარამზინი.

სახელმწიფოს, როგორც რაღაც ზეფასეულობის, უმაღლესი იდეის საკრალიზაცია, რაც ჩვენი პოლიტიკური კულტურისთვისაა დამახასიათებელი, როგორც ჩანს, მონღოლურ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

თავის დროზე რუსები გააოგნა დიადი „დერჟავის“ კონცეფციამ – მათთვის ახალმა – რომელიც ესოდენ დამაჯერებლად განახორციელა ჩინგიზ-ყაენმა და მისმა უახლოესმა შთამომავლებმა. ამ იდეალურ სახელმწიფოში, მშვენივრად ორგანიზებულსა და დისციპლინირებულში, ყველა მცხოვრები ემორჩილებოდა ერთიან ნებას, საზოგადოება კი მთლიანობაში ხისტ პირამიდას წარმოადგენდა, ერთი მწვერვალისკენ რომაა მიმართული.

მონღოლებამდელი რუსეთი დიდი მთავრის ძლიერი ხელისუფლების პერიოდშიც კი არ ცხოვრობდა ადმინისტრაციული ვერტიკალის პრინციპით. მონარქს უნდა გაეთვალისწინებინა არისტოკრატის ნება და ქალაქების ვეჩესეული დემოკრატია. ჩინგიზ-ყაენის სახელმწიფოსთან შედარებით

წამოიღო, რომელიც მონღოლურ, სპარსულ და არაბულ ენებზე იყო შედგენილი. კარბინიმ მოგზაურობა აღწერა წიგნში „ისტორიული ჩანაწერები“, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „ისტორია მონღოლთა, რომლებსაც თათრებს ვუწოდებთ“. აქვს ცნობები ყაენის კარზე ქართველი უფლისწულების (დავით ულუსა და დავით ნარინის) ყოფნის შესახებ. (არსებობს მისი წიგნის ქართული თარგმანი) (რედ.შენიშვნ.).

ეს გაცილებით უფრო თავისუფალი სისტემა იყო, და რამდენადაც არ ცდილობდნენ მმართველები მის გაკონტროლებას, არაფერი გამოსდიოდათ. ამაში მონღოლების შემოსევა დაეხმარათ. „მონღოლების დროს იოლადა და ურუმრად მოხდა ის, რაც ვერ გააკეთეს ვერც იაროსლავ დიდმა, ვერც ანდრეი ბოგოლუბსკიმ, ვერც ვსევოლოდ III-მ და ყველგან, გარდა ნოვგოროდისა და ფსკოვისა, დადუმდა ვერც ზარი, უმაღლესი სახალხო კანონმდებლობის ხმა, რომელიც ხშირად მეამბოხური, მაგრამ სლვიანოროსებისთვის ესოდენ მოსაწონი იყო“, – სინანულს გამოთქვამდა ამის გამო იმპერატორის ისტორიოგრაფი კარამზინი, რომელსაც დაავიწყდა, რომ მისი ნაშრომის მიზანს, საერთოდაც, თვითმპყრობელობის სიკეთეების განდიდება წარმოადგენდა.

ჩინგიზ-ყაენის მაგალითზე მოწყობილ „მეორე“ რუსულ სახელმწიფოში, ყველა მაცხოვრებელი სახელმწიფოს მსახურად მიიჩნეოდა. ყოველი ადამიანი, დაწყებული პირველი „ბოიარინით“, დამთავრებული უკანასკნელი გლეხით, სახელმწიფოს სამსახურში აღმოჩნდა და იქიდან გამოსვლის უფლება დაკარგა. რადგან სახალხო მასის გადაადგილების გაკონტროლება უფრო რთულია, ვიდრე მცირერიცხოვანი არისტოკრატის მოქმედებისა, სახელმწიფო იძულებული გახდა ბატონყმობა შემოედო, რამაც მე-20 საუკუნის შუა წლებამდე გაძლო – 1861 წლიდან 1920-წლებამდე ინტერვალის გამოკლებით – როდესაც კოლმეურნეობების სისტემის სახით აღორძინდა.

მთელი მოსახლეობა ორ, რიცხობრივად არათანაბარ კატეგორიად დაიყო: ვინც სახელმწიფოს ფულს უხდიდა („тягловые люди“), და ვინც სახელმწიფოსგან საარსებო სახსარს იღებდა („служилые люди“). მეორენი მაშინაც – და ახლაც – პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ სანაცვლოდ ლოიალურობის და შემსრულებლობის ვალდებულება დაეკისრათ. ამავე დროს, რადგან პრივილეგირებული წოდება ხელმწიფის წინაშე თავად უუფლებო იყო, თავის მხრივ, ქვეშევრდომების არანაირ უფლებებს არ სცნობდა. ამიტომაც იყო რუსულ ბატონყმობაში ამდენი სისასტიკე, თავგასულობა, უჯიათობა („самодурство“) და არაადამიანობა. ბატონყმობის ყველაზე უარეს პერიოდებში მემამულეები თავის ყმა-გლეხებს ისე ექცეოდნენ, როგორც მონებს – შეეძლოთ, როგორც მოესურვებოდათ,

ისე დაემცივებინათ, გაეყიდათ ერთად თუ ცალობით, დაენგრიათ ოჯახები, ან სულაც, დამნაშავე „ხოლოპი“ სიკვდილამდე წამებით მიეყვანათ.

თვითმპყრობელის „აზიურ“ საკრალიზაციასთან, როგორც სახელწიფო იდეის უმაღლეს განსახიერებასთან, უშუალოდაა დაკავშირებული რუსული სახელმწიფოებრიობის ყველაზე მტკივნეული პრობლემა: იურიდიული ინსტიტუტების სისუსტე და ის, რომ ევროპული კონცეფცია კანონის პრიმატისა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ქვეყანაში დანერგილი არ გახლდათ.

მართვის ურდოსეული ორგანიზების პირობებში უცნაური იქნებოდა, ყაენს თავისი სურვილები რალაც კანონების გარეგანი დიქტატისთვის დაეჭვემდებარებინა. ეს აბსოლუტური ხელისუფლების პრინციპს დაარვევდა. მართვა კანონების კი არა, არამედ, ყაენის ბრძანებების მიხედვით ხორციელდებოდა.

ეს „მარჯვე“ პრინციპი გამოიყენეს ასევე მოსკოველმა ხელმწიფეებმა, ძლიერ დაშორდნენ „რუსსკაია პრავდის“ (ანუ „რუსული სამართლის“) სულისკვეთებას, რომლის არსი სრულიად საწინააღმდეგო იყო – თვითნებობის შეზღუდვა მტკიცე, ლოგიკური და ყველასთვის გასაგები წესებით.

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც დასავლეთ ევროპაში, დაწყებული 1215 წლის ინგლისის დიადი ქარტიით, თანდათანობით, თუნდაც ძალზე ნელა, ძალას იკრებდა მოძრაობა სამართლებრივი მოწყობისათვის, რომლის დროსაც მმართველი კანონებს უნდა დაემორჩილოს, რუსეთში სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია მტკიცდებოდა, რომელიც დღესაც არაა უარყოფილი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და სიცოცხლისუნარიანი ანდაზაა: „закон что дышло, куда повернешь, туда и вышло“ („კანონი უღლის ძელივითაა, საითაც მიაბრუნებ, იქით გავა.“).

შეიძლება გვეგონოს, რომ რუსული სახელმწიფოებრიობის „მონღოლური“ მემკვიდრეობა მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური თვისებების ნაკრებია, თუმცა ეს ასე არაა.

ძალზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც რუსეთმა „მონღოლიზაციის“ შედეგად შეიძინა, კონსტრუქციის დარტყმისადმი მედეგობა, დიდი საშიშროების მომენტში ყველა რესურსისა და ნაციონალური ძალების მობილიზაციის უნარია. ეს თავისებურება სრულიად არ ჰქონდა ძველრუსული,

ერთმანეთის მონათესავე, მაგრამ დაქსაქსული სამთავროების კონგლომერატს, რამაც ქვეყანა 1238 წელს დაღუბვამდე მიიყვანა. ყველა შემდგომ განსაცდელს (არადა, მათ შორის მონღოლურ შემოსევებზე არანაკლებ მძიმეც ყოფილა), რუსეთმა მოახერხა და გაუძლო – საფიქრებელია, პირველ რიგში, თავისი სახელწიფოს „აზიურობისა“ და ხისტი „ვერტიკალის“ წყალობით. ეპოქებში, როდესაც კონფლიქტები სამხედრო და არა ეკონომიკური, ანდა კულტურულ-პროპაგანდისტული მეთოდებით წყდებოდა, ეს მოდელი, მრავალი ნაკლი რომ ჰქონდა, ყოველ ჯერზე თავის სიმტკიცეს ადასტურებდა.

„მეორე“ რუსული სახელმწიფოს კიდევ ერთი პოზიტიური თავისებურება იყო ურდოსგან ნასესხები რელიგიური შემწყნარებლობა და – უფრო ფართოდ – უბრალოდ შემწყნარებლობა ცხოვრების სხვა წესის მიმართ. ამის გარეშე მოსკოვი ვერ მოახერხებდა უზარმაზარი, ხანგრძლივად არსებული იმპერიის აშენებას, სადაც, ასე თუ ისე, პატივს სცემდნენ სხვადასხვაენოვან, განსხვავებული კულტურის მქონე, სხვადასხვაგვარად მორწმუნე ერებს.* მონღოლები ისე მართავდნენ დაპყრობილ ხალხებს, რომ მაინცდამაინც არ ერეოდნენ მათი ცხოვრების წესში, – თუკი ისინი მორჩილნი იყვნენ და თავის ყველა ვალდებულებას ასრულებდნენ. რუსეთმა ახალი ტერიტორიების მართვა ამავე პრინციპით დაიწყო. მისი ხელისუფალნი, ალბათ, ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ ჩინგიზ-ყენის პრინციპებს იცავდნენ. ისინი, უბრალოდ, დამკვიდრებულ ჩვეულებებსა და საღ აზრს მიჰყვებოდნენ.

გვიანდელი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები ბევრს კამათობდნენ იმაზე, თუ რა უფრო მეტია რუსეთის სახელმწიფოებრიობაში – ურდოსეული თუ ბიზანტიური.

ოფიციალური დოქტრინა ყოველთვის მეორე კონცეფციის უპირატესობას ემხრობოდა. ბიზანტიურობა უფრო იმპოზანტური ჩანდა, მსოფლიოს ფლობაზე პრეტენზიის გაცხადების საშუალებას იძლეოდა – პირველი რომიდან რომ მომდინარეობდა – და თანაც მართლმადიდებლურ სამყაროში ლიდერობას უკავშირდებოდა. რუსი მეფეები და იმპერატორები თავის

* აკუნინის ეს მოსაზრება საკამათოა, რბილად რომ ვთქვათ. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა (რედ.შენიშვნ.).

თავს ბასილევსებს ადარებდნენ და არა, ღმერთმა დაიფაროს, თათართა ყაენებს.

სინამდვილეში, ბიზანტიის ადგილმონაცვლე არა რუსეთი, არამედ ოსმანთა იმპერია აღმოჩნდა, რომელმაც აღზევების პერიოდში თითქმის მთლიანად აღადგინა რომეელთა (აღმოსავლეთ რომის) სახელმწიფოს საზღვრები. რუსეთი კი, როგორც იოლად შეიძლება შენიშნოთ, მთელი თავისი მონღოლთაშემდგომი ისტორიის განმავლობაში, ცდილობდა დაეკავებინა ყოფილი „ჯუჩის ულუსის“* სივრცე – რასაც, საერთო ჯამში, მიაღწია კიდეც, და უფრო შორსაც კი წავიდა. აზიის ხალხები რუსეთის იმპერატორს „თეთრ მეფეს“ უწოდებდნენ, რაც ეთანადებოდა ხსოვნას თეთრ (ოქროს) ურდოზე და, გარკვეულწილად, აღმოსავლეთში რუსეთის ექსპანსიის ლეგიტიმაცისაც უწყობდა ხელს.

გამოდის, რომ ბიზანტიური ჩვენს სახელმწიფოებრიობაში დეკორატიული და იდეოლოგიურ ხასიათს უფრო ატარებდა, ატრიბუციებითა და რიტორიკით შემოიფარგლებოდა („მესამე რომი“, „ძირძველი ღვთისმოსაობის ცეცხლი“, ვერგანხორციელებული ოცნება, აღემართათ ჯვარი „წმინდა სოფიაზე“ და ა.შ.). იმავდროულად, სახელმწიფო ცხოვრების მოწყობასა და პრაქტიკაში სარაის** მემკვიდრეობა სჭარბობდა და არა კონსტანტინოპოლისა.

„მონღოლური“ გზის, მოსკოვი რომ დაადგა, ყველაზე მთავარი საბედისწერო შედეგი მაშინვე არ გამოვლენილა.

არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმად, რუსული ხელისუფლების თვითმპყრობელური ხასიათი და ბატონყმობა დამოუკიდებლობის აღსადგენად გადახდილი აუცილებელი საზღაური გახლდათ. ასე რომ ყოფილიყო, ამ მიზნის მიღწევის შემდეგ აბსოლუტიზმის გაძლიერება და გლეხობის დაყმევება შეწყდებოდა, არადა, ორივე ეს პროცესი განვითარებას განაგრძობდა. მიმაჩნია, რომ რუსეთის სახელმწიფო მოწყობის „ჩინგიზ-ყაენისეული“ ალგორითმი ნაციონალური აღორძინების მისიით

* ჯუჩის ულუსი – ოქროს ურდოს ერთ-ერთი სახელწოდება. მონღოლ-თათართა სახელმწიფო, რომელიც დაარსდა XIII საუკუნის 40-იან წლებში, ბათო-ყაენის დროს (რედ.შენიშვნ.).

** სარაი-ბათუ – ოქროს ურდოს ცენტრი (ახლანდელი ასტრახანის მახლობლად) (რედ.შენიშვნ.).

ვერ დაკმაყოფილდებოდა; ის უფრო მასშტაბურ მიზანდასახულებას გულისხმობდა: იმპერიის შექმნას.

მოსკოვეთმა და მას მერე რუსეთმა მემკვიდრეობად მიიღო დიადი მონღოლური ოცნება, ევრაზიის გაერთიანება ოკეანიდან ოკეანემდე (ჩინგიზ-ყენი ოცნებობდა აეშენებინა უზარმაზრი სახელმწიფო, სადაც ისეთი წესრიგი და ისეთი სიშვიდე იქნებოდა, რომ ქალიშვილი ოკეანედან ოკეანემდე ოქროს ლანგრით ხელში მარტო გაივლიდა და არც ქალიშვილობას დაკარგავდა და არც ოქროს ლანგარს). რასაკვირველია, არავითარი ვასილი ბნელი ან თუნდაც ივანე მესამე ამ კატეგორიებით არ მსჯელობდნენ, მაგრამ მათი სახელმწიფო აღმშენებლობის ლოგიკა ქვეყანას აიძულებდა, იმპერიული სცენარით ემოძრავა.

ოდნავ განმტკიცდა თუ არა, „მეორე“ რუსულმა სახელმწიფომ ამ ოღოროლოდრო მარშრუტზე იწყო სვლა.

მესამე ტომი



აზიასა და ევროპას შორის.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
ივანე III-დან ბორის გოდუნოვამდე

მესამე ტომის შესავალი

მესამე ტომის შესავალს აკუნინი იწყებს იმის შესხენებით, რომ პირველ ტომში აღწერა რუსული სახელმწიფო, რომელიც IX საუკუნეში გაჩნდა, რამდენიმე საუკუნე იარსება და შემდეგ დაიშალა. ამ „პირველი მცდელობის“ წარუმატებლობის მიზეზი, მარტივად და მოკლედ თუ ვიტყვით, ის იყო, რომ გაქრა მიზეზი, რომლის გამოც გაჩნდა ეს სახელმწიფო, ანუ სავაჭრო გზა „ვარიანებიდან ბერძნებამდე“. ამ სამდინარო მარშრუტმა ნელ-ნელა დაკარგა მნიშვნელობა ახალი სავაჭრო ტრაქტების გაჩენისა და ბიზანტიის დასუსტების გამო. აღმოჩნდა, რომ კიევში მყოფ ცენტრალურ ხელისუფლებას არ შესწევდა ძალა, ესოდენ დიდი ტერიტორია ეკონტროლებინა, შიდა რეგიონული კავშირები კი იმდენად განვითარებული არ იყო, რომ ერთიან პოლიტიკურ სისტემაში არსებობის აუცილებლობა შეექმნა. ვრცელი, მაგრამ ზერელედ დაკემსილი სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის დიდ ნაწილს მოიცავდა, XII საუკუნეში მრავალ წვრილ და საშუალო სამთავროდ დაიშალა. თუმცა მას ჯერ კიდევ ეწოდებოდა რუსეთი („Русь“), ჰქონდა ერთი ენა, საერთო კულტურა, ერთიანი საეკლესიო ორგანიზაცია და იმართებოდა ნათესავების – რიურკოვიჩების დინასტიის წარმომადგენლების მიერ.

მეორე ტომში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გაქრა ქვეყანა დროებით უცხო ძალის – მონღოლთა შემოსევის შედეგად. რუსეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა, დაიშალა ორ ნაწილად, რომლებმაც შემდგომი ისტორიული სვლა თავ-თავიანთ გზაზე გააჩქელა. აღმოსავლეთი ნახევარი ურდოს პროვინციად, შემდეგ კი ურდოს პროტექტორატად იქცა; დასავლეთი ნაწილი ლიტვის დიდი მთავრებისა და პოლონეთის მეფეების გავლენის ქვეშ მოექცა. ორასზე მეტი წლის განმავლობაში – XIII საუკუნის შუა წლებიდან XV საუკუნის შუა წლებამდე – სუვერენული რუსული სახელმწიფო არ არსებობდა.

თუმცა, ჩინგიზ-ყანის დიადი იმპერიის დასუსტებასთან ერთად ყოფილი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, გარკვეული ობიექტური და უფრო მეტად, სუბიექტური ფაქტორების გავლენით, გაძლიერება დაიწყო ერთ-ერთმა ბატარა სამთავრომ – მოსკოვმა. საკმაოდ სწრაფად, საუკუნე-

ნახევრის განმავლობაში, ის იმდენად გაძლიერდა, რომ მისი ლიდერობა უეჭველი გახდა, ხოლო თათართა ყაენის ძალაუფლება – წმინდა წყლის ფორმალობა. ვასილ II-ის გარდაცვალებისა და მთავრის ტახტზე მისი ვაჟის, ივანე III-ის ასვლის მომენტისთვის (1462 წ.) რუსეთის აღმოსავლეთ ნახევარში შეიქმნა ყველა პირობა დიდი სახელმწიფოს – რუსეთის მეორე სახელმწიფოს ასაღორძინებლად.

აკუნინი კვლავ აღნიშნავს, რომ, როდესაც თავის ნაშრომზე დაიწყო მუშაობა, შეგნებულად თქვა უარი რაიმე კონცეფციის ჩამოყალიბებაზე და ეს ცდუნება არც ახლა გასჩენია. იგი არ აპირებს მკითხველს რაიმე დაუმტკიცოს, არამედ სურს, მოვლენათა წყებას თვალი გადაევენოს, როგორ ვითარდებოდა რუსეთის სახელმწიფო, შეეცადოს მიხვდეს, რატომ გაუმკლავდა ის ზოგ სირთულეს, ზოგს კი – ვერა. და საერთოდაც, რა იყო „სასარგებლო“ და „საზიანო“ ყოველ ისტორიულ ეტაპზე. მიუხადავად ასეთი, განზრახ არამეცნიერული, არამეთოდოლოგიური გადმოცემის პირობებშიც კი ჩანს, რომ ათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში რუსეთმა არაერთხელ შეიცვალა მოძრაობის ვექტორი. ქვეყანა, რომელიც გეოგრაფიულად დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების გასაყარზე მდებარეობს, ხან დასავლეთისკენ იხრებოდა, ხანაც – აღმოსავლეთისკენ. ეს რყევები პირობითი ევროპიდან პირობით აზიაში იმდენად ცხადია, რომ სერიოზული მეცნიერებიდან რუსეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიულ „ორკომპონენტურობას“ ცოტა თუ უარყოფს.

ამ გეოპოლიტიკური ქანქარის რხევა ტომების სახელწოდებებშიცაა ასახული.

პირველს ჰქვია „ევროპის ნაწილი“, რადგან რუსეთი XIII საუკუნის შუაწლებამდე ზოგადევროპული ისტორიის კალაპოტში რჩებოდა (თუკი მასში ბიზანტიასაც მოვიანებთ).

მეორე ტომს ჰქვია „აზიის ნაწილი“, რადგან რუსეთი, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი აღმოსავლური ნახევარი, გახდა აზიური (მონღოლური) „დერჟავის“ ნაწილი და სრულიად სხვა პრინციპებით დაიწყო ცხოვრება.

მესამე ტომმა მიიღო სახელწოდება „აზიასა და ევროპას“ შორის. რუსეთმა აღიდგინა დამოუკიდებლობა, დაიწყო განვითარება, თუმცა ის ჯერ კიდევ გაცილებით ახლოს იყო აღმოსავლეთთან, ვიდრე დასავლეთთან –

უპირველესად, თავისი სახელმწიფო სისტემით, რომელიც მემკვიდრეობით ურდოსგან ერგო და რომელსაც, უმეტესწილად, ბაძავდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან რუს მმართველებს ოქროს ურდოზე უფრო ძლიერამოსილი სახელმწიფო არ ენახათ. ბიზანტია, კიევის დიდი მთავრების ყოფილი მასწავლებელი, დაკნინდა, 1453 წელს კი საერთოდაც შეწყვიტა არსებობა. ახალი გივანტი – ოსმალეთის იმპერია, სამხედრო „დერჟავა“ იყო, რომელიც ჩინგიზიდების სამეფოთა სტრუქტურას მრავალწილ იმეორებდა. სახელმწიფო ორგანიზაციის სამხედრო-ურდოსეული ტიპი მარტივ, ცხად და მოსახერხებელ პრინციპებზე იყო აგებული. მთავარი ღერძი – ხელმწიფის აბსოლუტური, საკრალიზებული ხელისუფლება; ქვეყანა იმართება მონარქის ნებით და არა კანონით; ყველა ქვეშევრდომი, პირველი დიდებულით დაწყებული, უკანასკნელი მონით დამთავრებული, სახელმწიფოს – ანუ ხელმწიფის მსახურად მიიჩნევა; ხისტი ვერტიკალური სტრუქტურა საჭიროების შემთხვევაში სამხედრო და სამეურნეო რესურსების სწრაფ მობილიზებას უზრუნველყოფს.

მართალია, ოქროს ურდო მოსკოვის მმართველების თვალწინ დაიშალა, მაგრამ, მათი აზრით, ეს ურდოს დიდებულთა თვითნებობისა და ყაენის ხელისუფლების დასუსტების გამო მოხდა. რუსებმა აქედან გამოიტანეს დასკვნა, რომელიც სრულიად ცხადი ჩანდა: რაც უფრო მკაცრია კონტროლი ზემოდან, მით უფრო მტკიცეა „დერჟავა“. ასე გაჩნდა პარადოქსი, რომელიც რუსეთის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ კოლიზიად იქცა. რუსეთი ურდოსეულ სახელმწიფოდ რჩებოდა, მაგრამ ცდილობდა ევროპულ პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი, ან სულაც, დომინანტური ადგილი დაეკავებინა.

აკუნინის სიტყვით, იმ პერიოდში ისტორიის მამოძრავებელმა, ენერგეტიკულმა ცენტრმა აღმოსავლეთიდან ნელ-ნელა დასავლეთისკენ გადაინაცვლა. ამ პერიოდის პირველ ეტაპზე ოსმანთა იმპერია დასავლეთს ჯერ კიდევ უტევდა და ავიწროებდა, მაგრამ ევროპა XVI საუკუნის ბოლოსთვის თავისი განვითარებით მოწინავე ხდებოდა და ამას ყველა ხედავდა. განახლებულ რუსულ სახელმწიფოს, რომელიც ტრადიციულად აღმოსავლეთზე იყო ორიენტირებული, დასავლეთთან ურთიერთობა სულ უფრო მეტად უწყევდა. ევროპა თანდათანობით მნიშვნელოვანი ხდებოდა – ეკო-

ნომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ინტერესები რუსეთს აიძულებდა ევროპისკენ მიბრუნებულიყო.

მომდევნო, მეოთხე ტომს, რომელიც XVII საუკუნის რუსეთს ეძღვნება, ეწოდება „ევროპასა და აზიას შორის“ – იმ დროს რუსეთი კიდევ მეტად მიუახლოვდა ევროპას.

მესამე ტომი მოიცავს პერიოდს 1462 წლიდან 1605 წლამდე – რუსეთის ფაქტობრივი გათავისუფლებიდან დიდ არეულობამდე – დამოუკიდებლობის ახალ დაკარგვამდე, რომლის მიზეზი შინაგანი კრიზისი და მტრის შემოსევა იყო. თავიდან აკუნინს სურდა, ამ ტომისთვის „მეორე მცდელობა“ დაერქმია, რადგან ეს მართლაც დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის მეორე მცდელობა იყო. მას მძლავრი სტარტი კი ჰქონდა, მაგრამ სამწუხარო ფინალით დასრულდა. სუვერენიტეტი კვლავ დაიკარგა, ამჯერად დასავლეთთან შეტაკების გამო. თუმცა რუსეთის ეს კრაზი ნაკლებად კატასტროფული აღმოჩნდა, ვიდრე XIII საუკუნისა – რამდენიმე წლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღდგენილ იქნა. მნიშვნელოვანია იმის გაგება და გააზრება: თუ რატომ იცვლებოდა თავდაპირველი წარმატებები მარცხით? რა იყო „მეორე“ რუსული სახელმწიფოს ასეთი სიმყიფის მიზეზი?

რუსეთის ისტორიის პერიოდები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ყოველ ტომში იცვლება თხრობის პრინციპი, კონკრეტულ პერიოდს რომ მიესადაგოს. სტრუქტურულად მესამე ტომი პირველისგანაც და მეორისგანაც განსხვავდება.

როდესაც ქვეყანაში – როგორც წესი, ობიექტური მიზეზების გამო – მყარდება ერთი ადამიანის შეუზღუდავი ბატონობა, მმართველის პიროვნული თვისებები ჰიპერტროფირებულ მნიშვნელობას იძენს.

ერთპიროვნული ძალაუფლების ესოდენი კონცენტრაცია, რაც ამ პერიოდში მოხდა, წინათ რუსეთში არასოდეს ყოფილა. თვითმპყრობელის პიროვნება განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკას და, ესე იგი, მის ბედს. დიდად არ გადავაჭარბებთ, თუკი ვიტყვით, რომ მოქმედებდა პრინციპი: როგორიცაა ხელმწიფე, ისეთივეა სახელმწიფო. ამიტომ ამ პერიოდის მოვლენები უფრო იოლია ობიექტურიდან სუბიექტურისკენ მიმავალი პრინციპით კი არ აღიწეროს, არამედ, პირიქით – პიროვნულიდან საზოგადოსკენ.

მთხრობელისთვის ეს ძალზე მოსახერხებელია. „მეორე მცდელობის“

ისტორია მარტივად შეიძლება ოთხ პერიოდად დაიყოს, მმართველების მიხედვით, და ყოველ ხანას თავისი მკაფიო ინდივიდუალური სახე ექნება. მესამე ტომის პირველ სამ ნაწილს მონარქების სახელები ეწოდა: „ივანე III-ის ხანა (1462-1505)“, „ვასილ III-ის ხანა (1505-1533)“, „ივანე IV-ის ხანა (1533-1584)“, მეოთხეს კი – „ბორის გოდუნოვის ხანა (1484-1605)“, ანუ ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის სახელი, თუმცა 1584-დან 1598-წლამდე ტახტზე მეფე თევდორე I (ფიოდორ I) იჯდა.

ყოველ ნაწილს ხსნის თავი, რომელიც მმართველის პიროვნებას ეძღვნება. ამის გარეშე სახელმწიფოს ცხოვრებაში ბევრი რამ გაუგებარი დარჩებოდა. შემდეგ მოდის თემატური თავები, რომლებიც ასევე მმართველის ინდივიდუალური თავისებურებებითაა განპირობებული. რაც უფრო თანმიმდევრული და რაციონალურია მმართველი, მით მეტად მწყობრია თხრობა (მაგ. ივანე III-ის პერიოდი), და პირიქით, ისეთი მონარქის შემთხვევაში, როგორც იყო ივანე IV მრისხანე, თხრობა ერთობ „აწეწილ-დაწეწილია“, „კონვულსიურია“.

აკუნინი ამ პასაჟით ასრულებს მესამე ტომის შესავალს.

მესამე ტომის დასკვნა*

რუსეთის „მეორე“ სახელმწიფოს ძალა და სისუსტე

ისტორიაში მუდმივად ერთი და იგივე მეორდება: ფაქტორები, რომლებსაც თავდაპირველად წარმატება და გამარჯვებები მოაქვს, ცხოვრების პირობების შეცვლასთან ერთად ქმედითობას კარგავს და უკუეფექტს იძლევა. პარამეტრები, რომლებმაც მე-15 საუკუნის შუა წლებსა და მეორე ნახევარში რუსეთის სახელმწიფოს ზრდა და განმტკიცება უზრუნველყო, მე-17 საუკუნის დასაწყისისთვის არათუ არასაკმარისი, ზოგჯერ დამლუბველიც კი აღმოჩნდა. ამ საუკუნენახევრის განმავლობაში მსოფლიო, – პირველ რიგში, ევროპა, საითკენაც იწყებდა სვლას რუსეთი, – ძალზე

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ.შენიშვნ.).

შეიცვალა. თავად რუსეთმაც კარდინალური ტრანსფორმაცია განიცადა. შედარებით პატარა ქვეყნიდან, რომელიც მარჯვედ იმართებოდა ტრადიციული, ურდოსეული მეთოდებით, ის დიდ, რთულმეურნეობიან, მრავალეროვან „დერჟავად“ იქცა. ხისტად ცენტრალიზებული ხელისუფლების მჭიდრო ლაგამი ქვეყანას იმდენად მორჩილებაში კი არ ამყოფებდა, რამდენადაც წინსვლაში უშლიდა ხელს, ერთ ადგილას ტორტმანსა თუ ბორძიკს აიძულებდა.

ამ სახელმწიფოს დამფუძნებელი ივანე III რუსეთს ისე უყურებდა, როგორც თავის დიდ მამულს და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მის მემკვიდრეებსაც ანალოგიური პრინციპით ემართათ. უკვე ვთქვით, რომ რუსულ ენაში სიტყვა „სახელმწიფო“ („государство“) წარმოებულია „ხელმწიფისგან“ („государь“), ანუ ქვეყანა განიხილებოდა, როგორც რაღაც, რაც მმართველის პირად საკუთრებას წარმოადგენს. (ეს დამოკიდებულება მონარქიის არსებობის ბოლომდე შენარჩუნდა. უკანასკნელმა მეფემ, ნიკოლოზ მეორემ 1897 წლის მოსახლეობის აღწერისას ანკეტის გრაფაში „საქმიანობა“, ჩაწერა: „პატრონი რუსული მიწისა“ („Хозяин земли русской“) – ანუ „ხალხის მსახური“ კი არა, არამედ მისი პატრონი, რომელიც ანგარიშვალდებული მხოლოდ ღვთის წინაშეა, ვინც მეფედ აკურთხა. ხოლო ივანე III-ის დროს დიდ მთავარს თავი მამულის პატრონად სიმბოლურად კი არა, არამედ სრულიად ბუკვალურად, სამეურნეო გაგებით მიაჩნდა.

დიდი სახელმწიფოს მამულივით მართვა არ შეიძლება. თუკი, ვთქვათ, ივანე მრისხანესავით მეტისმეტ სიკიუტეს გამოიჩინა პირადაპირი, „ხელით“ მართვის საქმეში, თვითრღვევის მექანიზმი ჩაირთვება.

აღწერილი პერიოდის ბოლოს სახელმწიფოს ცხოვრებაში სამმა მძიმე ავადმყოფობამ იჩინა თავი. სახელდობრ: ადმინისტრაციული სისტემის შეუმდგარობა, კანონების რუდემენტულობა და სწრაფად განვითარებადი დასავლეთისგან სულ უფრო მზარდი ჩამორჩენა, თანაც მეორე და მესამე უბედურება, მრავალწილ, პირველის შედეგს წარმოადგენდა.

მე-19 საუკუნის ისტორიკოსები კიდევ ერთ პრობლემას ასახელებდნენ, ზოგიერთი მათგანი მას მთავარ პრობლემადაც კი მიიჩნევდა. ეს ხალხის ზნეობრიობის კრიზისი გახლდათ. სოლოვიოვი წერდა, რომ ივანე მრისხანეს ბოროტმოქმედებათა შედეგად რუსეთში „დამკვიდრდა საშინელი

ჩვევა, მოყვასის სიცოცხლე, ღირსება, ქონება არაფრად ჩაეგდოთ...“ რომ „გარეგნულად მიწები შემოკრებილი იყო, სახელმწიფო შეკავშირებული, მაგრამ ადამიანის საზოგადოებასთან შინაგანი, ზნეობრივი კავშირის გაცნობიერება უაღრესად სუსტი გახლდათ“. ასეთივე შეხედულება ჰქონდა კოსტომაროვს, რომელიც ნაციონალურ კატასტროფაში ბრალს სდებდა „გულქვა და თავკერძი ადამიანების თაობას“, ტირანიისა და მასობრივი რეპრესიების პირობებში რომ გაიზარდა. თუმცა სოციალური და ფსიქოლოგიური არასტაბილურობა, რომელიც ესოდენ დრამატულად გამოიხატა „არეულობის ხანით“* და 1605 წელს სახელმწიფოს ჩამოშლით დასრულდა, ასევე ცუდად მოწყობილი სახელმწიფოს ღრმა შინაგანი კრიზისის შედეგი იყო.

სახელმწიფო „მეტისმეტად აზიური“, „მეტისმეტად ურდოსეული“ იყო. ხელისუფლების პრიმიტიული ვერტიკალურობა დროის მოთხოვნებს აღარ შეესაბამებოდა. არ არსებობდა ნამდვილი უწყება-სამინისტროები, რომლებიც სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროს ეფექტიან რეგულირებას შეძლებდნენ. რეგიონული მართვის ნორმალურად მომუშავე სტრუქტურაც არ არსებობდა. ასევე არ მოიპოვებოდა წესების ერთიანი, განვრცობილი კრებული, რომლის მიხედვითაც იცხოვრებდა უზარმაზარი ტერიტორია – მილიონობით კვადრატული კილომეტრის ფართობისა.

ეს მთელი გიგანტური პირამიდა ერთადერთ ღერძზე იყო აწყობილი: თვითმპყრობელის ფიგურაზე, რომელიც ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს, მათ შორის, ყველაზე უფრო წვრილმან საკითხებზეც კი. ძალიან მოკლედ თუ ჩამოვაყალიბებთ „მეორე“ სახელმწიფოს მთავარ პრობლემას, შეიძლება ითქვას: თვითმპყრობელობამ ჰერ ვერ ისწავლა ხელისუფლების გაზიარება. ხელმწიფის ნებისმიერი პირადი ნაკლი, ხასიათის აბერაცია, ავადმყოფობები, ქვეყნის მდგომარეობაზე უმაღლესი აისახებოდა.

ამ სისტემას მდგრადობა არ გააჩნდა, რადგან მეტისმეტად დამოკიდე-

* „არეულობის ხანა“ („დიდი არეულობა“) – რუსეთის ისტორიის პერიოდი, მოიცავს 1598–1613 წწ. ამ პერიოდში აღინიშნებოდა სტიქიური უბედურებები, პოლონელებისა და შვედების ინტერვენცია, მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი და სოციალური კრიზისი – რიურიკოვიჩების დინასტიამ არსებობა დაასრულა. ამ დროს პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოვიდნენ ავანტიურისტები და ტახტის მაძიებლები: ბორის გოდუნოვი, ცრუდიმიტრი I, ვასილ IV, ცრუდიმიტრი II და ვლადისლავ IV. ქვეყანას ავად თუ კარგად ბოიარები და საერობო კრება მართავდნენ (რედ.შენიშვნ.).

ბული გახლდათ არამატერიალურ შემადგენელზე: მოსახლეობას სჯეროდა, რომ თვითმპყრობელს ღვთაებრივი უფლებამოსილება ჰქონდა. როდესაც გოდუნოვის დროს ამ ფაქტორმა მოქმედება შეწყვიტა, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს მისი ჩანაცვლება არაფრით შეეძლო. შესაბამისად, სახელმწიფო დაიშალა.

თუმცა მმართველობითი მოდელის მარცხი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ რუსეთის აღსასრული დადგა. ქვეყანა დიდი და ძლიერი აღმოჩნდა, მან შეინარჩუნა განვითარების პოტენციალი; მას ჰქონდა განვითარების სივრცე; მისი ხალხისთვის, რომელიც კულტურულად, რელიგიურად და მეურნეობრივად იყო გაერთიანებული, ერთად ცხოვრება უფრო უსაფრთხო და უფრო მომგებიანი გახლდათ. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს საჭიროება არსად გამქრალა, მაგრამ აუცილებელი იყო მთელი სახელმწიფო ორგანიზმის ძირეული გარდაქმნა, დროის ცვლილებებს რომ მისადაგებოდა.

ასეთი „გადატვირთვა“, რომელსაც ზოგჯერ მთელი სისტემის დემონტაჟი სდევს თან, სამამაულო ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, თუმცა რუსეთის სახელმწიფოს „ურდოსეული“ საფუძველი უცვლელი რჩებოდა.

შეგახსენებთ, „ურდოსეული“ მოდელი თავისი პრინციპებით ჩინგიზ-ყანის „ოკეანური იმპერიიდან“ მომდინარეობს და შემდეგი ძირითადი ბარამეტრებისგან შედგება:

ჯერ ერთი, ესაა უკიდურესად ცენტრალიზებული სახელმწიფო, სადაც ძირითად გადაწყვეტილებებს „ყანის სადგომში“ იღებენ.

მეორეც, „დერჟავის“ ყველა ბინადარი სახელმწიფო სამსახურში მყოფად მიიჩნევა, სახელმწიფო უმაღლეს ფასეულობად ცხადდება: სახელმწიფო კი არ არსებობს მოსახლეობისთვის, არამედ მოსახლეობა – სახელმწიფოსთვის.

მესამეც, აუცილებლობას წარმოადგენს თვით ხელმწიფის ფიგურის საკრალიზება, რაც უნდა ერქვას მას მოცემულ ისტორიულ ეტაპზე: დიდი მთავარი, მეფე, იმპერატორი, გენერალური მდივანი თუ პრეზიდენტი.

მეოთხეც, მმართველის ნება კანონზე მაღლა დგას – ზუსტად ასევე, ურდო კანონებით კი არ იმართებოდა, არამედ ყანის ბრძანებულებებით.

შეიძლება ერთი კონსტანტა კიდევ დაგუმატოთ: პირადი უფლებების

ნაცვლად უცილობლად ყალიბდება პირადი პრივილეგიების სისტემა, რომელსაც ზემოდან ანიჭებენ (ან ართმევენ), რაც „ხელისუფლების ვერტიკალს“ გარკვეულ სიმწყობრეს სძენს და მმართველობას აუმჯობესებს.

რომანოვების ახალი დინასტიის დროს საბაზისო კონსტრუქციის დეფექტების გამოსწორება „მესამე“ რუსულმა სახელმწიფომ გადაწყვიტა, – იმ კონსტრუქციისა, ივანე III-მ რომ დააფუძნა. თავიდან ის „ღვთაებრივი წარმომავლობით“ მოსილი არ იყო, ამიტომ, ძალაუნებურად, იძულებული გახდა უფრო რთული, უფრო თანამედროვე ადმინისტრაციული სისტემა შეექმნა. მომდევნო ტომებში გამოჩნდება, რომ ეს ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა.

ერთ საუკუნეზე ნაკლებ ხანში პეტრე დიდს კიდევ ერთი კარდინალური მოდერნიზაციის განხორციელება მოუწია, რისთვისაც შეიქმნა „მეოთხე“ რუსული სახელმწიფო, რომელმაც გააგრძელა მოძრაობა „აზიიდან“ „ევროპისკენ“. ამ სახელმწიფომ, სამხედრო-ბიუროკრატიულმა იმპერიამ – გარეგნული დეკორით ევროპულმა, მაგრამ შინაგანი არსით კვლავაც „ურდოსეულმა“ – საკმაოდ დიდხანს, ორ ასწლეულზე მეტი გაძლო, და XX საუკუნის დასაწყისში, ევროპული ცივილიზაციის ტოტალური კრიზისის დროს, კვლავ დაიშალა.

„მეხუთე“ რუსული სახელმწიფოს (მას საბჭოთა კავშირი ერქვა) შემდეგ, რომელიც უკან, პირობითი „აზიისკენ“ გადაიხარა, გამოჩნდა „მეექვსე“, რომელიც 1991 წელს ჩამოყალიბდა. მის სიცოცხლისუნარიანობას მყისვე სერიოზული განსაცდელები შეხვდა, და მისი მდგრადობის გამოცდის შედეგი ჯერაც არაა ცხადი.

გეოგრაფიული მანიფესტი



ეპროქანა და აზიას შორის.
 რუსეთის სხალგვიფოს ისტორია.
 გეოგრაფიული მანიფესტი

მეოთხე ტომის შესავალი

აკუნინი მეოთხე ტომის შესავალს იწყებს ზოგადი შენიშვნით, რომ ისტორიის დინება არათანაბარია. შთამომავლობისთვის დასამახსოვრებელ მოვლენებს – ჩვეულებრივ, ეს ეპოქალური ცვლილებები თუ კატასტროფებია – ენაცვლება პერიოდები, რომელთა შესახებ ძველ მათიანეებში წერენ ხოლმე „არაფერი მომხდარა“ („ничего не было“), ანუ მოსაყოლი არაფერიაო, რადგან ცხოვრება თავისით მიედინებოდა. ზოგჯერ სახელმწიფო იწყებს ნახტომისებურ განვითარებას – როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩნდება მიზანსწრაფული ბელადი, თავის პროგრამას რომ ახორციელებს; ზოგჯერ კი ასეთივე სწრაფი კრიზისები ხდება – საგარეო თუ საშინაო მიზეზების გამო.

ამიტომ განსხვავებულ პერიოდებზე მოსახერხებელია სხვადასხვა თხრობა, გადმოცემის მეთოდის მისადაგება ეპოქის თავისებურებებსა და „მნიშვნელობასთან“. რუსეთის მეჩვიდეტე საუკუნე ამ მხრივ რთულია. დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში ჩაპრესილია როგორც „საბედისწერო წუთები“, რომლებიც დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი, ასევე, მდორე განვითარების ათწლეულები, როდესაც უფრო უპრიანია საუბარი ტენდენციებზე და არა მოვლენებზე.

წიგნის ასიმეტრიული სტრუქტურა ამით აიხსნება. მისი პირველი ნაწილი ეთმობა მხოლოდ რამდენიმე წლის შესახებ თხრობას, მომდევნო სამი ნაწილი კი გაცილებით უფრო ლაბიდარულია. იგივე პროპორცია არსებობს რუსეთის მეჩვიდეტე საუკუნეზე დაწერილ ისტორიულ გამოკვლევებში. საუკუნის დრამატულ დასაწყისზე გაცილებით მეტია დაწერილი, ვიდრე მომდევნო მოვლენებზე – საუკუნის ბოლომდე, როდესაც რუსეთმა თითქოს გამოიღვიძა და სწრაფი განვითარება იწყო.

პეტრე I-ის რეფორმებზე საუბარ მეხუთე ტომი დაეთმობა, ხოლო მეოთხე 1689 წლით სრულდება.

ამ ტომში აღწერილი ეპოქის კონცენტრირებულ მონაკვეთს, მჭიდრო კვანძს „დიდი არეულობა“ წარმოადგენს – ესაა სახელმწიფოს დაღუპვის გამოცდილება (თავისი მასშტაბებით ამ კრიზისს რუსეთში 300 წლის შემდეგ, მეოცე საუკუნის დასაწყისში მომხდარი კატასტროფა თუ შეედრება).

რუსული სახელმწიფო, რომელიც „დიდმა არეულობამ“ დაანგრია, ისტორიულად მეორე იყო. პირველი გახლდათ კიევის დიდი სამთავრო, რომელიც მეცხრე საუკუნეში შეიქმნა, როდესაც რიურკოვიჩების გვარმა დაამყარა კონტროლი „ვარიაგებიდან ბერძნებამდე“ მიმავალ სავაჭრო გზაზე. როდესაც XI-XII საუკუნეებში სამდინარო ტრანზიტმა თავისი წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა, ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა და ერთიანი სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა – მონღოლთა იოლ ლუკმად იქცა.

რუსეთის მეორე ცენტრალიზაცია განახორციელა მოსკოვის მთავარმა ივანე III-მ (1462-1505). მან სახელმწიფოს მოწყობის ნიმუშად ჩინგიზ-ყენის იმპერია აიღო. ურდოს მდგრადობა ეფუძნებოდა ხელისუფლების „პირამიდას“, რომლის მწვერვალს თავად ყენი წამოადგენდა. ქვეყანა საყოველთაო კანონებით კი არ იმართებოდა, არამედ ყენის ბრძანებულებით. მონარქის პიროვნება საკრალიზებული იყო, მისი ძალაუფლება კი – აბსოლუტური.

„მეორე“ რუსულ სახელმწიფოს მეტად მარტივი კონსტრუქცია ჰქონდა. ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ხელმწიფე იღებდა, ცდილობდა სრულად ეკონტროლებინა ვეება რუსეთი. ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი, საოლქო ადმინისტრაცია ჩანასახოვან მდგმარეობაში იყო. ქვეყანა ერთი კაცის საკუთარი, პირადი მამულივით იმართებოდა.

შუა საუკუნეებში ასეთს სტრუქტურას თავისი პლუსები ჰქონდა – მართვის სიიოლე, რესურსების აკუმულირება და მობილიზაციის მაღალი უნარი. მოსკოვის მთავარ მეტოქეებს – პოლონეთ-ლიტვის მეფეებს – ომის საწარმოებლად სჭირდებოდათ არისტოკრატის თანხმობა და სანქცია ფინანსების შესაგროვებლად, ეს კი უცებ ვერ ხერხდებოდა. ამ მხრივ რუსეთის ხელმწიფეს უპირატესობა ჰქონდა. საკმარისი იყო უბრალოდ ბრძანება გაეცა – ქვეყნის ყველა რესურსი, ადამიანურიცა და მატერიალურიც, პირადად მის განკარგულებაში ექცეოდა.

„მეორე“ რუსული სახელმწიფოს მთავარი სისუსტე, იმავდროულად, მისი სიძლიერის შებრუნებული, მონეტის მეორე მხარე გახლდათ. როდესაც მმართველი უნარიანი და ქმედითი იყო, ქვეყანა იზრდებოდა და

მტკიცდებოდა, თუ საშუალო ნიჭი და უნარ-თვისებები ჰქონდა – სტაგნაციას განიცდიდა, უვარგის მმართველს კი ქვეყანა დაქცევამდე მიჰყავდა. ხოლო თვითმპყრობელის არარსებობა სრულ კატასტროფას იწვევდა – ქვეყანას დამბლა ეცემოდა.

სწორედ ეს მოხდა 1605 წლის აპრილში, რის შესახებაც წინა ტომში გვქონდა თხრობა და რასაც კვლავ მივუბუბდებით – წერს აკუნინი – ამჯერად მოვლენებს თვითმარქვიას მხრიდან შევხედავთ. დავინახავთ, რომ ეს ავანტიურა ცუდად იყო ორგანიზებული და აუცილებლად ჩაიშლებოდა, მოსკოვში მეფე ბორისი უეცრად რომ არ გარდაცვლილიყო. ბორისის მემკვიდრე მოზარდი გახლდათ და დამოუკიდებლად მართვა არ შეეძლო. მეორეც, ახალ დინასტიას, სულ რაღაც შვიდი წლის წინათ რომ წარმოიშვა, საკრალურობის შარავანდედი ჯერ არ გააჩნდა.

მოკლედ თუ ვიტყვით, „მეორე“ რუსული სახელმწიფოს კრახის მიზეზი გახდა მეტისმეტად ძლიერი თვითმპყრობელობა მეტისმეტად სუსტი სახელმწიფოს პირობებში. მონარქის უკიდევანო ხელისუფლების და ინსტიტუციების განუვითარებლობის ერთდროულმა არსებობამ პოლიტიკურის სისტემის სიმყიფე განაპირობა. საკმარისი იყო ერთადერთი, კონსტრუქციის დამჭერი ღერძი გადატენილიყო, – და სახელმწიფოც ჩამოიშალა.

„არეულობის ხანა“ (ისევე, როგორც 1917 წლის მოვლენები) გვიჩვენებს, რომ ერთი შეხედვით მძლავრი „დერჟავა“ შეიძლება ძალზე სწრაფად დაიშალოს. ეს, თავისთავად, მართლაც საშინელი და მომნუსხველი სანახაობაა.

„დიდ არეულობასთან“ შედარებით მეოთხე ტომის დანარჩენი ნაწილი ფერმკრთალი ჩანს. მიხეილ რომანოვის გამეფების შესახებ თხრობა ნაკლებ საინტერესოა, არადა, სახელმწიფოს თვალსაზრისით ქვეყნის აღდგენისა და ახალი სისტემის შექმნის პროცესი არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მეოთხე ტომის დასკვნა*

გზის არჩევის წინაშე

ბევრ ისტორიკოსს რუსეთის მეჩვიდმეტე საუკუნე, გარკვეულად, დაკარგულ დროდ მიაჩნია, როდესაც ქვეყანა ერთ ადგილზე ბორძიკობდა, ევროპას სულ უფრო ჩამორჩებოდა. თუმცა რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ამ მონაკვეთს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას ასეც შეიძლება შეგხედოთ: ეს იყო მცდელობა ნაწილობრივ დაშორებოდნენ „ურდოსეულ“ მოდელს, რომელიც ივანე III-მ ისესხა, შემდეგ მისმა შთამომავლებმა კი აბსოლუტამდე აიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ „ურდოსეული“ ტიპის სახელმწიფო ოთხ მთავარ საყრდენზე იდგა.

ძალაუფლება მაქსიმალურად ცენტრალიზებული და კონცენტრირებული იყო; ყველა, ოდნავ მაინც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ერთი ინსტანცია – თავად ხელმწიფე იღებდა.

ყველა მაცხოვრებელი, უბირით დაწყებული, არისტოკრატით დამთავრებული, სახელმწიფოს წინაშე ყმა-გლეხის („კრეპოსტნოს“) მდგომარეობაში იყო, – სახელმწიფო უმაღლეს ფასეულობად მიიჩნეოდა: სახელმწიფო კი არ არსებობდა მოსახლეობისთვის, არამედ, მოსახლეობა სახელმწიფოსთვის.

უმაღლესი მმართველის ფიგურა საკრალური იყო, მისი ავტორიტეტის ნებისმიერი შელახვა მძიმე დანაშაულად მიიჩნეოდა.

ხელმწიფის ნება ნებისმიერ კანონზე მაღლა იდგა, – კანონები სავალდებულო იყო ქვეშევრდომთათვის, მაგრამ არა უმაღლესი ხელისუფლებისთვის.

XVII საუკუნის პოლიტიკურმა კრიზისმა ამ ხისტ კონტრუქციას განსაცდელი დაატეხა თავს, რასაც ველარ გაუძლო. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს დაჭერა ერთადერთი რკინის ლერძით სარისკოა: თუკი გატყდება, ყველაფერი ჩამოიშლება.

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ .შენიშვნ.).

ამიტომ მოდელი გარკვეულ კორექციას დაექვემდებარა, პირამიდის მწვერვალი გაამაგრეს საყრდენებით, რამაც სახელმწიფოს მისცა საშუალება, სუსტი ხელმწიფეების დროსაც ემუშავა, თუმცა „ურდოსეულობის“ დანარჩენი თვისებები შენარჩუნდა: ხელისუფლების ტოტალური ცენტრალიზაცია და მოსახლეობის ტოტალური შეზღუდვა, ასევე, ბრძანების ტოტალური პრიმატი კანონზე.

განახლებულმა „რბილმა“ თვითმპყრობელობამ უშველა ახალ დინასტიას – რომელიც, თავისთავად, თითქოსდა განზრახ, საკმაოდ სუსტ მონარქებს შობდა – გამყარებულიყო და შენარჩუნებულიყო, მაგრამ ამ უცნაურ ჰიბრიდულ სტრუქტურას ქვეყნის მრავალი საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრა არ შეეძლო.

ერთი მხრივ, სისტემა მეტისმეტად რიგიდული იყო და ქვეყნის ცოცხალ განვითარებას ხელს უშლიდა, პერიფერიულ და დამოუკიდებელ წინსვლას ამუხრუჭებდა. მოძრაობა მხოლოდ იქ შეინიშნებოდა, სადაც სახელმწიფოს ხელი ვერ სწვდებოდა – მაგალითად, ციმბირში.

მეორე მხრივ, „არათვითმპყრობელურ თვითმპყრობელობას“ არ შეეძლო სრული სახით გამოეყენებინა მობილიზაციურ-იძულებითი მექანიზმები, რომელთაც მშვენივრად ფლობდა კლასიკური „ჩინგიზ-ყაენისეული“ ტიპის იმპერია.

მარტივად თუ ვიტყვით, არსებობს ორი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება აიძულო მოსახლეობა, მასშტაბური ამოცანები შეასრულოს: მატერიალური დაინტერესება ანდა მობილიზაცია, რაც ენთუზიაზმით ან შიშითაა გამყარებული (როგორც წესი, მათი კომბინაციით).

„მესამე“ სახელმწიფოს არ შეეძლო არც შთაგონება და არც დაშინება. სისხლიანი დესპოტიზმის, ივანე IV-ის დროს ხალხს კიდევ უფრო მძიმე და საშინელი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ არათუ ამოხი, არამედ უკმაყოფილო დრტვინვაც კი არ გამოვლენილა; ჰუმანური ალექსი მიხაილოვიჩის დროს ქვეყანას მუდმივი ცხელება სჭირდა. მსგავსი ევოლუცია გაიარა XX საუკუნეში „მეხუთე“ რუსულმა სახელმწიფომ, საბჭოთა კავშირმა, სადაც სტალინური აღტაცება და შიში ბრეჟნევისეული „უძრაობით“ შეიცვალა.

1680-იანი წლების განსაცდელებმა აჩვენა, რომ „თვითმპყრობელობა თვითმპყრობელის“ გარეშე არა და არ მუშაობს. ან თავიდან უნდა „მო-

ეჭირათ ჭანჭიკები“, უნდა მიბრუნებოდნენ „ურდოსეულობას“, ან მთელი სისტემის პარამეტრები შეეცვალათ.

ქვეყანას მთლიანობაში კიდევ მეტი პრობლემა ჰქონდა, ვიდრე სამეფო ხელისუფლებას.

კლიუჩევსკის სიტყვით, რუსები „აღმოჩნდნენ იმ ადამიანების უხერხულ მდგომარეობაში, რომლებიც თავის საკუთარ მოთხოვნებს ჩამორჩნენ“. ისტორიკოსი წერს: „მოიწვიეს რამდენიმე ათასი უცხოელი, ოფიცერი, ჯარისკაცი და ოსტატი, და მათი დახმარებით, ასე თუ ისე, ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი რეგულარულ წესზე გადაიყვანეს, ისიც სათანადო აღჭურვილობის გარეშე. ააშენეს რამდენიმე ფაბრიკა და იარაღის ქარხანა, და ამ გაუმჯობესებული ჯარის და ამ ქარხნების მეშვეობით დიდი წვალებისა და ძალისხმვის შემდეგ გაჭირვებით დაიბრუნეს ორი დაკარგული ოლქი, სმოლენსკისა და სევერსკის, და რის ვაივაგლახით ინარჩუნებდნენ მათ ხელში ნებაყოფლობით გადასულ მალდოროსიას“ (დავუმატებ – შეინარჩუნეს მხოლოდდამხოლოდ რეჩ პოსპოლიტას კრიზისის წყალობით).

ჩამორჩენა ევროპისგან – ტექნოლოგიური, კულტურული, სამხედრო – რუსეთს მოწყვლადად აქცევდა საგარეო მუქარის წინაშე და არ აძლევდა საშუალებას, მსოფლიოში ის ადგილი დაეკავებინა, რომელსაც ესოდენ დიდი და პოტენციურად მდიდარი ქვეყანა იმსახურებდა. არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა თვით აგებულება რუსეთის სახელმწიფოსი, რომელიც თავის ფუნქციებს ვერ ასრულებდა. ის ყოველგვარი საგარეო ზემოქმედების გარეშეც თავისუფლად შეიძლებოდა ჩამოშლილიყო. 1670 წელს, რაზინის აჯანყებისას და 1682 წელს, სამხედრო პუტჩისას, ეს თითქმის მოხდა კიდევც.

ცუდად მოწყობილი, ჩამორჩენილი ქვეყანა განუფითარებელი ეკონომიკითა და სუსტი არმიით, რომელიც სულს დაფავდა საზღვაო ვაჭრობის გარეშე – აი, რუსეთის სახე XVII საუკუნის ბოლოს. მოდერნიზაციისა და რეფორმის აუცილებლობა ყველა სახელმწიფო მოღვაწისთვის აშკარა იყო. ერთადერთი, უნდა აერჩიათ, რომელი გზით წასულიყვნენ.

როგორც უკვე ითქვა, ორი გზა არსებობდა.

„ვერტიკალური“ მოდელი შეიძლებოდა შეეცვალათ პრინციპულად სხვა, „ჰორიზონტალურით“, რომელიც პროვინციის განვითარებას და მო-

სახლეობის თვითმოქმედებას სტიმულს მისცემდა, მაგრამ, საბოლოოდ, თვითმპყრობელობის გაუქმებას უცილობლად გამოიწვევდა. ამ გზას ჯერ კიდევ ათანასე ორდინ-ნაშროკინი* სთავაზობდა და, თუ „ყველა საქმის გამოსწორების“ პროექტით ვიმსჯელებთ, დეტალურად ამუშავებდა ვასილ გოლიცინი.**

იყო მეორე გზაც: უკან, ტოტალურ თვითმპყრობელობას, ანუ კლასიკურ სამხედრო, ჩინგიზ-ყაენის ტიპის იმპერიას მიბრუნებოდნენ, რომელიც განვითარებას სხვა საშუალებით დააჩქარებდა – ხისტად, მაგრამ, სამაგიეროდ, სწრაფად.

ეს არჩევანი ახალ მმართველს, მეფე პეტრეს უნდა გაეკეთებინა.

* ათანასე ლავრენტის-ძე ორდინ-ნაშროკინი (1605-1680) – დიპლომატი და პოლიტიკოსი, ბოიარინი (1667 წლიდან) (რედ.შენიშვნ.).

** ვასილ ვასილის-ძე გოლიცინი (1743-1714) – დიპლომატი, საზოგადო მოღვაწე, ბოიარინი, დედოფალ სოფიო ალექსის-ასულის ფავორიტი (რედ.შენიშვნ.).

მეხუთე ტომი



აზიური ევროპეიზაცია.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
მეფე პეტრე ალექსის-ძე

მეხუთე ტომის შესავალი

აკუნინი იწყებს იმით, რომ აღნიშნავს: პერიოდი, რომელიც მეხუთე ტომშია აღწერილი, ძალზე მოკლეა, თვით პეტრე I-ის (1682-1725) მეფობაზეც კი უფრო მოკლე, რადგან თავიდან იგი მხოლოდ ნომინალურად მართავდა – იმ წლების ამბები მე-4 ტომშია მოთხრობილი. თუმცა ის 30 წელი, როდესაც პეტრე ალექსევიჩი (ალექსის-ძე) რეფორმებს ატარებდა, უაღრესად მნიშვნელოვანია. ამან ქვეყნის მომავალი ბედი განსაზღვრა და ევროპის ისტორიაზეც არსებითი გავლენა მოახდინა.

რუსეთის სახელმწიფო სერიოზულად გადასხვაფერდა, თანაც ნაციონალური კატასტროფის შედეგად კი არა, როგორც ეს მე-15 საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის შემდეგ მოხდა, ანდა მე-17 საუკუნეში, „დიდი არულობის“ შემდეგ, არამედ რეფორმების შეგნებული განხორციელებით.

სახელმწიფოს რეკონსტრუქცია ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა – წინა მოდელის არასრულყოფილებამ – თუმცა ამ პროცესის მსვლელობაში ჩანს მრავალი სუბიექტური ფაქტორი, რაც იმ ადამიანის პიროვნელი ხასიათიდან თუ თვისებებიდან გამომდინარეობდა, რეფორმებს სათავეში რომ ედგა. და რადგანაც პიროვნება ერთობ თავისებური გახლდათ, ეპოქაც ასეთივე თავისებური და კოლორიტული გამოდგა.

აკუნინი აღნიშნავს: პეტრეზე და მის დროებაზე წერა საკმაოდ რთული საქმეა. რუსებს ოთხი ისტორიული მოღვაწე ჰყავთ, რომელთა მიმართ დამოკიდებულება ძლიერი ემოციებითაა შეზავებული: ივანე მრისხანე, ლენინი, სტალინი და პეტრე დიდი. ამ მმართველებზე თავგამოდებით მხოლოდ ისტორიკოსები კი არ კამათობენ, არამედ – ხალხიც. ყოველი ეს სახელი – სიმბოლოა, რომლის მიღმა გარკვეული იდეოლოგია და სახელმწიფოს გაგება დგას.

პეტრეზე შედარებით ნაკლებს დავობენ, ვიდრე დანარჩენ სამზე, თუმცა მით უფრო მეტჯერ მოჰყავთ ხოლმე მისაბამ მაგალითად. მას თავგანს სცემენ, ის უყვართ, არადა, სრული ერთსულოვნება მის მიმართ არასოდეს ყოფილა. ავტორთა უმეტესობა პირველი იმპერატორით აღტაცებულია, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც უარყოფს მის სიდიადეს. ასეთები, მართალია, ცოტანი არიან, მაგრამ ისინი არსებობენ. თანაც ისეთი ადამიანები არიან,

რომელთა შეხედულებასაც ხელის ერთი მოსმით ვერ უგულვებლყოფ.

აკუნინს მოჰყვს ორი, პოლარულად საპირისპირო შეფასება. ის ლიტერატორებს ეკუთვნის და არა მეცნიერებს, თუმცა თავისი სიდიადით ისინი პეტრეს არ ჩამოუვარდებიან.

პირველია პუშკინის შეფასება – აღტაცებითა და მაღლიერებით გამსჭვალული (გთავაზობთ პოეტური ტექსტის ბჭკარედს):

„თვითმპყრობელური ხელით / განათლებას გაბედულად ავრცელებდა, / მშობელი მხარე არ ეზიზღებოდა / იცოდა მისი დანიშნულება. / ხან აკადემიკოსი, ხან გმირი, / ხან ზღვაოსანი, ხან ხურო, / იგი ყოვლისმომცველი სულით, / სამეფო ტახტზე მარადიული მუშაკი გახლდათ.“ (ლექსიდან „სტანსები“, 1826)

(„Самодержавною рукой / Он смело сеял просвещение, / Не презирал страны родной: / Он знал ее предназначенье. / То академик, то герой, / То мореплаватель, то плотник, / Он всеобъемлющей душой / На троне вечный был работник.“)

მეორე შეფასება ლევ ტოლსტოს დამოკიდებულებას წარმოადგენს – საშინელ ემოციებს რომ იწვევს (გთავაზობთ პროზაული ტექსტის ბჭკარედს):

„გაცოფებული, გაღეშილი, სიფილისისგან დამპალი მხეცი, რომელიც საუკუნის მეოთხედის განმავლობაში ღუბავს ადამიანებს, სიკვდილით სჯის, წვავს, ცოცხლად მარხავს, ცოლს საპყრობილეში აგდებს, მრუშობს, მამათმავლობს, ლოთობს, გართობის მიზნით საკუთარი ხელით ჩეხავს თავებს, მკრეხელობს, (ეტლით) დაიარება ხის მიღებისგან გაკეთებული, სარცხვინელს მიმსგავსებული ჯვართა და სახარებით – არყის ყუთით ადიდებს ქრისტეს, ანუ რწმენას შეუტაცხყოფს, საკუთარ და თავისი საყვარლის (მამაკაცის) ... გვირგვინს ადგამს, აჩანაგებს რუსეთს და სიკვდილით სჯის ვაჟიშვილს, და კვდება სიფილისით, და მის ბოროტმოქმედებებს არა მხოლოდ არ ახსენებენ, არამედ დღემდე არ წყვეტენ ამ მხეცის განდიდებას და ბოლო არ უჩანს მის ნაირ-ნაირ ძეგლებს (მოთხრობა „ნიკოლაი პალკინის“ ხელნაწერის ფართოდ ცნობილი ფრაგმენტი).

(„Беснующийся, пьяный, сгнивший от сифилиса зверь четверть столетия губит людей, казнит, жжет, закапывает живых в землю, заточает жену, распутничает, мужеложествует, пьянствует, сам забавляясь рубит головы, кощунствует, ездит с

подобием креста из чубуков в виде детородных членов и подобиями Евангелий — ящиком с водкой славит Христа, т. е. ругается над верою, коронует б... свою и своего любовника, разоряет Россию и казнит сына, и умирает от сифилиса, и не только не поминают его злодейств, но до сих пор не перестают восхваления доблестей этого чудовища, и нет конца всякого рода памятников ему“ (знаменитый фрагмент из черновика к рассказу „Николай Палкин“).

პეტრეს მართლაც ყოველთვის ხოტბას ასხამდნენ: მონარქიის დროსაც, საბჭოთა კავშირშიც და პოსტსაბჭოთა რუსეთშიც. საქმე ისაა, რომ იგი მოსწონდათ ორივე დაპირისპირებული ბანაკის წევრებს, როგორც „ლიბერალებს“, ისე „ძლიერი სახელმწიფოს მომხრეებს“ (ე.წ. „გოსუდარსტვინიკებს“). პირველებს მოსწონდათ, რომ პეტრემ ქვეყანა ევროპისკენ შეაბრუნა, ხოლო მეორე პოზიციის მომხრეებს, რომ ძლიერი, გასამხედროებული „დერჟავა“ შექმნა.

რუსეთის მასობრივ ცნობიერებაში პეტრე პირველის სახეა მეორე ტოლსტოის, ალექსეი ნიკოლაევიჩის (ალექსი ნიკოლოზის-ძის) რომანმა შექმნა. ეს ერთობ ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოები მეფეს პატრიოტად და ამაღლებული ზრახვების მატარებლად წარმოაჩინს, თუმცა ადრეულ მოთხრობაში იგივე ავტორი მას სრულიად სხვანაირად ხატავს – იქ ის უხეში, უაზრო, პირუტყვის მსგავსი უჯიათია (Самодур).

„რა იყო რუსეთი მისთვის, მეფისთვის, პატრონისთვის... განა სიკეთეზე ფიქრობდა პატრონი, როდესაც მრისხანებისა და მოუთმენლობისგან გადანგრეული სახით ჰოლანდიიდან მოსკოვში მოჭენდა.“ (მოთხრობიდან „პეტრეს დღე“)

(„Что была Россия ему, царю, хозяину... О добре ли думал хозяин, когда с перекошенным от гнева и нетерпения лицом прискакал из Голландии в Москву“).

როდესაც მეორე პატრონმა, იოსებ სტალინმა მთელს ქვეყანას უბრძანა, პეტრე შეეყვარებინათ, შეხედულება მწერალმაც შეიცვალა. არადა, მას ისტორიული დოკუმენტები საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი, თუმცა ძნელი სათქმელია, სინამდვილეში იმპერატორის მიმართ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა.

აკუნინი აღნიშნავს, რომ მრავალტომეულზე მუშაობის დაწყებამდე მასაც დაახლოებით ისეთი წარმოდგენა ჰქონდა რეფორმატორ მეფეზე,

როგორც პუშკინს. მაგრამ გადაწყვიტა, რომ წინანდელ წარმოდგენას დაივიწყებდა და თავიდან გაიცნობდა პეტრეს, მით უფრო, რომ წყაროები დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი. არსებობს როგორც დოკუმენტები, ასევე თანამედროვეთა მოწმობანი. პეტრე დიდი პირველი რუსი მონარქია, რომელიც გახსნილი იყო ურთიერთობისთვის, დიდ დროს ატარებდა საზღვარგარეთ და ადამიანებს ინტერესს აღუძრავდა. რუსეთი პირველად გახდა მსოფლიოსთვის საინტერესო, არადა, მას ევროპაში მანამდე საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. საოცარ მეფეზე ბევრს წერდნენ, განსაკუთრებით, უცხოელები. ასევე არსებობენ რუსი მემუარისტები, რომლებიც თავიანთი დამოკიდებულების გამოხატვაში ნაკლებ თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ რუსულ სინამდვილეში უკეთ ერკვეოდნენ. ეს მოწმობები მეტად მრავალგვარია, მაგრამ, საერთო ჯამში, სრულსა და მოცულობით სურათს ქმნის.

აკუნინი აცხადებს, რომ წყაროების კითხვის შედეგად წარმოდგენა პეტრეზე არსებითად შეეცვალა.

მეხუთე ტომი ოთხი განყოფილებისგან შედგება: პირველი მთლიანად პეტრეს პიროვნებას ეძღვნება. იმის ცოდნისა და გაცნობიერების გარეშე, თუ რას წარმოადგენდა იგი, ძნელი გასაგებია, რატომ ვითარდებოდა მოვლენები ასე და არა სხვაგვარად. მისი პირადი ცხოვრების გარემოებანი, ხასიათის თვისებები, გონებრივი აშლილობა, წარმოდგენათა სისტემა, მიდრეკილებანი და ფობიები, ჯანმრთელობის მდგომარეობაც კი – ყველა ეს, ერთი შეხედვით, კერძო გარემოება თუ წვრილმანი არსებით გავლენას ახდენდა ქვეყნის ცხოვრებაზე. ზოგიერთი მათგანი ნაციონალური მატრიცის ნაწილადაც კი იქცა, რასაც თანამედროვე მსოფლიო ისე აღიქვამს, თითქოსდა ჭეშმარიტად ძირძველი რუსულია. თუკი რუსული ლიტერატურა „გოგოლის შინელიდან“ გამოვიდა, რუსეთის სახელმწიფოზე შეიძლება ითქვას, რომ ის დღემდე პეტრეს მაღალყელიან ჩექმებს, ბოტფორტებს ცვეთს.

მეორე განყოფილებას ჰქვია „მოვლენები“. ესაა მეფობის მოვლენების თანამიმდევრული, ქრონოლოგიური გადმოცემა, რაც 13 ნაწილადაა დაყოფილი.

მესამე განყოფილება – თემატურია. იქ გამოკვეთილია მთავარი მიმარ-

თულებები, რომელთა მიხედვითაც პეტრეს რეფორმების მსვლელებისას ქვეყნის ცხოვრება შეიცვალა.

მეოთხე განყოფილებაში პეტრეს გუნდის ჯგუფური პორტრეტია წარმოდგენილი.

პეტრე პირველზე მსჯელობა მეექვსე ტომშიც გრძელდება.

მეხუთე ტომის დასკვნა*

რუსეთი იმპერია ხდება

ვეცდები, შევაფასო მოვლენები ეპოქისა, რომელმაც იმდენად შეცვალა ქვეყნის ცხოვრება, რომ მგონია, სწორი იქნება, თუკი პეტრეს შემდგომ რუსეთის სახელმწიფოს რიგით „მეოთხე“ მოდიფიკაციას ვუწოდებ.

წინა, „მესამე“ რუსეთი რამდენადმე დაშორდა კლასიკურ „ურდოსეულ“ სისტემას, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნა ივანე III-მ. დევიაცია რამდენიმე ობიექტური მიზეზით აიხსნებოდა, უბირველესად – სამეფო ხელისუფლების კრიზისით. დინასტიის წყვეტის გამო სამეფო ტახტმა მნიშვნელოვნად დაკარგა საკრალურობის შარავანდი, რომელიც სრულიად აუცილებელია ჩინგიზ-ყაენისეული წარმოშობის „დერჟავისთვის“. პირველი რომანოვები იძულებულნი გახდნენ, სახელისუფლებო უფლებამოსილება ერთდროულად რამდენიმე ინსტიტუტისთვის გაენაწილებინათ: ჯერ ერთი, ბოიარებისთვის, რომლებმაც მეფედ თავისი ერთ-ერთი წარმომადგენელი დაასახელეს; მეორეც, ეკლესიისთვის, რომელიც წინააღმდეგობას სულიერად ჩაუდგა სათავეში; მესამეც, „საეროზო კრებისთვის“ („Земский собор“), რადგან ნაციონალური აღორძინების ნამდვილი გამირები სწორედ მისი მოლაშქრეები იყვნენ.

„დიდი არეულობის“ შემდეგ გაჩენილი ჰიბრიდული კონსტრუქცია, რომელიც ერთი ფეხით აზიაში იდგა, მეორეთი კი – ევროპაში, საკმაოდ არამდგრადი აღმოჩნდა. მაღალი სამობილიზაციო უნარი და მართვის მკაცრი „ვერტიკალურობა“, რასაც „ურდოსეული“ მოდელი ეყრდნობოდა, მოიწყა, მაგრამ, ამავე დროს, ქალაქების ზრდის, ვაჭრობისა და კერძო ინიციატივის განვითარების ახალი, ევროპული ტენდენციები ვერ დაინერგა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფო წარმატებით მოქმედებდა მხოლოდ იქ, სადაც არ აწყდებოდა სერიოზულ წინააღმდეგობას: ციმბირის თავისუფალ სივრცეებზე და დაშლის პროცესში მყოფ რეჩ პოსპოლიტასთან ბრძოლაში. სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა რუსეთის

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ. შენიშვნ.).

ჩამორჩენა სწრაფად განვითარებად დასავლეთევროპულ ქვეყნებთან შედარებით, სულ უფრო მძაფრად იგრძნობოდა სავაჭროდ ზღვებზე გასასვლელის მოპოვების აუცილებლობა. ამ უკანასკნელი ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო ძალა და რესურსები, რაც არ ჰყოფნიდათ.

საუკუნის ბოლოს რუსეთში ყველა გონიერი ადამიანისთვის ცხადი გახდა, რომ აუცილებელია ძირეული გარდაქმნები. ორ გზას შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინათ. ორივესთვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს სერიოზულად გარდაქმნა: ის ან უფრო „აზიური“, ზემოდან უკეთესად მართვადი უნდა გამხდარიყო, ანდა – „ევროპული“, დაბალ დონეზე უფრო აქტიურად განვითარებადი.

გზა, რომელსაც ძალზე პირობითად ვუწოდებ ევროპულს (იმ დროს ამ გზას მხოლოდ ძალზე ცოტა ევროპული ქვეყანა თუ მისდევდა), ეყრდნობოდა კონცეფციას, რომ სახელმწიფოს სიმდიდრე მისი მაცხოვრებლების სიმდიდრეზეა დამოკიდებული. ამ ლოგიკის მომხრე იყო ვასილი გოლიცინი. ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემორჩენილი ცნობებით მისი პროგრამის შესახებ, რომელსაც ერქვა „წიგნი, დაწერილი სამოქალაქო ცხოვრებაზე ანდა ყველა საქმის გამოსწორებაზე, რაც ხალხმა ერთად უნდა აკეთოს“. თავადი-დამცველი („ჩИИЗ-оберегатель“) გეგმავდა „ღარიბების გამდიდრებას“, „ველურების გაადამიანურებას“, გლეხებისთვის სახელმწიფო შრომითი ვალდებულებების „ზომიერი გადასახადით“ შეცვლას, აზნაურების საზღვარგარეთ განათლების მისაღებად გაგზავნას, „ყოჩაღი ჯარისკაცებისგან“ პროფესიული ჯარის შექმნას და ა.შ. ამავე დროს, ის, მგონი, არ ფიქრობდა რუსების ნაციონალური თავისებურებანი შეეღებოდა – ვთქვათ, მოეპარსა მათთვის წვერი და თავზე სამკუთხა ქუდი დაეკოსებინა.

მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის შედეგად რუსეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო სხვა ძალამ, რომელმაც ფსონი გააკეთა წინანდელი, „ურდოსეული“ მოდელისკენ მიბრუნებაზე, თუმცა, ამავდროულად, მრავალრიცხოვანი ტექნოლოგიური შესწორებებით, დროის სულსიკვეთებას რომ ესადაგებოდა.

შეგახსენებთ, რომ ასეთ სახელმწიფოს ოთხი მთავარი ნიშანი ახასითებს: ხელისუფლების მაქსიმალური ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია; ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ერთი ინ-

სტანცია – თავად ხელმწიფე;

ყველა ქვეშევრდომი მიიჩნევა სახელმწიფო სამსახურში მყოფად, რომელიც უმაღლეს ფასეულობად ცხადდება; სახელმწიფო კი არ არსებობს ხალხისთვის, არამედ ხალხი – სახელმწიფოსთვის;

თვითმპყრობელის ფიგურა საკრალურია და ნებისმიერ კრიტიკაზე მაღლა დგას;

ყველა კანონი პირობითია, რადგან კანონები მხოლოდ მოსახლეობისთვისაა სავალდებულო, და არა უმაღლესი ხელისუფლებისთვის.

ძნელი შესამჩნევი არაა, პეტრე I-ის რეფორმები მიმართული იყო იმისკენ, რომ ეს ოთხივე საყრდენი განემტკიცებინა.

მთავრობისა და რეგიონული მმართველობის ადმინისტრაციულმა რეორგანიზაციამ განსაკუთრებულად გააძლიერა და მოაწესრიგა სახელისუფლებო „ვერტიკალი“. თვითმპყრობელობა აღდგა იმ ფარგლებში, რომელიც რუსეთში არნახული იყო ივანე მრისხანეს დროიდან, და მეტი აღარაფრით იზღუდებოდა; არც პატრიარქობით, არც დუმით და, მით უფრო, არც სახალხო წარმომადგენელთა რაღაც კრებებით.

ყველა წოდება სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაზე ახლა კიდევ უფრო ხისტად იყო მიბმული, ვიდრე წინათ. აზნაურებს აიძულებდნენ, ესწავლათ და ემსახურათ; გლეხებსა და „პოსადის“* მოსახლეობას არა მხოლოდ საგადასახადო სიმძიმე აწვებოდათ, არამედ უფროსობის ნება-სურვილი ხმაამოუღებელი უნდა შეესრულებინათ: წასულიყვნენ ჯარისკაცებად, მეზღვაურებად ანდა მუშებად – მორიგ სახელმწიფო მშენებლობაზე.

მეფე გახდა იმპერატორი და ამავედროულად, ფაქტობრივად, მმართველი ეკლესიისა, რომელიც ახალ მოდელში საბოლოოდ გადაიქცა სახელმწიფო დეპარტამენტად.

გაცხოველებული კანონმდებლობითი საქმიანობა მიზნად სულაც არ ისახავდა კანონის უზენაესობას, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ, ვალდებულებებისა და აკრძალვების რთული სისტემის რეგლამენტირებას. თანაც, იმავედროულად, იურიდიული კომპეტენციიდან თვითმპყრობელური

* „პოსადი“ – ქალაქის შემოგარენი, ვაჭრებითა და ხელოსნებით დასახლებული (რედ. შენიშვნ.).

სახელმწიფოს უმთავრესი კანონიც კი ამოიღეს – კანონი ხელისუფლების გადაცემის შესახებ. ამიერიდან იმპერატორი ამ ძირითად საკითხსაც თვითნებურად წყვეტდა.

ქვეყანაში, რომელიც ასეთი პრინციპებით ცხოვრობს, არაა აუცილებელი, უფრო მეტიც, საზიანოც კია, რომ მოსახლეობა ეკონომიკურად წელგამართული იყოს, რადგან ხალხს, რომლის ერთადერთი საზრუნავი აღარაა ლუკმა-პურის შოვნა, თავის თავზე მეტისმეტად მაღალი წარმოდგენა უჩნდება, რაც ხელისუფლებას პრობლემებს უქმნის.

თუ მივიჩნევთ, რომ რუსეთში ევროპეიზაცია მოხდა, უნდა ვაღიაროთ, მხოლოდ და მხოლოდ, ფასადური, დეკორატიული. სახელმწიფოს შინაგანი არქიტექტურა კი ბირიქით, „აზიურ“ ყაიდაზე იქნა გადაწყობილი. ქვეყანა სულაც არ გამხდარა ევროპის ნაწილი, არამედ მხოლოდ „მისკენ გამავალი ფანჯარა გაჭრა“. ფანჯარა – კარი არაა, ის იმისთვის არსებობს, რომ მასში იყურონ, კი არ იარონ. და ევროპის ფანჯრიდან ყურება, რომელიც თან გისოსებიანია (საზღვარგარეთ წასასვლელად ნებართვა იყო საჭირო), რუსეთს კიდევ დიდხანს მოუწევს, – თავისი „ურდოსეული“ ცხოვრებით გააგრძელებს ცხოვრებას.

დავსვათ კითხვა: პეტრე დიდი მართლაც დიდი იყო თუ არა?

მასშტაბის, ისტორიული მნიშვნელობის აზრით, რასაკვირველია, იყო.

ყველაზე უკეთ ამის შესახებ თავადვე ბრძანა (ბრაუნშვეიგის დესპანის, ფრიდრიხ ვებერის გადმოცემით, რომელმაც ეს სიტყვა თავისი ყურით მოისმინა მორიგი ხომალდის წყალში ჩაშვებისას): „რომელ თქვენგანს დაესიზმრებოდა, ჩემო ძმებო, ოცდაათი წლის წინათ, რომ აქ ჩვენ, ოსტზეის ზღვასთან, დურგლობით დაგკავდებოდით და გერმანელთა სამოსში, ქვეყანაში, რომელიც მათვე წავართვით ჩვენი გარჯითა და ვაჟკაცობით, ავაგებდით ქალაქს, თქვენ რომ ცხოვრობთ; რომ მოვესწრებოდით და ვნახავდით რუსული სისხლის მქონე ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, ესოდენ გაბედულებსა და გამარჯვებულებს, ჩვენს შვილებს, უცხო ქვეყნებში რომ იყვნენ და ესოდენ გამჭირიხები დაბრუნდნენ; რომ ვნახავდით ჩვენთან ესოდენ ბევრ უცხოტომელ მხატვარსა და ხელოსანს, მოვესწრებოდით, რომ უცხო ქვეყანათა ხელმწიფენი პატივს მოგვაგებდნენ მე და თქვენ?“

გავაგრძელოთ კარამზინის სიყვებით: „მან... გამოასწორა, გაამრავლა

ჯარი, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა დახელოვნებულსა და ვაჟკაც მტერზე; დაიბყრო ლივონია, შექმნა ფლოტი, დააფუძნა ნავსადგურები, გამოსცა მრავალი ბრძნული კანონი, გააუმჯობესა ვაჭრობა, სამთო საქმე, შექმნა მანუფაქტურები, სასწავლებლები, აკადემია, და ბოლოს, რუსეთი ევროპის პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან ადგილას დააყენა“.

თავადმა შჩერბატოვმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში შეადგინა ტრაქტატი გრძელი, მეტად საიტერესო სახელწოდებით: „დაახლოებითი გამოანგარიშება, საუკეთესო პირობებში, რუსეთი თავისთავად, პეტრე დიდის თვითმპყრობელობის გარეშე რამდენ წელიწადში შეძლებდა მისულისყო ისეთ მდგომარეობამდე, რომელშიც დღესაა განათლებისა და დიდების თვალსაზრისით“. თავადის გამოთვლებით გამოდის, რომ მთავრობას პეტრეს ექსცესების გარეშე რომ მოეხერხებინა მუშაობა, ზომიერად და „თვითნებობის გარეშე“ ემოქმედა, არმიის შექმნას დაახლოებით ოცდაათი წელი დასჭირდებოდა; შემდეგ კიდევ ოცდაათი – ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას, ნავსადგურებისა და ფლოტის მშენებლობას; შემდეგ დადგებოდა სამრეწველო აღმშენებლობის, ვაჭრობის განვითარების, „მაღაროების თხრის ხელოვნების“ დახვეწის და სხვათა და სხვათა დრო, ასე რომ, რუსეთი საჭირო შედეგებს 1892 წლისთვის მიიღებდა. ამ ალტერნატიულ-ისტორიულ პროექციაში აღსანიშნავია შემდეგი: ის შეადგინა „სტაროდუმმა“ (ძველი ქაშის მომხრემ), რომელსაც ჰქონდა ნოსტალგია მოსკოვის დროებაზე, – პეტრეს სიდიადეს ისიც კი მიაგებდა ბატისს.

მაგრამ ეს სიდიადე ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდა – შესაძლოა, მეტიხმეტად ძვირი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რამდენად ამო იყო ვორონეჟის ფლოტისთვის გაწეული მრავალწლიანი ხარჯი და რომ საუკუნოვანი ტყეების ბარბაროსულმა გაჩეხვამ დონის სათავეების ეკოლოგია შეცვალა.

ამო აღმოჩნდა მსხვერპლი, ადამიანური და ფინანსური, რაც დაიხარჯა მცდელობებზე, შავ ზღვაზე გამაგრებულიყვნენ. შეუსრულებელი ამოცანა გადასაწყვეტად პეტრეს შთამომავლებს ერგოთ.

თუმცა წარმატებებიც კი წარმოუდგენლად დიდი ფასი დაჯდა. ცუდად ჩაფიქრებულმა და ავანტიურისტულად დაწყებულმა ჩრდილოეთის ომმა სრულიად გააჩანაგა და გამოფიტა მოსახლეობა. ასეულობით ათასი

ახლოგაზრდა მამაკაცი დაიღუბა ლაშქრობებსა და უხეიროდ ორგანიზებული მშენებლობებზე.

მტკივნეული, დამაზიანებელი დარტყმა მიაყენეს საუკუნობით ფორმირებად ნაციონალურ კულტურას, რაც სრულიად არ იყო საჭირო. პეტრედან მოყოლებული, რუსული კულტურა იყოფა ორ განცალკევებულ ნაკადად – ესაა ხალხური, რომელმაც შეინარჩუნა ბუნებრივი თავისებურება, მაგრამ არავინ უფრთხილდებოდა და ელიტარული, რომელიც თავიდანვე დასავლეთის მიმბაძველო იყო და მხოლოდ საუკუნის შემდეგ დაიწყო რაღაც ფასეულის გენერირება.

„დავუმალოთ ჩვენს თავს პეტრე დიდის კიდევ ერთი ბრწყინვალე შეცდომა? – მსჯელობს კარამზინი, – ვგულისხმობ ახალი დედაქალაქის დაარსებას სახელმწიფოს ჩრდილო კიდეზე, საფლობ ჭაობებზე, ადგილებზე, რომელთა უნაყოფობა და ნაკლულება თვით ბუნების მიერაა გადაწყვეტილი... რამდენი ადამიანი დაიღუბა, რამდენი მილიონი და რამდენი შრომა დაიხარჯა ამ განზრახვის განსახორციელებლად? შეიძლება ითქვას, რომ პეტერბურგი ცრემლებსა და გვამებზეა აგებული“.

ამრიგად, პეტრეს სიახლენი საზარელ ფასად იყო მოპოვებული. მაგრამ შევხედოთ საქმეს ისტორიული დისტანციიდან, დროთა განმავლობაში ჭრილობები ხორცდება, საფლავებს ბალახი ფარავს, უბედურება დავიწყებას ეძლევა. დღეს ლამაზი ქალაქის, სანკტ-პეტერბურგის შემხედვარე ცოტა ვინმე თუ ნაღვლობს, რომ „ცრემლებსა და გვამებზეა აგებული“. ისტორიაში ხშირად ყოფილა, რომ მკაცრი მმართველი, რომელიც თანამედროვეებს სისხლისმსმელად და ტირანად მიაჩნდათ, შთამომავლების მიერ სრულიად სხვაგვარად ფასდება – რადგან მომავალ თაობებს იმ მებაღის მიერ დანერგილი ხეების ნაყოფი ხვდებათ წილად.

მოდი, უემოციოდ და ობიექტურად შევხედოთ, რა გამოუვიდა და რა არ გამოუვიდა პეტრე დიდს.

მთავარი, ყველაზე შესამჩნევი და უეჭველი ცვლილება რუსეთის საერთაშორისო სტატუსს შეეხო. გაჩნდა ახალი დიდი სახელმწიფო, დანარჩენი მსოფლიოსთვის ანგარიშგასაწევი – მისი სიდიდის, რესურსებისა და სამხედრო ძალის გამო. როგორც სოლოვიოვი წერდა, „რაც უნდა ჩაეფიქრებინათ ახლა დასავლეთში, მზერას ძალაუნებურად აღმოსავლეთის-

კენ მიმართავდნენ; რუსული გემების, რუსული ჯარის უმცირესი მოძრაობა სამთავრობო კაბინეტების მღელვარებას იწვევდა; შეშფოთებით სვამდნენ კითხვას: საით მიემართება ეს მოძრაობა?“

მრეწველობა მეჩვიდმეტე საუკუნესთან შედარებით, რა თქმა უნდა, განვითარდა, მაგრამ მაინც სუსტი იყო – სამხედრო დანიშნულების ქარხნებს თუ არ ჩავთვლით. რას ნიშნავს ორასი ფაბრიკა და მანუფაქტურა ქვეყნისთვის, რომელსაც თხუთმეტმილიონიანი მოსახლეობა ჰყავს? ძლიერი მრეწველობა ვერ გაჩნდებოდა იქ, სადაც კერძო მეწარმეობა ჩანასახოვან მდგომარეობაში გახლდათ, მთავარი მწარმოებელი კი სახელმწიფო იყო, რომელიც ყველაზე მეტად მომჭირნე და გერგილიანი პატრონი სულაც არაა. ასევე სუსტად განვითარდა ვაჭრობა, მრავალრიცხოვანი შეზღუდვებით იყო შებოჭილი და მოხელეთა თვითნებობისგან დაუცველი. რუსეთის სიმდიდრე კვლავ თითქმის მთლიანად გლეხის შრომაზე იყო დამოკიდებული.

ქალაქებიდან სწრაფად მხოლოდ სანქტ-პეტერბურგი იზრდებოდა, რომლის ასაშენებლად და მოსაწყობად მთელი ქვეყანა იძარცვებოდა.

განათლება, ერთობ მინიმალური, საზოგადოების მხოლოდ ზედაფენას შეეხო, ხალხის მთელი მასა კი კვლავაც უწიგნური და გაუნათლებელი რჩებოდა. ამავე დროს, ევროპაში სწორედ განმანათლებლობის ეპოქა დადგა. „ეჭვგარეშეა, ის (პეტრე) დიდია, მაგრამ კიდევ მეტად განდიდდებოდა, რომ გამოენახა საშუალება რუსთა გონების გასანათლებლად...“ – სინანულს გამოთქვამს კარამზინი და ამას, ცხადია, თავისი ეპოქის მეფის საყურადღებოდ ამბობს. ეპოქისა, რომელშიც ეს სიტუაცია არაფრით შეცვლილა.

გამოდის, რომ რეფორმებს მხოლოდ იმ სფეროებში ჰქონდა წარმატება, რომელთა რეგულირება ზემოდან შედარებით იოლად ხერხდება: მართვისა და სამხედრო სფეროებში. სხვა მხრივ, რუსეთი თითქმის არ შეცვლილა და, ესე იგი, ეკონომიკურად, ტექნიკურად, კულტურულად და სოციალურად კვლავაც ჩამორჩენილი იყო, ევროპასთან შედარებით, სწრაფ ევოლუციას რომ განიცდიდა.

ამრიგად, პეტრეს მოღვაწეობის მთავარი შედეგი ის იყო, რომ რუსეთი სამხედრო იმპერიად იქცა.

პეტრე მაინცდამაინც სამხედრო იმპერიის შექმნას მიზნად თითქოსდა არც ისახავდა. მას მხოლოდ ზღვაზე გასასვლელის მიღება უნდოდა, მაგრამ საამისოდ იძულებული გახდა, სახელმწიფოს ყველა ინტერესი სამხედროს საქმისთვის დაექვემდებარებინა.

ეს ამოცანა, როგორც უკვე ითქვა, სრულად განხორციელდა. რუსეთი იქცა უზარმაზარ მანქანად, რომელიც უპირველესად არმიისა და ფლოტის გაძლიერებაზე მუშაობდა (გავიხსენოთ, რომ პეტრეს მმართველობის ბოლოსთვის, ანუ მშვიდობიანობისას, ეს ხარჯები ბიუჯეტის ოთხ მეხუთედს შეადგენდა). თავიდან სამხედრო ძალა საჭირო იყო, ახალი ტერიტორიები რომ დაეპყროთ; შემდეგ – იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ. შეიარაღებული ძალები რუსეთის ხერხემლად იქცა. „ამქვეყნად მხოლოდ ორი ერთგული მოკავშირე გვყავს – არმია და ფლოტი“, – განაცხადა ალექსანდრე III-მ პეტრეს მეფობიდან საუკუნენახევრის შემდეგ.

იმპერიის ბედს გასამხედროებული, ჯარივით ცენტრალიზებული სახელმწიფოს სტრუქტურა და ლოგიკა განსაზღვრავდა.

ნებისმიერი იმპერიის განმასხვავებელი ნიშანი უკვე ხსენებული „აიროვნება“, ანუ მისწრაფება, მთელი ხელმისაწვდომი სივრცე დაიკავოს.

პეტრე I-ის წყალობით (ანდა მისი ბრალეულობით – გააჩნია თვალთახედვას) „მეოთხე“ რუსეთი იმპერიად იქცა და ამიერიდან მისი წილხვედრი გაფართოება გახდა.

მეექვსე ტომი



ევრაზიული იმპერია.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
დედოვალთა ეპოქა

მეექვსე ტომის შესავალი

აკუნინი მეექვსე ტომის შესავალს იწყებს განცხადებით, რომ რუსეთისთვის მე-18 საუკუნე, მრავალი თვალსაზრისით, ერთობ ნიშანდობლივი პერიოდი იყო. ხანგრძლივი ცივილიზაციური დრეიფის შემდეგ რუსეთმა, თითქოსდა, გააკეთა გეოპოლიტიკური არჩევანი. თავდაპირველად, ძველი რუსეთი ევროპის ორგანულ ნაწილი იყო, მონღოლთა შემოსევის შემდეგ აზიის ნაწილი გახდა, დამოუკიდებლობის აღდგენის მერე ევროპისკენ იწყო ნელი სვლა და, აი, 1700-იან წლებში მიიღო ის ევრაზიული სახე, რომელიც მას მერე, არსობრივად, არც შეცვლილა.

ქვეყანა ერთდროულად ევროპადაც იქცა და აზიდაც – ან თუ გნებავთ, ევროპად და აზიად კი არა, არამედ რუსეთად, ერთგვარ სახელმწიფო კონსტრუქციად, სადაც უცნაურად, თუმც კი გარკვეული, თავისებური ლოგიკით, „აზიური“ და „ევროპული“ მოდელები შეერთდა. რუსეთის პოლიტიკის მარადიულ კონსტანტად და დომინანტად ამ ორ კომპონენტს შორის მერყეობა, რეფორმების და კონტრეფორმების უწყვეტი ცვლა გახდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ რუსეთი უბრალოდ ევრაზიულ მეტისად კი არ იქცა, არამედ ევრაზიულ იმპერიად, ანუ აქტიურ, აგრესიულ, ექსპანსიონისტურ სახელმწიფოდ, მუდმივად გაფართოებას რომ ცდილობს ორივე მიმართულებით – ევროპისკენაც და აზიისკენაც. ამგვარი სახელმწიფო მოწყობის ლოგიკა და მექანიკა ტერიტორიულ ზრდაზეა დამყარებული; იმპერია ყოველთვის „აიროვანია“, ვრცელდება მთელს სივრცეში, სადაც კი შელწევა შეუძლია, თუკი წინააღმდეგობა არ ხვდება. მე-18 საუკუნემ დაგვანახა, როგორ განუხრელად და უღმობლად ამუშავდა ეს პრინციპი, რუსეთმა როგორ მოიკიდა ზურგზე იმპერიულობის ტვირთი, მმართველთა ბირადი მრწამსის მიუხედავად – მათ შორის სრულიად მშვიდობიანი ადამიანებიც იყვნენ. მაგრამ სხვა გზა არ არსებობდა. იმპერიის ძირითადი ინტერესი თუ საქმიანობა ქვეყნის შიგნით კი არ იყო მიმართული, არამედ მის ფარგლებს გარეთ – წინააღმდეგ შემთხვევაში, მძლავრი და მრავალციხოვანი შეიარაღებული ძალების შენახვა რა საჭირო გახდებოდა?

მე-18 საუკუნის ორმა შენაძენმა – იმპერიულმა ენერგეტიკამ და კონცეპტუალურმა ევრაზიულობამ – გარკვეული თვალსაზრისით, რუსეთის შემდგომი ბედი განსაზღვრა, თუმცა ეს ასწლეული სხვა ნოვაციებითაცაა საინტერესო.

ასე მაგალითად, უმაღლესი ხელისუფლება შეეჯახა საკრალურობის კრიზისის ავადმყოფურ პრობლემას. წინა ტომებში აკუნინი ბევრს მსჯელობდა, რომ „ურდოსეული“ მოდელი, რომელიც მონარქის შეუზღუდავ ხელისუფლებაზე იყო დაფუძნებული, მისი ფიგურის გაღმერთების გარეშე წარმოუდგენელია. ის, ფაქტობრივად გაიგივებულია სახელმწიფოსთან – თვით სიტყვა „სახელმწიფო“ („государство“) რუსულ ენაში ხომ სიტყვა „ხელმწიფისგან“ („государь“) წარმოდგება (ასევეა ქართულშიც). არადა, პეტრე პირველის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ართურმა* („чехарда“) მეტად საეჭვო და სკანდალური მონარქებისა, რომლებსაც არავითარი „ღვთაებრივი უფლება“, არანაირი საკრალურობა არ გააჩნდათ. არსებითად, 1761 წელს რომანოვების რუსული დინასტია შეცვალა ჰოლშტეინ-ჰოტორპების გერმანულმა დინასტიამ, რომელმაც დაიტოვა რუსული სახელი. კიდევ უფრო გასაოცარია, რომ მკაცრი პატრიარქალური წესების („домострой“) მქონე ქვეყანაში მე-18 საუკუნეში სამეფო ტახტზე თითქმის სულ ქალები ისხდნენ.

მიზოგინურ (ქალთმოძულე) ქვეყანაში ქალების მმართველობის ფენომენი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ისტორიულ პერსპექტივაში უფრო მნიშვნელოვანია ქალების სოციალური როლის შეცვლა, რომელიც სწორედ იმ ეპოქაში მოხდა.

ასევე საინტერესოა სახელმწიფო მოწყობის შედარებით მარტივი „ურდოსეული“ მოდელის უფრო რთული, თვითმპყრობელურ-თავადაზნაურული მონარქიის ფორმატში გადაყვანის მექანიკა, ახალი დროის მოთხოვნებს უკეთ რომ პასუხობდა.

კიდევ ერთი საინტერესო, დრამატული თემაა უმაღლესი ხელისუფლების ექსპერიმენტები: რა იყო შესაძლებელი და რა – შეუძლებელი. კარგად

* ართურმა – სათამაშო ხტომა-გასართობი: ერთი დაიხრება და მეორე ზედ გადაახტება (რედ. შენიშვნ.).

ჩანს, როგორც ეკახებოდა სუბიექტური მომენტები ობიექტურს, როგორც იმ-სხვრეოდა ფორმალურად შეუზღუდავი მმართველის პირადი მისწრაფებები და ოცნებები რეალობასთან დაპირისპირებისას. მე-18 საუკუნემ ცხადად წარმოაჩინა, რომ ასეთი ყაიდის იმპერიაში თითქოსდა ერთადერთი თავისუფალი ადამიანი, მისი მმართველი, სინამდვილეში, თავის მოქმედებაში სულაც არ იყო დამოუკიდებელი და ამას თუ ვერ აცნობიერებდა, ძალიან ძვირად უჯდებოდა.

ასევე, ამ ასწლეულში ჩაისახა რუსული ლიბერალიზმი – წარმოდგენათა სისტემა, რომელიც თვითმპყრობელოური სახელმწიფოს „ურდოსეულ“ საწყისებს დაუპირისპირდა. მე-18 საუკუნის ბოლოს ნაციონალური ცნობიერება გაიხლიჩა, რაც შემდგომ რუსეთის საზოგადოების მთავარ დამარღვეველ ფაქტორად იქცა.

აკუნინი მეექვსე ტომის შესავალში მოგვითხრობს, თუ რა მდგომარეობაში დატოვა რუსეთი პეტრე პირველმა. იგი ჰიპერაქტიური რეფორმატორი იყო, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი პროექტებიდან წარმატებით მხოლოდ ზოგიერთი დასრულდა.

აკუნინი ჯერ იმაზე საუბრობს, რაც პეტრეს გამოუვიდა: მან არსებითად გარდაქმნა მე-17 საუკუნის მოსკოვის არქაული სახელმწიფო, ოღონდ ევროპულ ყაიდაზე კი არა, არამედ საპირისპირო სახით. რუსეთის პირველმა იმპერატორმა სრულად აღადგინა და განამტკიცა „დიდ არეულობამდე“ არსებული ფორმაციის „ვერტიკალურობა“, როდესაც მთელი ძალაუფლება ხელმწიფის ხელში იყო. ბოიარობა და საპატრიარქო, რომლებიც პირველი რომანოვების დროს აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში, ახლა გაქრნენ. რუსეთი იქცა სამხედრო „დერჟავად“, რომელიც ისევე, როგორც ჩინგიზ-ყენის დროს, „ყენის სადგომიდან“ იმართებოდა, ოღონდ მას ახლა გარეგნულად გერმანულ-ჰოლანდიური იერი ჰქონდა. სახელმწიფოს ეფექტიანობა და სამობილიზაციო უნარ-თვისებები მრავალჯერ გაიზარდა – პეტრემ მოახერხა და შვედეთს ბალტიის სანაპირო წაართვა, რაც ჰიპოტეტურად რუსულ საქონელს ჩრდილო ევროპის ბაზარზე გზას უხსნიდა.

რეფორმატორი ხელმწიფის წარმატებები ამით ამოიწურა. ყველაფერი დანარჩენი საკამათოა.

უზარმაზარი ქვეყნის ცენტრალური მართვის ქმედითი სისტემა მას არ შეუქმნია. ადგილობრივი ადმინისტრაცია ძალზე ცუდად მუშაობდა. მრეწველობის დარგებიდან მხოლოდ ის ვითარდებოდა, რომელსაც ხაზინა აფინანსებდა, ანდა არმიისა და ფლოტის საჭიროებებს ემსახურებოდა. კერძო ვაჭრობა სულს ღაფავდა, რაც ბალტიის ტერიტორიულ შენაძენს ფასს უკარგავდა. ფინანსები მძიმე მდგომარეობაში იყო. მოსახლეობა – გატანჯული და გაღარიბებული. ქალაქები არ იზრდებოდა, გარდა უცნაური, ჭაობზე აშენებული დედაქალაქისა – იქ ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ სამი პროცენტი ცხოვრობდა.

რადგან რუსეთი იმპერიად იქცა, საგარეო პოლიტიკაში სამი გიგანტური ამოცანა უნდა გადაეწყვიტა – შვედეთის, თურქეთის და პოლონეთის საკითხები. პეტრემ მთელი ძალები პირველი ამოცანის გადაწყვეტას შეაღწია. თურქეთთან ომი კი წააგო, შავ ზღვაზე ფეხი ვერ მოიკიდა. ასევე ხელი ვერ მიუწვდა პოლონეთზე, რომელიც დასუსტებული იყო და რუსეთის თვალში იოლ და „კანონიერ“ ლუკმად მოჩანდა.

სამაგიეროდ პეტრემ წამოიწყო ცუდად გააზრებული, გიგანტომანიური პროექტები, მაგალითად, სრულიად რუსეთის საწყალოსნო არხების სისტემის შექმნა, ანდა შორეული, კასპიის მიღმა ტერიტორიების დაპყრობა.

თანაც იმპერიის საძირკველი ისე მკვიდრად იყო ჩაყრილი, რომ ქვეყანას არჩევანი აღარ დარჩა, სხვა, არაექსპანსიონისტური გზით ვეღარ წავიდოდა. არადა, მე-17 საუკუნეში, ვასილ გოლიცინის დროს, ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო და განიხილებოდა კიდევ.

პეტრეს ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ მემკვიდრე არ დანიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის წინ რამდენიმე კვირა მძიმედ ავადმყოფობდა და, წესით, უნდა ეფიქრა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ ეწერა. მაგრამ ტირანებსა და დიქტატორებს თავი ხომ ყოველთვის უკვდავი ჰგონიათ.

1725 წლის იანვარში პეტრე გარდაიცვალა – კაცი, რომელმაც ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საძირკველი და, ფაქტობრივად, თავად განასახიერებდა სახელმწიფოს. რუსეთი – ეს ვეება, უხეიროდ შეკოწიწებული გემი, აბობოქრებულ ზღვაში კაპიტნის გარეშე დარჩა, კაპიტნისა, ვინც ერთადერთი იყო, შტურვალის გამოყენება რომ იცოდა და ერთპიროვნულად

წყვეტდა, საით უნდა გაეცურა გემს. ახალდაბადებული იმპერია დაობლდა.

მკაცრი მმართველის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ქვეყანა შოკში ჩააგდო. სახელმწიფო ეტლი, რომელმაც მეეტლე დაკარგა, თითქოსდა ერთ ადგილას გაიყინა. გავიდა ხანი – ეს პერიოდი 1725 წლიდან 1741 წლამდე გაგრძელდა – სანამ ქვეყანა სტუპორის მდგომარეობიდან გამოერკვა. გამოჩნდა ახალი მეეტლე, ცხენმა (ანუ ხალხმა) შვებით ამოისუნთქა. ტახტზე პეტრეს ქალიშვილი, ელისაბედი ავიდა.

მე-18 საუკუნე (პეტრეს შემდგომი ხანა) ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს, შესაბამისად, აკუნინის მიერ, ოთხ ნაწილადაა გადმოცემული.

პირველ ნაწილს ჰქვია „მღელვარე დრო“ („Первое время“) და მოიცავს მონაკვეთს პეტრეს გარდაცვალებიდან ელისაბედის გამეფებამდე. ამ პერიოდის რუსეთის მმართველ ფენაში ბევრი პოლიტიკური მოვლენა მოხდა, მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვანი – პრაქტიკულად არაფერი. ამ მონაკვეთს შეიძლება ასევე ეწოდოს „მცირე მონარქები, ხარბი ფავორიტები და უწყვეტი გადატრიალებები“ („Невеликие монархи, алчные фавориты и сплошные перевороты“).

მეორე ნაწილს ეწოდება „მძინარების დრო“ („Сонное время“). ის „თვინიერი ელისაბედის“ („кроткая Елисавет“) ოცწლიან მმართველობას ეძღვნება. ქვეყანამ განცდილი სტრესისგან ამოისუნთქა. ხელისუფლების ზედა ფენა დამშვიდდა. ერთი სიტყვით, მოსახლეობისთვის ეს პერიოდი ასწლეულის საუკეთესო მონაკვეთი იყო, ისტორიკოსისთვის კი – ყველაზე მოსაწყენი. იმპერიულობის ტვირთი რომ არა, რამაც ქვეყანა აიძულა დიდ ევროპულ ძიძგილაობაში („в большую европейскую свару“) ჩარეულიყო, მოსაყოლიც არაფერი იქნებოდა.

შემდეგ იწყება ეკატერინე II-ის (1762-1796) მმართველობა – „დიადი დროება“ („великое время“). დასვენებული რუსეთი ექსპანსიის და განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს პერიოდი ხალხისთვის მძიმე, ისტორიკოსისთვის კი – საინტერესო გახლავთ. ცხოვრების ყველა სფეროში მრავალი მოვლენა მოხდა, შესწავლას და გააზრებას რომ საჭიროებს.

მეექვსე ტომი სრულდება ნაწილით, რომელსაც „უცნაური დროება“ ჰქვია. ესაა პავლეს (1796-1801) ხანმოკლე მეფობის ხანა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეტიუდი თემაზე „პიროვნების როლი ისტო-

რიაში“: რა მოსდის თვითმპყრობელ მმართველს, როდესაც წარმოიდგენს, რომ ისტორიაში მთავარ როლს ასრულებს.

ოთხივე ნაწილი ერთ ქარგაზეა აგებული: ჯერ მოცემულია მოვლენის აღწერა მმართველ ზედაფენაში, შემდეგ ქვეყნის შიგნით და ბოლოს, ქვეყნის გარეთ. ეკატერინეს ნაწილი, გარდა ამისა, მრავალ თემატურ თავადაა დაყოფილი. ევრაზიული იმპერიის მშენებლობა განახლდა და, ძირითადად, დასრულდა კიდეც. ეკატერინეს მეფობის მიწურულს რუსეთის ისტორიული ბედი საბოლოოდ გადაწყდა.

მეექვსე ტომის დასკვნა*

მეთვრამეტე საუკუნის შედეგები და გაკვეთილები

იმპერიის წარმატება და მარცხი იმპერიულ კოორდინატა სისტემაშივე უნდა შეფასდეს, და ამ პოზიციიდან მოცემული პერიოდის შედეგები შთამბეჭდავად გამოიყურება.

1725 წლიდან რუსეთის ქვეშევრდომთა რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა, ბიუჟეტი – ოთხჯერ, საზღვრები პრუსიიდან და ავსტრიიდან ამერიკამდე გაფართოვდა.

პეტრეს მიერ გადაუწყვეტელი ორი საგარეო ამოცანა გადაჭრილ იქნა.

სამხრეთში, როგორც იქნა, ხელმისაწვდომი გახდა შავი ზღვა. მისი მთელი ჩრდილოეთ სანაპირო და ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთმა ჩაიგდო ხელში. დაიწყო ნოყიერი მიწების კოლონიზაცია, რომელნიც დროთა განმავლობაში ქვეყნის ბელლად იქცა. გაჩნდა ახალი, სწრაფად მზარდი ქალაქები. სეგასტოპოლის ფლოტის შექმნა და ციხე-სიმაგრეების აგება უფრო გრანდიოზული გეგმების განხორციელების შესაძლებლობას იძლეოდა: ბალკანეთსა და საბერძნეთზე გავლენის გავრცელების, კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდების, შავი ზღვის „ტბიდან“ ხმელთაშუა ზღვის სივრცეებზე გაჭრის შესაძლებლობას.

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ. შენიშვნ).

დასავლეთით განხორციელდა რუსი მეფეების ძველი ოცნება, თანაც, გადაჭარბებითაც კი. ისინი გახდნენ არა ნომინალური, არამედ რეალური ხელმწიფენი „მცირე და თეთრი რუსეთისა“ („Малыя и Белыя Руси“), ანუ თავის სკიპტრის ქვეშ გააერთიანეს ყველა აღმოსავლეთევროპელი ხალხი, მოსპეს პოლონეთი.

მთელი ასწლეული პეტრე დიდისა და მისი ჩანაფიქრების ჩრდილქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ ეპოქის მთავარი ფიგურა გახდა ქალი, ეკატერინე დიდი, რომლის ისტორიული მნიშვნელობა არაფრითაა პეტრეზე ნაკლები.

პეტრემ რუსეთი იმპერიად აქცია, საფუძველი ჩაუყარა მძლავრ, მაგრამ ძვირადღირებულ სახელმწიფო მანქანას. ეკატერინეს არ შეეძლო ამ კონსტრუქციის ჰანდიკაპებისგან* თავი დაეღწია, მაგრამ მისი პლუსების გამოყენება კი ისწავლა. „მის მეფობაში, – წერს საფრანგეთის ელჩი დე სეგიური, – რუსეთი ევროპული სახელმწიფო გახდა. პეტერბურგმა განათლებული სამყაროს დედაქალაქებს შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავა, სამეფო ტახტი კი ყველაზე მძლავრი და მნიშვნელოვანი სატახტოების დონეზე აღზევდა“.

თუმცა ეკატერინეს მთავარი წვლილი იმპერიის მშენებლობის საქმეში „დერჟავის“ ზომების გადიდება კი არ იყო, არამედ მისი განმტკიცება. დედოფალმა სახელმწიფოს შინაგანი მექანიზმის არსებითი რეფორმატირება მოახდინა, რისთვისაც იძულებული გახდა, დაშორებოდა კლასიკურ „ურდოსეულ“ მოდელს, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში შეირყა და რომელიც პეტრემ უკომპრომისოდ აღადგინა.

პირველმა იმპერატორმა მოიშორა საყრდენები, რომელთაც პირველი რომანოვები თავისი სისუსტის გამო იყენებდნენ: ბოიარების დუმა და საპატრიარქო. მეთვრამეტე საუკუნიდან მართვის ყველა ფუნქცია კვლავ თვითმპყრობელის ხელში კონცენტრირდა, მსგავსად იმისა, „მეორე“ რუსულ სახელმწიფოში რომ იყო და მერე „დიდმა არეულობამ“ დაანგრია. პეტრეს დროს არცერთი სახელმწიფო გადაწყვეტილება, მათ შორის, ყველაზე წვრილმან საკითხებზეც კი – მაგალითად, რა ჩაცვათ, ანდა გასვენება როგორ მოეწყობოთ – ხელმწიფის გარეშე ვერ მიიღებოდა.

* ჰანდიკაპი-ი [ინგლ. handicap] – რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში (მაგ., რბენაში): შედარებით სუსტი მონაწილისათვის მოცემული უპირატესობა (მანძილის ან დატვირთვის შემცირება და სხვ.) (რედ. შენიშვნ.).

შემდგომმა მოღონებმა აჩვენა, რომ თანამედროვე სამყაროში მსგავსი „ხელით მართვა“ („ручное управление“) შეიძლება მუშაობდეს – და ისიც უხეიროდ – მხოლოდ ფენომენალურად ქმედითი მონარქის დროს, როგორც პეტრე გახლდათ. ნაკლებ აქტიური ხელმწიფეების პირობებში ქვეყნის ცხოვრება იშლებოდა, ან სულაც, დამბლა ეცემოდა.

სიტუაციიდან გამოსავალს ეკატერინე II-მ მიაგნო. პეტრემ აზიური ნაგებობის მხოლოდ ფასადის ევროპეიზაცია მოახდინა; ეკატერინემ კი ნამდვილი მოდერნიზაცია განახორციელა, რუსეთის სახელმწიფოებრიობა ახალ პირობებს მიუსადაგა. მან ხელისუფლება უმაღლეს წოდებას გაუნაწილა და ამით „დერჟავას“ დამხმარეთა რესურსი მისცა, მონარქთან საერთო ინტერესები რომ აკავშირებდა.

ამასთან ერთად, დედოფალი უფრო ფართო ლიბერალური რეფორმების იდეასაც გაეთამაშა, თუმცა მისი განხორციელებისგან თავი შეიკავა – მოსალოდნელმა შედეგებმა დააშინა. ეს შიში უსაფუძვლო არ გახლდათ. „ურდოსელი“ ვერტიკალის გაუაზრებელი დემონტაჟი კრიზისს, ან სულაც სისტემის ჩამოშლას მოასწავებს. მარადიული არგუმენტი, რომელიც შემდგომ არაერთხელ გაჟღერდა, დღევანდელ დღემდე მოყოლებული, ისაა, რომ ესოდენ ვრცელი და მრავალგვარი ქვეყანა „მტკიცე ხელის“ გარეშე უცილობლად ქაოსში დაინთქმებოდა.

არადა, ქვეყანა სულ უფრო და უფრო ვრცელი და მრავალგვარი ხდებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ადმინისტრატორი, რომელიც „ვოევოდად“ იყო დანიშნული აღმოსავლეთის ყველაზე უკიდურეს ოლქში, ვთქვათ, იაკუტსკში, მოსკოვიდან იქ ჩასვლას სამიოდე წელს ანდომებდა. ხოლო 1801 წელს შიკრიკს მეფის ბრძანებულებით პეტერბურგიდან უკვე იაკუტსკში კი არ უხდებოდა ჩასვლა, არამედ, გაცილებით შორს, ალასკაზე. არადა, განსხვავებული მიდგომა – სახელმწიფო სხვა პრინციპზე გადაეწყობთ, რეგიონებისთვის ავტონომია მიეცათ – არც კი განიხილებოდა, რადგან ის პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ხისტად ცენტრალიზებული „ურდოსელი ვერტიკალის“ იდეას.

მეთვრამეტე საუკუნემ თვითმპყრობელ მონარქიას რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ასწავლა, რაც ძვირად დაუჯდა.

აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება და თვით ხელმწიფის სიცოცხლეც კი,

უპირველესად, თავადაზნაურთა უახლოეს, დედაქალაქში მყოფ წრეზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში სიტუაციის შენარჩუნების ორი ხერხი არსებობს: ხისტი – დაშინების გზა და რბილი – ანგარების გზა, რომელთაგან მეორე უფრო ქმედითია. ეს ნოუ-ჰაუ ქალებმა აღმოაჩინეს: ჯერ ელისაბედმა, შემდეგ ეკატერინე მეორემ. თუკი უმაღლესი ხელისუფლება საფრთხობელა კი არა, არამედ რალაც ლატარეის მსგავსია, რომელიც გაძლევს შანსს, გამდიდრდე და აღზევდე, მსახურები უფრო ცდილობენ და მეტსაც აღწევენ. „დედობრივად“ მართვა უფრო უსაფრთხოცაა და ეფექტიანიც. პავლე I-ის სამწუხარო მაგალითმა კი აჩვენა, რომ დიქტატორი, რომელიც უაზროდ ავილდობს და არასაკმარისად აშინებს, ცუდად ამთავრებს.*

პავლეს ბედმა კიდევ ერთი რამ გვასწავლა: თვითმპყრობელობის პრინციპი მეტისმეტად ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ. მონარქის ნებისა და დამოუკიდებლობის ფარგლები არც იმდენად დიდია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ყოვლად გაუწონასწორებელი მმართველიც კი დიდხანს გაძლებს ტახტზე, თუკი საკუთარ იდეებსა და სურვილებს საერთო განწყობას, ობიექტურ გარემოებებს, მოვლენათა გენერალურ ლოგიკას და უქვემდებარებს – ერთი სიტყვით, ისტორიის სვლა თუ ესმის, ან თუნდაც, გრძნობს. ქარის საწინააღმდეგო მიმარულებით შებერვის მცდელობა იწვევს იმას, რომ თავად ღვთივკურთხეულს შეუბერავენ და აღვიან პირისაგან მიწისა მტვრის ნამცეცვიით.

მეცხრამეტე საუკუნის პირველივე წელს უკვე ცხადი გახდა, საერთო ჯამში, რა გზით წავიდოდა რუსეთი ახალ ასწლეულში და რა პრობლემებს შეეჯახებოდა.

იმპერია იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ უცილობლად შემდეგ ეტაპზე უნდა გადასულიყო: სხვა დიდ „დერჟავებთან“ უკვე თანასწორობისთვის კი არ ებრძოლა, არამედ, პირველობისთვის. მეცხრამეტე საუკუნის ზღვარზე რუსეთი ყველაზე დასახლებული, ყველაზე მსხვილი და რეგოლუციური ომებისგან ყველაზე ნაკლებად დაზარალებული ქვეყანა იყო მთელ კონტინენტზე.

* პავლე I პეტრეს-ძე (1754-1801) – რუსეთის იმპერატორი, ეკატერინე II-ის და პეტრე III-ის ვაჟი. მოკლეს შეთქმულებმა. (პავლემ მოაწერა ხელი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას და გუბერნიის სახით შეერთებას. შემდეგ ეს მანიფესტი ალექსანდრე I-ის სახელით გამოქვეყნდა) (რედ. შენიშვნ.)

მთავარი მეტოქეც გამოიკვეთა: საფრანგეთი, რომელიც რევოლუციური განახლების წყალობით ასევე მეტად გაძლიერდა, ხოლო ხელისუფლებაში ბონაპარტის მოსვლის შემდეგ გეზი მსოფლიო ჰეგემონობაზე აიღო.

თუკი დასავლეთის მიმართულებით რუსეთს ძლიერი და აგრესიული მეტოქის შეჩერება უწევდა, სამხრეთსა და აღმოსავლეთში მისი მეზობლები სუსტნი იყვნენ, რაც ნიშნავდა, იმპერიის გაფართოება ამ ვექტორებზე გარდაუვალი გახლდათ. სივრცე ექსპანსიისთვის იქ უზარმაზარი იყო, ას წელზე სამყოფი.

ასევე წინასწარ განსაზღვრული იყო ქრონიკული ავადმყოფობანი, რომლებიც ევრაზიულ იმპერიას შეაწუხებდა.

„ურდოსეული“ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი უპირველესი ჯგუფის ავადმყოფობები ენდემური იყო და მისი მონოლითურობის, სამეფო ხელისუფლების საზღაურს წარმოადგენდა. რეჟიმი ხელს უშლიდა კერძო ინიციატივის, კაპიტალიზმის განვითარებას და, შესაბამისად, აფერხებდა მრეწველობის, ტექნიკის, ვაჭრობის ზრდას. არანაკლები მუხრუჭი გახლდათ ბატონყმობა. მიწის სავარგულების უზარმაზარი სიმდიდრის პირობებში რუსეთის სასოფლო მეურნეობა ევროპაში ყველაზე ჩამორჩენილად რჩებოდა, ხოლო მშრომელი კლასის პირადი უუფლებობა მეტად ზღუდავდა მუშახელის ბაზარს, რაც ინდუსტრიულ განვითარებას ვნებდა – სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც მოწინავე ქვეყნები სწრაფ მოდერნიზაციას განიცდიდნენ.

„შინაგანი ავადმყოფობების“ მეორე ჯგუფის ნიშნები ჯერ მხოლოდ ისახებოდა, თუმცა პროცესი უკვე დაწყებული იყო. საუბარია ნაციონალური ცნობიერების გახლეჩვაზე – გონისმიერ, ზნეობრივ მოძრაობაზე, რომელიც მაშინვე დაიწყო, როგორც კი ეკატერინემ თავადაზნაურული წოდების სტატუსი შეცვალა. თვითმპყრობელობისადმი დაქვემდებარებული მსახურიდან თავადაზნაურობა თანამმართველად იქცა, გარკვეული პიროვნული უფლებები მოიპოვა და უპირობო მორჩილების მკაცრ „ურდოსეულ“ სისტემაში ორგანულად ველარ ეწერებოდა. პავლე I-მა სცადა ძველი მდგომარეობა აღედგენა – და ამის საფასურად სიცოცხლე ზღო.

XIX საუკუნის დამდეგს უფლებებზე, თავისუფლებაზე, ადამიანის ღირსებაზე მხოლოდ ერთეულები თუ ფიქრობდნენ, და კიდევ ნაკლებნი

ხმამალა ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს პროცესი დაიწყო და აღარ შეჩერებულა. ახალ საუკუნეში შინაგანმა იდეურ-სოციალურმა კონფლიქტმა საგარეობოპოლიტიკური, კონკრეტულად იმპერიული პრობლემები თანდათანობით მეორე პლანზე გადასწია.

თუმცა 1801 წელს სასიკვდილო ავადმყოფობის სიმპტომები თითქმის არც იკითხებოდა. იმპერია ძლიერი გახლდათ, მისი მთავარი აღმაფრენა ჯერ კიდევ წინ იყო.

გეგვილა ტომი



პირველი ზესახელმწიფო.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
ალექსანდრა ღვთიშვიტხეული („БЛАГОСЛОВЕННЫЙ“)
და ნიკოლოზ ნეშარსახსოვარი („НЕЗАБВЕННЫЙ“)

მეშვიდე ტომის შესავალი

მეშვიდე ტომი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენებს აღწერს – ბავლე პირველის ორი ვაჟის, ალექსანდრესა და ნიკოლოზის მმართველობას. ეს ორი რეჟიმი, თავისი იდეოლოგიითა და სტილით, მეტად განსხვავებული იყო, მაგრამ მათ რუსეთს, აკუნინის სიტყვით, „სუნთქვის რიტმი“ მიანიჭეს, დღემდე რომ მოქმედებს: რეფორმაციას მოსდევს კონტრრეფორმაცია, ლიბერალიზმის მცირე ყლოვს მოსდევს კონსერვაციის ხანგრძლივი ამოსუნთქვა და ეს ციკლი კვლავ და კვლავ მეორდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია ის იყო, რომ რუსეთმა პირველად მიაღწია ზესახელმწიფოს სტატუსს და ევროპაში ლიდერობაზე პრეტენზია განაცხადა (ეს მსოფლიო ლიდერობის ტოლფასი იყო).

მეშვიდე ტომის სახელწოდება, „პირველი ზესახელმწიფო“, გვანსენებს იმას, რაც მეოცე საუკუნეში, 1945 წლის შემდეგ მოხდა. ანუ ზესახელმწიფოდ ქცევის მეორე მცდელობას, რომელიც მსგავსი მარცხით დასრულდა. ორივე შემთხვევაში ქვეყანამ წარმოუდგენელი მსხვერპლის ფასად ლიდერის პოზიციას მიაღწია, ორმოციოდე წელი ინარჩუნებდა მას, შემდეგ კი დაკარგა.

იმისთვის, უკეთ რომ გავიგოთ რუსეთის იმპერიის სწრაფი აღზევებისა და მომდევნო სწრაფი დასუსტების მიზეზები, მოკლედ გავიხსენოთ ეტაპები, „დერჟავამ“ რომ გაიარა.

აკუნინის აზრით, რუსეთი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თავის მეოთხე მოდიფიკაციაში იმყოფებოდა.

პირველი, პირობითად, მონოლემბამდელი რუსეთია. ეს ძალიან პირობითად, რადგან რუსოსლავების პირველ გაერთიანებას უშუალო კავშირი რუსეთთან არ ჰქონია. ის უფრო წინარე რუსეთია ისევე, როგორ წინარე უკრაინა, წინარე ბელორუსი და წინარე ლიტვაც კი, თუკი შემდგომ ლიტვის დიდ სამთავროს ვიგულისხმებთ.

სახელმწიფო, რომელსაც დღეს რუსეთის ფედერაცია ჰქვია, მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. ეს რუსეთის მეორე მოდიფიკაციაა. ივანე III-მ (1462-1505) ნიმუშად აიღო ჩინგიზ-ყაენის „ურდოსეული“ სახელმწიფოს მოდელი, რაც ოთხ მთავარ საყრდენზე დგას: ხელისუფლე-

ბის ტოტალური ცენტრალიზაცია; სახელმწიფოს იდეის საკრალურობა; ხელმწიფის ფიგურის საკრალურობა; ქვეყნის სიტუაციური მართვა (ანუ მართვა ხელმწიფის ნებით, სიტუაციიდან გამომდინარე, კანონებით კი არა). თავისი დროისთვის, როდესაც ევროპის ქვეყანათა უმრავლესობა დაშლილი იყო, ეს მოდელი საკმაოდ ეფექტიანი გახლდათ. მოსკოვის სახელმწიფო სწრაფად გაფართოვდა, მაგრამ უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში გამოჩნდა მისი სისუსტე: ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მმართველის პიროვნულ თვისებებს, არადა, მათ შორის ჩინგიზ-ყაენები და ივანე მესამეები იშვიათობას წარმოადგენენ. უუნარო ხელმწიფის შემთხვევაში ხელისუფლების „ვერტიკალი“ ცუდად მუშაობდა, ხოლო საკრალურობას თუ დაკარგავდა (მაგ. დინასტია თუ შეწყდებოდა), ეს საერთოდაც კატასტროფა იყო.

დიდი არეულობის შედეგად გაჩნდა რუსეთის მესამე მოდიფიკაცია, რომელშიც რომანოვების ჯერ კიდევ სუსტი დინასტია იძულებული გახდა, ძალაუფლება გაენაწილებინა ეკლესიისთვის, ბოიარული არისტოკრატისა და, ნაწილობრივ, „საშუალო“ ფენისთვისაც კი – პერიოდულად საეროობო კრებებს იწვევდნენ. სახელმწიფო მოწყობის ამ ფორმას არ ჰქონდა „ურდოსეული“ ადმინისტრაციული პირამიდის მდგრადობა და, ამავდროს, არ იყენებდა ადამიანების ბუნებრივ გერგილიანობას,* კერძო ინიციატივას, რასაც მეჩვიდმეტე საუკუნეში ადგილი ჰქონდა ევროპის ადრე-ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ამიტომ საჭირო გახდა სახელმწიფოს ახალი ფორმატირება, რაც მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში პეტრე პირველმა ჩაატარა. მან შექმნა რუსეთის მეოთხე მოდიფიკაცია – სამხედრო-ბიუროკრატული იმპერია. რუსეთის პირველ იმპერატორს ევროპეიზატორის რეპუტაცია აქვს, მაგრამ, სინამდვილეში, მან სრულიად საპირისპირო რამ გააკეთა: ქვეყანა კლასიკურ „ურდოსეულ“ მოდელს დაუბრუნა, მისი რესტავრაცია მოახდინა და არსებითად განამტკიცა. მკაცრი ვერტიკალური მართვის ძლიერმა სამობილიზაციო მექანიზმებმა დასავლეთიდან გადმოღებულ ტექნოლოგიებთან ერთად ეფექტი იქონია: მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთი, რომელიც არმიასა და ფლოტზე ბიუჯეტის სამ-მეო-

* გერგილიანი – შნოიანი, მარჯვე, საქმიანი, ფხიანი (რედ.შენიშვნ.).

თხედამდე ხარჯავდა, უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოთა რიგში ჩადგა.

თუმცა პეტრე პირველის შემდეგ დესპოტური მმართველობის მთავარ-მა ნაკლმა ისევ იჩინა თავი – თუკი თვითმპყრობელი ხელმწიფე სუსტია, ქვეყანა ველარ ვითარდება. თანაც მეთვრამეტე საუკუნეში, გართულებულ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ სიტუაციაში „ხელით მართვის“ ჰიბერცენტრალიზებულიობის არქაულობა ცხადად გამოჩნდა. ამიტომ ეკატერინე მეორემ სისტემის გარკვეული კორექტირება ჩაატარა, პეტრეს მიერ დაფუძნებულ ევრაზიულ იმპერიას თავისებური სახე მისცა. საუკუნის ბოლოს რუსეთი თვითმპყრობლურ-თავადაზნაურულ სახელმწიფოდ იქცა, სადაც მაღალმა წოდებამ, არისტოკრატამ განუყოფელი უფლებები მიიღო და „დაქირავებული მუშაკების“ მდგომარეობიდან „აქციონერ-მინორიტარების“* მდგომარეობაში გადავიდა, რაც „კორპორაციის“ მართვაში გარკვეული მონაწილეობის უფლებას აძლევდა. თვითმპყრობელობამ მოტივირებული თანამშრომლები შეიძინა, – სამხედრო-ბიუროკრატიული იმპერია საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

მეცხრამეტე საუკუნეში ეკატერინეს გარდაქმნების საშიში შედეგები გამოჩნდა. ჯერ ერთი, თავადაზნაურობის პოლიტიკური როლის გაძლიერებამ ბატონყმობის გაუქმება დროში ძლიერ გადაავადა – უმაღლეს ხელისუფლებას სურდა გლეხების გათავისუფლება, მაგრამ მემამულეების განაწყენებას ერიდებოდა. მეორე „გვერდითა ეფექტი“ თვითმპყრობელობითვის კიდევ უფრო საგანგაშო აღმოჩნდა. როდესაც ეკატერინე მეორემ ქვეშევრდომთა წარჩინებულ ფენას მისცა პრივილეგია, პირადი არჩევანის მიხედვით, სახელმწიფოს სამსახურში ჩამდგარიყვნენ ანდა ამაზე უარი ეთქვათ (მთელი ცხოვრება თავის მამულში გაეტარებინათ), თანაც დამატებით გარკვეული პიროვნული უფლებებიც მიანიჭა, ორი ძირითადი „ურდოსეული“ პრინციპი შეიკრა. ივანე მესამეს დროიდან მოყოლებული, რუსეთში პირველად შეიქმნა არცთუ ძალიან მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ გავლენიანი ადამიანების ფენა, რომლებსაც შეეძლოთ საკუთარი თავი სახელმწიფოს მსახურებად არ განეხილათ და რომლებსაც დაბადე-

* მინორიტარი – კომპანიის აქციონერი, ვისაც კუთვნილი აქციების რაოდენობა არ აძლევს საშუალებას კომპანიის უშუალო ხელმძღვანელობაში მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ გარკვეული პოზიციის მქონე მინორიტარები თუ ბევრნი არიან, კომპანიის საერთო კრებაზე კენჭისყრისას კომპანიის მომავალ ბედზე გავლენა შეუძლება მოახდინონ (რედ.შენიშვნ.).

ბით ჰქონოდათ განუყოფელი უფლებები. ეს აბსოლუტიზმს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა, რაც პირველად დეკაბრისტთა აჯანყების* დროს გამოვლინდა. შემდეგ დაპირისპირება სამეფო ტახტსა და პრივილეგიებულ ფენას შორის უფრო და უფრო გაღრმავდა. რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ფაქტორი გამოჩნდა – საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოს „ურდოსეული“ მოწყობის ძირეულ პრინციპებს იდეოლოგიურად დაუპირისპირდა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, რუსეთში ჩამოყალიბება დაიწყო ორმა ურთიერთდაპირისპირებულმა ბანაკმა. პირობითად მათ „ლიბერალები“ და „სახელმწიფოზე მზრუნველნი“ („გოსუდარსტვენნიკები“) შეიძლება ეწოდოს. იმ გაგებით, რომ პირველები ფსონს დებდნენ ადამიანის კერძო ინიციატივაზე, მეორენი კი – სახელმწიფოზე. ისტორიული თვალთახედვით, მართლესი მეორენი იყვნენ, რადგან მათ უკეთ ესმოდათ რუსეთის სახელმწიფოს შინაგანი არქიტექტურა და გრძნობდნენ, რომ მზიდი კონსტრუქციის ნებისმიერმა შერყევამ მთელი შენობის ნგრევა შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ შეხედულებათა ეს სისტემა უფრო და უფრო არქაული ხდებოდა. სამრეწველო რევოლუციის პირობებში, რომლის მამოძრავებელი თავისუფალი მეწარმეობაა, პიროვნების უფლებების შეზღუდვა განვითარებას ამუხრუჭებდა. იმპერია ეკონომიკურ, კონკურენტულ ბრძოლაში განვითარებულ სახელმწიფოებს ჩამორჩა, რამაც მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში მისი სამხედრო მარცხი, ყირიმის ომის კატასტროფა გამოიწვია.

ერთი სიტყვით, რუსეთი სცილასა და ქარიბდას შორის აღმოჩნდა – სტაგნაცია და ეკონომიკური ჩამორჩენა ლიბერალურ რეფორმებს მოითხოვდა, რეფორმები კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს, მის „ურდოსეულ“ კონსტრუქციას ძირს უთხრიდა. ხელისუფლება სტაბილურობას აღადგენდა ხისტი კონტრარეფორმებით, რაც იწვევდა კოლაფსს და იმის გაცნობიერებას, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“. და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. თანაც რეფორმები ყოველთვის დაგვიანებული, ანუ ნარქარევი და ცუდად გააზრებული იყო, თანაც კონტრარეფორმებს შიშის გამო მუდ-

* დეკაბრისტთა აჯანყება (რუს. Восстание декабристов) — სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც მოხდა პეტერბურგში, 1825 წლის 26 დეკემბერს (რედ. შენიშვნ.).

მივად ისტერიული ხასიათი ჰქონდა. ნოვაცია კონსერვაცია კი არ მოსდევდა, არამედ – რეაქცია.

მეშვიდე ტომი ორ ნაწილად მარტო იმიტომ კი არაა გაყოფილი, რომ ორი ხელმწიფის მეფობას აღწერს, არამედ იმიტომაც, რომ ალექსანდრე I-ის და ნიკოლოზ I-ის ხანა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ორივე ტიპის მმართველობას – ლიბერალურს და „სახელმწიფოებრივს“ („გოსუ-დარსტვენნიკურს“). თავისუფლებისმოყვარე ავტორების აზრით, ალექსანდრე პირველმა კარგად დაიწყო, მაგრამ ცუდად დაამთავრა – რეფორმები ბოლომდე არ მიიყვანა, ხელიდან გაუშვა ისტორიული შანსი, რუსეთი ნორმალურ ქვეყნად ექცია. „დერჟავნიკების“ აზრით, ნიკოლოზ პირველი ყოველმხრივ კარგი იყო, მაგრამ ფინალში ყველაფერი გააფუჭა, როდესაც ყირიმის ომი წააგო. ალექსანდრეს დამსახურებანი, რომელმაც „პარიზი აიღო“, სახელმწიფოზე მზრუნველ ავტორთა მიერ ასევე აღიარებულია, მას იფიციალურად ეწოდა „ღვთივკურთხეული“ („благословенный“). რაც შეეხება ნიკოლოზ პირველს, ლიბერალური საზოგადოების შემდგომი თაობებისთვის ის ოდიოზურ ფიგურად იქცა. ყველამ დაივიწყა რომ „ნეტარსახსოვარია“ („Незавенный“) – ასე უწოდეს ოფიციალურად გარდაცვალების შემდეგ – და მას უმეტესად მოიხსენიებენ, როგორც „ნიკოლაი პალკინს“.

აკუნინი აღნიშნავს, რომ მეცხრამეტე საუკუნის რუსი ხელმწიფეები გულწრფელად, მთელი ძალით ცდილობდნენ ხალხისთვის კარგი გაეკეთებინათ, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო რუსეთის საბედისწერო ანტინომისთვის თავი დაეღწია – იხლიჩებოდნენ მოდერნიზაციასა და სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობას შორის. ფარვანებივით ეხეთქებოდნენ შუშას, ცდილობდნენ თავი დაეღწიათ კოორდინატთა „ურდოსეული“ სისტემიდან, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ამის შანსს სისტემა არ უტოვებდა.

ამიტომ წიგნის ორივე ნაწილს სამწუხარო სათაურები აქვს. პირველს ეწოდება „დამსხვრეული ოცნებები“, მეორეს კი – „დაკარგული სიდიადე“. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის რაღაც მაინც ხომ არსებობდა, რაც შეიძლება დამსხვრეულიყო ან დაკარგულიყო.

მეშვიდე ტომი დასკვნა*

„ურდოსეულობის“ ზიგზაგები

თუკი აღწერილ პერიოდს „ურდოსეული“ თეორიის პოზიციიდან შევხედავთ, პარადოქსულ სურათს დავინახავთ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყანა თავის თავზე თითქოსდა ექსპერიმენტს ატარებდა, „ურდოსეულობის“ გრადუსს ხან ქვემოთ სწევდა, ხანაც – ზემოთ.

ალექსანდრე I ცდილობდა შეექმნა ლიბერალური სახელმწიფო, რომლის მცხოვრებლები ტახტის უფლებებო მსახურები კი აღარ იქნებოდნენ, არამედ მოქალაქეები. ნიკოლოზ I-მა მკვეთრად გადაუხვია საპირისპირო მხარეს და უფლებების ნაწილი თვით პრივილეგირებულ წოდებასაც კი წაართვა. ამასთან, იმპერიამ, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, არნახულ დიდებას მეფე-ლიბერალის დროს მიღწია, ხოლო მეფე-დერჟავინკის მმართველობისას ეს დიდება დაკარგა. 1856 წელს მისი საერთაშორისო წონა უფრო მცირე აღმოჩნდა, ვიდრე XVIII საუკუნეში იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ 1814 წელზე. გამოდის, რომ თვითმპყრობელური „საყრდენების“ განმტკიცებამ კი არ გააძლიერა, არამედ შეასუსტა რუსეთი?

თუმცა, სინამდვილეში, აქ არავითარი გამოცანა არ არსებობს.

ისტორიულად სახელმწიფოს „ურდოსეული“ მოდელი მძიმე განსაცდელის პერიოდში თავის საუკეთესო თვისებებს ავლენდა. ესენია: შეკავშირება, კარგი მართვადობა, მსხვერპლის გაღების მზაობა, მაღალი სამობილიზაციო უნარი. ამის გამო სამოქალაქო ომები მას ყოველთვის უკეთესად გამოსდიოდა, ვიდრე დაპყრობითი. რუსები ცუდად იბრძოდნენ ნაპოლეონთან 1805-1807 წლებში და შესანიშნავად 1812 წელს, რადგან მტრის შემოსევამ დიდი, ძლიერი ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზაცია მოახდინა.

ნიკოლოზ I-ის დროს კი ყველა ომი განაპირობა, იმპერიული იყო და, შესაბამისად, მსგავსი გამოძახილი ხალხში არ ჰქონია. მეტისმეტად ბევრი შინაგანი ფაქტორი არსებობდა, ევოლუციურ პროცესებს რომ აფერხებდა. ევროპული კოლექტიური უსაფთხოების სისტემის შექმნით და, რამდენა-

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ. შენიშენ).

დაც შესაძლებელი იყო, მისი შენარჩუნებით, იმპერიამ თავის თავს ავნო. სხვა ქვეყნებში ფართოვდებოდა ინდუსტრიული რევოლუცია, იზრდებოდა ეკონომიკა, ყალიბდებოდა თანამედროვე საზოგადოება, რუსეთის ხელისუფლება კი თავის ძალებს იმაზე ხარჯავდა, რომ ყველაფერი წინანდელივით დარჩენილიყო. რუსეთის სახელმწიფო ჩამორჩებოდა, ლბებოდა, სუსტდებოდა. ძლიერი და მონოლითური მხოლოდ ფასადურად ჩანდა და კიდევ, იმ პატაკებში, უმაღლეს ხელისუფალს რომ უგზავნიდნენ.

ქვეყნის შიგნით არავითარი ერთობა არ არსებობდა. უკმაყოფილონი დუმდნენ ანდა ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, რადგან ხმამაღლა ლაპარაკი სახიფათო იყო, მაგრამ ნიკოლოზის მეფობის დასასრულისთვის ეგრეთწოდებული შეგრძნება, რომ „ასე ცხოვრება არ შეიძლება“, საზოგადოებას თავიდან ბოლომდე მსჭვალავდა. თვით ტახტის მემკვიდრე, დიდი თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, რომელიც ვერ ბედავდა შეკამათებას მბრძანებელ მშობელთან, ძალზე კარგად ხედავდა, რომ ხისტი, „სახელმწიფოს განმამტკიცებელი“ კურსი ქვეყნისთვის მავნე და საშიში იყო. კაცმა რომ თქვას, ამის ვერშემჩნევა სამხედრო მარცხისა და ეკონომიკური კოლაფსის ფონზე საკმაოდ რთული გახლდათ.


თავდაზნაურობის დიდი ნაწილი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციამი აღმოჩნდა. ალექსანდრეს დროინდელი თავისუფლებების შემდეგ ნიკოლოზის ხანაში თავს შებოჭილად გრძნობდნენ. დიქტატურისთვის ერთადერთი გამართლება ხმამაღალი გამარჯვებები შეიძლება იყოს. ხოლო როდესაც მათ დამარცხებები ცვლის, აღარავის ესმის, რატომ უნდა იცხოვრონ უარესად, ვიდრე შეუძლიათ. სამხედრო იმპერიისთვის – რომელსაც რუსეთი წარმოადგენდა – ყირიმის ომის შემდეგ საკითხი კიდევ უფრო მკაცრად დაისვა. თუკი რუსეთს სურდა, რუკაზე თავისი ადგილი შეენარჩუნებინა, ყველაფერი უნდა შეეცვლა: წოდებრივი სისტემა, ეკონომიკა, შეიარაღებული ძალები, კანონები, მართვა.

მრავალწლიანი, ხისტი „სახელმწიფოს განმამტკიცებელი“ მმართველობის განმავლობაში ელიტას დაავიწყდა, რომ თავის დროზე ლიბერალიზმმა იმედები გაუცრუა. ალექსანდრეს ადრეული წლები ახლა „ოქროს ხანად“ ახსენდებოდათ.

რუსეთს სცილასა და ხარიბდას შორის თავის ხეთქებაში ახალი ზიგზაგი ელოდა. დაწყებული „ჭანჭიკების ტოტალური მოჭერით“, რამაც ქვეყანა უბადრუკ მდგომარეობამდე მიიყვანა, მათ სწრაფ „მოშვებამდე“, რაც რევოლუციურ ქაოსს მოასწავებდა, და ასე მუდმივად.

მომდევნო ტომს „რეფორმები და კონტრრეფორმები“ ეწოდება.

მერვე ტომი



წამალი იმპერიისთვის.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
მეფა-განმათავისუფლებელი და
მეფა-მშვიდობისმყოფელი

მერვე ტომის შესავალი

აკუნინი წერს: მე-19 საუკუნემდე იმის შეგრძნება, რომ რუსეთი ავადაა, მხოლოდ თავისუფლად მოაზროვნეებსა და დისიდენტებს ჰქონდათ. მაგრამ ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ ეს განცდა სახელმწიფოზე მზრუნველ ადამიანებსაც გაუჩნდათ. მათ ისეთი წამლის ძიება დაიწყეს, იმპერიას რომ განკურნავდა.

მერვე ტომს შეიძლება ეწოდოს „ზიგზაგები“, რადგან რუსეთის ისტორიის აღწერილი პერიოდი (1855 წლიდან 1894 წლამდე) ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით გაკეთებული მკვეთრი სვლებით ხასიათდება. თავიდან რუსეთი ცდილობდა, ნაციონალური ცხოვრების ყველა მხარე განეხლებინა – ნიკოლოზ პირველის კონსერვატიული კურსი უარყოფილ იქნა. ოცდახუთი წლის შემდეგ კი სახელმწიფო კვლავ 180 გრადუსით შემობრუნდა – „ჭანჭიკების მოჭერას“ შეუდგა, პოლიციური რეჟიმი დაამყარა. მეშვიდე ტომში ამის მსგავსი რაღაც უკვე იყო აღწერილი: ალექსანდრე I-ის კომპრომისულ-ლიბერალური მმართველობა დროის ასეთივე მცირე მონაკვეთში ნიკოლოზ I-ის უკომპრომისო-„გოსუდარსტვენისკური“ რეჟიმით შეიცვალა.

მკითხველს დეჟავიუს შეგრძნება არაერთხელ გაუჩნდება. რუსეთის ისტორიული ქანქარა ორივე მხარეს არაერთხელ გადაიხარა. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთი ერთსა და იმავე, „მოჯადოებულ“ წრეზე მოძრაობდა: რეფორმები – კონტრრეფორმები, მეტისმეტად ბევრი თავისუფლება – მეტისმეტად ცოტა თავისუფლება, „ყველაფერი, რაც არაა აკრძალული, დაშვებულია“ – „ყველაფერი, რაც არაა დაშვებული, აკრძალულია“. სახელმწიფო თავისუფლებასა და წესრიგს შორის სწორ ბალანსს ვერაფრით პოულობდა. აკუნინი ამასთან დაკავშირებით იხსენებს ფრაზას, რომელიც სტოლიპინს* მიეწერება: „ესაა ქვეყანა, სადაც ყველაფერი იცვლება ათ წელიწადში და არაფერი – ორას წელიწადში.“

* პეტრე სტოლიპინი (1862-1911) — რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი 1906-1911 წლებში. მოკლეს რევოლუციონერებმა (რედ.შენიშვნ.).

მერვე ტომი სამ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი ეძღვნება ალექსანდრე II-ის (1855-1881) ეპოქას, რომელიც „პროგრესულად“ მიიჩნევა იმ გაგებით, რომ ქვეყანამ არქაულობიდან მოდერნიზაციისკენ კოლოსალური ნაბიჯი გადადგა. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი რეფორმების პერიოდი, რაც სახელმწიფოს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. თუმცა მათგან ყველა წარმატებული არ აღმოჩნდა, ზოგიერთს კი საშიში შედეგები მოჰყვა, რამაც სახელმწიფო პოლიტიკის მკვეთრი შეცვლა განაპირობა.

მეორე ნაწილი აღწერს ალექსანდრე III-ის (1881-1894) მეფობას. ეს ეპოქა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით „რევრესული“ იყო, – ნიკოლოზ I-ის „რკინისებური მმართველობის“ იდეოლოგიას და მეთოდებს აღადგენდა. დაიწყო რეაქციული კონტრეფორმების გატარება, მრავალი ლიბერალური წამოწყება გაუქმდა ანდა ცოცხალი შინაარსი გამოეცალა.

წიგნის მეორე ნაწილი პირველზე გაცილებით მოკლეა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეს პერიოდი თავისთავად ორჯერ უფრო ხანმოკლე იყო, არამედ იმიტომაც, რომ მსგავსი ეტაპის დროს ისტორია, როგორც წესი, მუხრუჭდება, – და გაცილებით ნაკლები საინტერესო მოვლენა ხდება.

მერვე ტომის მესამე ნაწილი მთავარ სათქმელს ეხება – რა გავლენა იქონია ქვეყნის ცხოვრებაზე მთავრობის ორმოცწლიანმა რყევამ ერთი უკიდურსობიდან მეორეში. 1855 წლიდან 1894 წლამდე რუსეთი, რა თქმა უნდა, ისე ძლიერ არ შეცვლილა, როგორც 1955 წლიდან 1994 წლამდე, მაგრამ მეტამორფოზა მაინც კოლოსალური იყო.

მეცხრამეტე საუკუნის მერე ნახევრის ბევრ პრობლემას, დისკუსიასა და დაპირისპირებას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ზოგიერთი კითხვა, რომელზეც იმ დროის საუკეთესო მოაზროვნენი თავს იმტვრევდნენ, დღემდე უბასუხოდ რჩება.

მით უფრო მნიშვნელოვანია, იმ რთული პერიოდის პრობლემატიკაში იარაღების მიწებების გარეშე გავერკვეთ: ვინ იყო „ცუდი“ და ვინ – „კარგი“.

აკუნინის აზრით, სახელმწიფოზე მზრუნველ იმ ადამიანებს შორის, ვინც ისტორიულ გადაწყვეტილებებს იღებდა, „ცუდი“ არავინ ყოფილა. მათ ყველას ქვეყნისთვის სიკეთე სურდათ – მაგრამ საქმე ის იყო, რომ „სიკეთე“ თავისებურად ესმოდათ და ზოჯერ უხეშ შეცდომებსაც უშვებდნენ.

იგივე შიძლება ითქვას ახალ პოლიტიკურ ძალაზე, რომელმაც რუსეთის მოქალაქეების გულისა და გონების დასაბყრობად ბრძოლა წამოიწყო – რევოლუციონერებზე. ისინიც ოცნებობდნენ რუსეთის „განკურნებაზე“, ოღონდ რადიკალური, ქირურგიული მეთოდებით.

აი, ასე, იდეოლოგიათა ჭიდილში – იდეოლოგიათა, ამქვეყნიურ სამოთხეს თავისებურად რომ წარმოიდგენდნენ – ისახებოდა დიდი ნაციონალური ტრაგედია, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში მოხდა. იმპერიის ნგრევამდე და სამოქალაქო ომამდე ჯერ კიდევ ბევრი იყო დარჩენილი, თუმცა რუსეთის ზეცაზე უკვე გამოჩნდა პირველი გაელვებები და პირველი სისხლიც დაიღვარა.

ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის ეპოქები პასუხობს კითხვას: რატომ მოხდა ყველაფერი ისე, როგორც მოხდა.

მეჩვე ტომის დასკვნა*

გამარჯვების ფასი

მეცხრამეტე საუკუნე რუსეთისთვის ტრიუმფალურად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, კეთილად მაინც სრულდებოდა – ასე ჩანდა გარეგნულად.

ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის დროს იმპერიას მიემატა გრცელი ტერიტორიები სამხრეთსა და აღმოსავლეთში. შეიარაღებული წინააღმდეგობის კერები კავკასიასა და პოლონეთში იარაღის ძალით საბოლოოდ იქნა ჩახშობილი.

სახელმწიფოს შინაგანი მტრები, – რევოლუციონერები – შუბოვარი, სისხლიანი ბრძოლის შემდეგ გაანადგურეს, ხოლო მათი ახალი თაობა თითქოსდა დაცხრა და მძლავრი პოლიციის ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ბატონყმობის გაუქმება, სახელმწიფო სტიმულირება, უცხოური ინვესტიციები საშუალებას იძლეოდა, სამრეწველო რევოლუცია განეხორციე-

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ. შენიშვნ.).

ღებინათ, რამაც რუსული ეკონომიკა სრულიად გარდაქმნა.

სწრაფად ვითარდებოდა ნაციონალური კულტურა და მეცნიერება, რაც რუსეთის ახალ, უფრო მიმზიდველ სახებას ქმნიდა. ევროპის თვალში ის უკვე აღარ იყო ნახევრად აზიური იმპერია, რომლისთვისაც ანგარიში მხოლოდ იმიტომ უნდა გაეწიათ, რომ დიდი არმია ჰყავდა, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ ცენტრად იქცა.

მაგრამ ყველა ეს მოვლენა ეპოქის მთავარ საზრისსა და შინაარსს არ გადმოსცემს, რადგან უმნიშვნელოვანესი ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ისაა, რაც განსაზღვრავს ქვეყნის შემდგომ ბედ-იღბალს და ის, საიდანაც შეიძლება სასარგებლო დასკვნები გამოიტანო.

აი, აქ კი სხვა სურათი ჩანს.

ეს ეპოქა ჩვენთვის, დღევანდელ დღეს მცხოვრებთათვის, უპირველესად იმითია საინტერესო, რომ რუსეთის მართვის ორივე კონცეფციის – „რბილისა“ და „ხისტის“ – მინუსებს და პლუსებს, თავისუფლებასა და წესრიგს შორის ბალანსირების სიძნელეებს გვიჩვენებს.

ალექსანდრე II-ის ლიბერალური რეფორმები – სამამულო ისტორიაში „ზემოდან განხორციელებული რევოლუციის“ პირველი მსხვილმასშტაბიანი ექსპერიმენტია. ყირიმის ომმა აჩვენა, რომ ინდუსტრიულ სამყაროში, რომლის მამოძრავებელი კერძო კაპიტალია, ძველებურად ცხოვრება – ისე, როგორც ნიკოლოზ I-ის დროს ცხოვრობდნენ – აღარ შეიძლება. „ხელით მართვა“ აღარ მუშაობს, სხვა მექანიზმები უნდა ჩაირთოს.

მაგრამ „ზემოდან განხორციელებული რევოლუცია“ – უაღრესად სარისკო ღონისძიებაა, რომელიც თითქმის ყოველთვის მისი ინიციატორების წინააღმდეგ ბრუნდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყველა რისკს ვერ აცნობიერებენ. რუსეთის სახელმწიფოს პირობებში კი, რომელიც ოთხ „ურდოსეულ“ საყრდენზე იდგა – ხელისუფლების ზეცენტრალიზაციაზე, კანონების პირობითობაზე, სახელმწიფოს საკრალურობასა და ხელმწიფის ფიგურის გაღმერთებაზე – ნებისმიერი მოძრაობა თავისუფლებისკენ ამ არქაულ, მაგრამ მტკიცე კონსტრუქციას არყევდა. ადგილობრივი თვითმმართველობის სუსტი საწყისების შემოღებაც კი წარმოშობდა ეჭვს ადმინისტრაციული „ვერტიკალის“ სარგებლიანობაში, საჯაროობა უცილობლად გააქრობდა მთავრობის წინაშე პიეტეტს, დამოუკიდებელი სასამართლო-

ების შემოღება კი საფუძველს გამოაცლიდა სახელმწიფოს მონობოლიას ხელისუფლებაზე.

XIX საუკუნის სამოციან და სამოცდაათიანი წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ “ურდოსეულ” სახელმწიფოში ლიბერალური რეფორმები არ მუშაობს. ეს სახიფათო, ჩიხური გზაა, რომელიც პოლიტიკურ კრიზისამდე და აფეთქებამდე მიდის. გამოღვიძებული საზოგადოება მუდმივად უფრო და უფრო მეტ უფლებებს ითხოვს, ხელისუფლება სუსტდება, უზარმაზარ ქვეყანას ველარ აკავებს და სახელმწიფოს დაშლა იწყება.

არსებობს მხოლოდ ორი საშუალება, ამ ტრაგიკული შემობრუნების თავიდან ასაცილებლად: ან „ურდოსეულ“ პრინციპზე უარი ბოლომდე უნდა ითქვას, სახელმწიფო სხვა, დეცენტრალიზებულ ფუნდამენტზე უნდა ააშენო (ამაზე კი სერიოზულად არავინ ფიქრობდა), ანდა სასწრაფოდ აღადგინო შერყეული საყრდენები.

ძნელია დაადანაშაულო ალექსანდრე III იმაში, რომ მამის საზარელი სიკვდილის შემდეგ* მეორე გზა აირჩია.

მისმა, არც თუ ხანგრძლივმა, მეფობამ აჩვენა, რომ „ჭანჭიკების მოჭერის“ პოლიტიკამ მოყვანყალბული სახელმწიფო დაშლას მართლაც შეიძლება გადაარჩინოს. 1894 წელს, როდესაც ხელმწიფე გარდაიცვალა, რუსეთი გაცილებით უფრო მტკიცე და სტაბილური ჩანდა, ვიდრე ცამეტი წლის წინათ იყო.

მაგრამ სწორედაც რომ „ჩანდა“. შემდეგი იმპერატორი, რომელმაც მორჩილად გააგრძელა ალექსანდრე III-ის კურსი, რამდენიმე წლის შემდეგ „კონსერვაციული თერაპიის“ უმძიმეს გვერდითა ეფექტებს შეეჯახა: ტერორიზმის ახალ, კიდევ უფრო მძაფრ აფეთქებას და სამხედრო მარცხს – თანაც ევროპასთან ბრძოლაში კი არა, როგორც ეს ნიკოლოზ I-ის დროს იყო, არამედ პატარა აზიურ ქვეყანასთან (იაპონიასთან) დაპირისპირებაში.

თუმცა აქ მოვლენებს ვუსწრებთ. 1894 წელს მმართველ ელიტას უცილობლად მიაჩნდა, რომ რუსეთს ალექსანდრე III-ის დამცველობითი კურსი ლიბერალურზე მეტად შეეფერებოდა.

* ალექსანდრე II მოკლეს რევოლუციონერებმა (რედ. შენიშვნ.).

არადა, იმ დროს მიმდინარეობდა შინაგანი პროცესები, რომლებიც ისეთი მასშტაბის ქარიშხალს მოასწავებდა, „ნაროდნაია ვოლიას“* მოძრაობასთან შეუდარებელი რომ იქნებოდა.

მეორეც, სანამ ცენზურას დაქვემდებარებულ პრესის ფურცლებზე ერთმანეთს ებაეჭრებოდნენ ლიბერალი რეფორმატორები და რეაქციონერი კონტრარეფორმატორები, სწრაფად მზარდი მუშათა კლასის წიაღში ძალას იკრებდა „მესამე იდეოლოგია“ – კომუნისტური. საუკუნის მეოთხედიც კი არ გასულა, როდესაც მან გაიმარჯვა. შედეგები ქვეყნისთვის დრამატული აღმოჩნდა.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, რომელიც ახლა, ას წელზე მეტი ხნის შემდეგ უნდა დავსვათ: ამ ტრაგედიის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო თუ არა?

რევოლუციისა – ალბათ, არა. 1914-1918 წლების გლობალურმა კრიზისმა დაანგრია ყველა ე.წ. „ძლიერი“ მონარქია, რომლებიც არ აღმოჩნდნენ XX საუკუნის რეალიებს მისადაგებელი. მათ შორის პირველი სწორედ რუსეთის თვითმპყრობელობა იყო.

ამიტომ კითხვა სხვაგვარად უნდა დაისვას.

რევოლუციებს განსხვავებული დამანგრეველი ძალა აქვთ. რუსეთში რამდენად გარდაუვალი იყო სწორედ კომუნისტური რევოლუცია, რომელმაც ძველ სამყარო „საფუძვლამდე“ მოსპო, შემდეგ კი შექმნა დიქტატურა, რომელიც წინანდელზე ასჯერ უარესი გახლდათ?

ამ რაკურსიდან თუ შევხედავთ, ალექსანდრე III-ის პოლიტიკური კურსი ნათელ ფერებში სულაც აღარ წარმოგვიდგება.

კონსერვატული მთავრობა უპირველესად არსებული სოციალური სტრუქტურის კონსერვაციას ეწეოდა, წოდებრივი ბარიერების დარღვევაში სტაბილურობის მთავარ საფრთხეს ხედავდა. არსებითად, ასეთი პოლიტიკა მიმართული იყო საშუალო კლასის ფორმირების წინააღმდეგ,

* „ნაროდნაია ვოლია“ – პროფესიონალი რევოლუციონერების მიერ ჩამოყალიბებული ტერორისტული ორგანიზაცია. შეიქმნა 1879 წელს „ზემილია ი ვოლიას“ ორად გაყოფის შემდეგ. კარგად იყო ორგანიზებული, სათავეში ედგა აღმასრულებელი კომიტეტი (ა. მიხაილოვი, ა. კვიატკოვსკი, ა. ყელიაბოვი, ს. პეროვსკაია, ვ. ფიგნერი). 1879-1883 წლებში 70 სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც 2000-მდე ნაროდოვოლელი გაასამართლეს (რედ. შენიშვნ.).

რომელშიც შესვლა დაბალი ფენებისთვის საგანგებოდ დაწესებული დაბრკოლებებით იზღუდებოდა. ასეთი იყო განათლებს მიღების სირთულე („циркуляр о кухаркиных детях“), გლეხებისთვის კი – თემზე მიბმა. ეს გახლდათ გაცნობიერებული მიდგომა საიმისოდ, რომ საშუალო კლასი ნელა განვითარებულიყო, მეტისმეტად დიდი ძალა არ მოეკრიბა.

ერთი მხრივ, მთავრობა სრულიად სამართლიანად უფრთხოდა საშუალო კლასის განმტკიცებას, რადგან ის უცილობლად მოითხოვდა მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრებაში, როგორც ეს უფრო ადრე ევროპის ქვეყნებში მოხდა. ნებისმიერი წარმომადგენლობითი ხელსიუფლება ნიშნავდა თვითმპყრობელობის შეზღუდვას და საბოლოო ჯამში, მის ჩამოგდებას, ანუ რევოლუციას.

მაგრამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და პროლეტარული რევოლუცია – სრულიად სხვადასხვა კალიბრის განსაცდელეზია. საშუალო კლასი წარმოუდგენელია კერძო საკუთრების გარეშე, ამიტომ 1917 წლისთვის ის უმრავლესობაში რომ ყოფილიყო, ყველაფერი, სავარაუდოდ, თებერვლით დასრულდებოდა. რუსეთი გააგრძელებდა არსებობას დემოკრატიული რესპუბლიკის სახით და სამოქალაქო ომი არ მოხდებოდა, ტოტალიტარულ რეჟიმს თავიდან ავიცილებდით. მაგრამ მონარქიის დაცემის მომენტისთვის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული დემოკრატიული წყობის დამყარებით, ძალზე მცირე გახლდათ, და ძალაუფლება სხვა ჯურის მმართველებმა ჩაიგდეს ხელთ.

გამოწვლილვით თუ ვიტყვით, ალექსანდრე III-ის ისტორიული როლი დაიყვანება იმაზე, რომ ეს სახელმწიფო მოღვაწე წარმატებით გაუმკლავდა „ლიბერალურ საფრთხეს“, გაახანგრძლივა თვითმპყრობელობის არსებობა, მაგრამ იმავდროულად მონარქიას უფრო დიდი ორმო გაუთხარა – საუკუნის მეოთხედზე უფრო ნაკლებ ხანში რუსეთის იმპერია იმ ორმოში ჩავარდა.

შემდეგი მეფე თავისი მამისა და პაპის პოლიტიკურ კურსებს შორის მერყეობდა, ერთისა და მეორის შეცდომებს იმეორებდა. მაგრამ ეს უკვე მომდევნო ტომის თემაა.

მეცხრა ტომი



ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.
რუსეთის სახელმწიფოს ისტორია.
ნიკოლოზ მეორის დროება

მეცხრე ტომის შესავალი

რუსეთის ისტორიაში იმპერიის დაცემისა და ე.წ. „ოქტომბრის რევოლუციის“ (სინამდვილეში, გადატრიალების) პერიოდზე მეტი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურაა დაწერილი, ვიდრე მთლიანობაში ქვეყნის წარსულზე. საბჭოთა კავშირის დროს უამრავი აკადემიური (მარქსიზმ-ლენინიზმის) ინსტიტუტი გახლდათ დაკავებული „რევოლუციის ისტორიით“.

მოვლენათა ქარგა საბჭოთა კავშირში შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

თვითმპყრობელურმა მონარქიამ ვერ გაუძლო მრავალ განსაცდელს, რაც მას მეოცე საუკუნემ დაატეხა თავს და შინგანი წინააღმდეგობებით დატვირთული, გლობალური კრიზისის დროს – პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას – დაემხო.

აკუნინი წერს, რომ რუსი მკითხველისთვის (და ზოგადად – დავუმატებდი – პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ადამიანისთვის, ვინც თავის დროზე საბჭოთა სკოლაში დადიოდა) ფაქტები მეტნაკლებად ცნობილია, ამიტომ მთავარია მიზეზების ანალიზი, თუ რამ გამოიწვია ეს მეგაკატასტროფა.

სახელმწიფოს კრახი, ალბათ, ყველაზე დიდი საშინელებაა, რაც ქვეყანას შეიძლება დაემართოს. რუსეთში ასეთი რამ ორჯერ მოხდა: XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც იმდროინდელი წყობილება ჩამოიშალა და რუსეთი „დიდ არეულობაში“ ჩაიძირა, და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც იგივე მოხდა, ოღონდ განუზომლად დიდი მასშტაბით.

სამოქალაქო ომის დროს დაახლოებით 8 მილიონი კაცი დაიღუპა; „კოლექტივიზაციის“ დროს დაახლოებით 7 მილიონი გლეხი შიმშილით ამოწყვიტეს; ტერორის წლებში დაახლოებით 6 მილიონი დააპატიმრეს (მათგან 700 ათასი სიკვდილით დასაჯეს); ერები გადაასახლეს; მოსახლეობა გაცილებით უფრო მძიმე დღეში ჩავარდა, ვიდრე ცარიზმის დროს იყო. არადა, მეფე სწორედ ხალხის გათავისუფლების მოწოდებით ჩამოაგდეს.

აკუნინი აღნიშნავს, რომ მისი „ისტორიის“ წინა ტომები, სინამდვილეში, ამ მეცხრე, მთავარი ტომის შემზადებაა. რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის პროექტი მან სწორედ ამიტომ წამოიწყო, სურდა რუსეთის სახელმწიფოს

დაცემის მიზეზები ისე გაერკვია, რომ არცერთ მხარეზე არ დამდგარყო, ობიექტური დარჩენილიყო. არსებობდა და არსებობს იმედი, რომ თუკი ავადმყოფობის ანამნეზი სწორად გაანალიზდება, შემდეგი გართულებების პაციენტი დაავადებას მოერევა. არადა, ავადმყოფობა არსად წასულა, ქვეყანა კვლავაც სნეულია – და ეს ყველამ კარგად ვიცით.

მეცხრე ტომის შესავალში აკუნინი წერს, რომ დასახულმა მიზანმა, რუსეთის სახელმწიფოს ავადმყოფობის მიზეზების გარკვევამ, განაპირობა წიგნის უჩვეულო კომპოზიცია. ის ორადაა გაყოფილი და ორივე ნაწილი განსხვავებულადაა აგებული.

პირველ ნაწილს ეწოდება „ავადმყოფობათა თაიგული“, რადგან ერთს კი არა, რამდენიმე დაავადებას ჰქონდა ადგილი. ზოგი მათგანი თანდაყოლილი იყო, ზოგიც ბუნებრივად შეძენილი – რუსეთის სახელმწიფოს სპეციფიკიდან გამომდინარე. არსებობს „ზრდის პროცესის თანმდევი ავადმყოფობები“ – საესებით უნივერსალური, რაც ყველა განვითარებად ქვეყანას ახასიათებს. დაბოლოს, 1914 წელს დაიწყო დასავლური ცივილიზაციის ზოგადი კრიზისი, მსოფლიო ომი რომ გამოიწვია. გლობალურმა კატაკლიზმმა დალუბა რამდენიმე სახელმწიფო, რომელთაც ორგანიზმის დაცვის სისტემა შესუსტებული ჰქონდათ – მათ შორის, პირველ რიგში, რუსეთი.

მეცხრე ტომის მეორე ნაწილში, ქრონიკის სტილში (წლების მიხედვით), გადმოცემულია „კლინიკური სურათი“, რომელმაც ფატალური შედეგი გამოიღო. თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ადამიანმა შეიძლება წაიკითხოს მეორე, აღწერითი ნაწილი და უკვე ამის შემდეგ, „სიუჟეტის ცოდნით“, პირველი – ანალიტიკური.

მეცხრე ტომში დიდი ადგილი ეთმობა სნეული სახელმწიფოს განკურნების მეთოდებს. საამისოდ სამი სახის „თერაპია“ არსებობდა: სახელმწიფოს დაცვითი („გოსუდარსტვენიკული“), პროგრესულ-ლიბერალური და რევოლუციური. ყოველ „მკურნალს“ თავისი არგუმენტები და სიმართლე ჰქონდა, თუმცა ასევე – თავისი ნაკლი თუ დეფექტები.

სახელმწიფოზე მზრუნველ „გოსუდარსტვენიკებს“ უკეთ ესმოდათ ადამიანის ბუნება და საზოგადოების მართვის კანონები, რადგან ჰქონდათ ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება, საღი აზრი და აცნობიერებდნენ

ბასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე. მაგრამ XX საუკუნისთვის თვითმპყრობელური სისტემა მეტისმეტად მოძველდა, არქაული გახდა, რუსეთის რელიგიებს უკვე ცუდად ესადაგებოდა და მის განვითარებას ამუხრუჭებდა. არსებული წყობის ძალით შენარჩუნების მცდელობა განწირული იყო.

„ლიბერალები“ ხელმძღვანეობდნენ ადამიანის ღირსების, თავისუფლების, სახალხო მმართველობის ამაღლებული იდეებით, მაგრამ არ გააჩნდათ სახელმწიფოს მართვის პრაქტიკული გამცდილება და თავისი მშვენიერი, თუმცა კი გულუბრყვილო პროექტების პრაქტიკულ შედეგებს ვერ აცნობიერებდნენ.

„რევოლუციონერები“, ძირითადად (მათი ბანაკი საკმაოდ ჭრელი გახლდათ), გაბედული, თავგანწირული ხალხი იყო, რომლებიც შთაგონებულნი იყვნენ კომუნიზმის „მომხიბლავი“ იდეებით – ეს იდეოლოგია მაშინ ჯერ კიდევ არ მიიჩნეოდა კომპრომენტირებულად. რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ბოლშევიკებს რევოლუციამდე საკმაოდ კარგი რეპუტაცია ჰქონდათ: ისინი ტერორზე ფსონს არ დებდნენ, ესერების მსგავსად, ცარიზმთან კომპრომისებზე არ მიდიოდნენ, ლიბერალების მსგავსად, და პრაქტიკულად ერთადერთნი იყვნენ, ვინც მსოფლიო ომს გამოდნენ. თუმცა აკუნინის წიგნში ვნახავთ, რომ რევოლუციური პარტიების როლი სახელმწიფოს კრახში მეტისმეტად დიდი არ ყოფილა. ამიტომ – ჩამოყალიბებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ – ლენინსა და მის თანამებრძოლებს მეცხრე ტომში მცირე ყურადღება ეთმობა. წიგნი 1917 წლის ყველა მოვლენას რომ მოიცავდეს – „ოქტომბრის“ ჩათვლით – რასაკვირველია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) შესახებ დეტალური მსჯელობა იქნებოდა საჭირო, მაგრამ თებერვლის რევოლუციაზე თხრობისთვის ეს ცოდნა აუცილებელი არაა. მონარქია რევოლუციონერებს არ დაუშხიათ.

რუსეთი ზემოჩამოთვლილი სამი „თერაპიიდან“ ვერცერთმა ვერ განკურნა. იქნებ, რაც საჭირო იყო, იმას არ მკურნალობდნენ, ანდა სათანადოდ არ მკურნალობდნენ?

მეცხრე ტომის დასკვნა*

გაგრძელება იქნება

როდესაც ვიწყებდი სახელმწიფოს ისტორიის მწერლურ (ანუ იმთავითვე დილექტანტურ) ნაშრომზე მუშაობას, წინასიტყვაობაში დავწერე, რომ არ მაქვს კონცეფცია, რომლის დასაბუთებას და დამტკიცებას ვეცდები. და ის მართლაც არ არსებობდა. კონცეფცია კითხვისა და წაკითხულის განალიზების პროცესში გაჩნდა. არც შეიძლებოდა, რომ არ გაჩენილიყო, რადგან იმ ავტორების კატეგორიას ვეკუთვნი, ვისაც სჯერა, რომ კაცობრიობა ევოლუციას განიცდის, რომ ამ მოძრაობას აქვს საზრისი და რომ ისტორია გვასწავლის – იმათ, ვისაც სურვილი აქვს და შეუძლია, ისწავლოს.

სულ ბოლოს თავს უფლებას მიცვემ, კიდევ ერთხელ მოკლედ შევაჯამო ის უმთავრესი დასკვნები, რომლებიც სამამულო ისტორიის წიაღში ჩაღრმავებისას ჩამომიყალიბდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ჩემი დასკვნები მკითხველს დამაჯერებლად არ მოეჩვენოს, მაგრამ პირადად მე კი ბევრ რამეს მიხსნის.

უპირველესად, რუსეთის სახელმწიფოს სპეციფიკისა და ბუნების გასაგებად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, ის IX საუკუნეში კი არ გაჩნდა, ნახევრად მითითური რიურის დროს, არამედ გაცილებით გვიან. მონღოლამდელი რუსეთი, მით უფრო, კიევის რუსეთი – ეს რუსეთის შორეული წინაპარია (ისევე როგორც სხვა რამდენიმე თანამედროვე ქვეყნისა). ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოს საძირკველი XV საუკუნეში ივანე III-მ, მოსკოვის დიდმა მთავარმა – და სახლმწიფოს დიდმა აღმშენებელმა – ჩაუყარა. ივანე ვასილის ძემ მისაბამ ნიმუშად დაისახა მისთვის ცნობილი ერთადერთი წარმატებული „პროექტი“ – ჩინგიზ-ყაენის კონსტრუქცია – და მისი მთავარი პრინციპები დაამკვიდრა. ამიტომაც ჩვენი სახელმწიფოს ტიპს „ურდოსეულს“ ვუწოდებ. ამ ტერმინში საძრახისი არაფერია. დიდმა მონღოლმა თავის დროზე ძლიერი და მყარი სახელმწიფოს საოცრად

* ამ და ყველა დანარჩენი ტომის დასკვნა დედნისეული ტექსტის თარგმანია ქართულ ენაზე შემოკლების გარეშე (რედ. შენიშვნ.).

მტკიცე, ლოგიკური და ეფექტიანი მოდელი შექმნა.

„ურდოსეულობის“ აუცილებელ ატრიბუტებს კიდევ ერთხელ დავასახელებ.

უპირველესად ესაა ზეცენტრალიზაცია და მართვის აბსოლუტური „ვერტიკალურობა“.

– ხელმწიფის საკრალიზაცია, როგორც ხელისუფლების ცოცხალი განსახიერებისა.

– სახელმწიფოს საკრალიზაცია, როგორც უმაღლესი ფასეულობისა.

– კანონის პოლიტიკური კონიუნქტურისადმი დაქვემდებარება, რადგან არავითარი კანონი არ უნდა იდგეს ხელისუფლის ნებაზე მაღლა. როგორც ბენკენდორფმა* უთხრა ბარონ დელვიგს**: „კანონები ქვეშევრდომებისთვის იწერება, უფროსობისთვის კი არა“.

ასეთი სახელმწიფოს ძლიერი მხარეებია: მედეგობა, იოლად მართვისა და მობილიზაციის მაღალი უნარი. სუსტი მხარე კი მხოლოდ ორია: მეტისმეტი დამოკიდებულება მმართველის პირად თვისებებზე (მონარქიაში ეს შემთხვევითი, განუჭვრეტელი ფაქტორია) და შენელებული განვითარება, რადგან ყოვლისმომცველი სახელმწიფოს დიქტატი ქვეშევრდომთა ბუნებრივი ინიციატივის დამბლას იწვევს. ივანე III-ის დროს, შუასაუკუნოვანი უძრავობის პირობებში, მეორე დეფექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ მას მერე, რაც დასავლეთი ევროპა ეკონომიური და სოციალური პროგრესის გზაზე წინ წავიდა, რუსეთი მუდმივად მის დაწევას ცდილობდა.

რუსეთის ისტორიის ყველა ზიგზაგის ლოგიკა რომ გავიგოთ, საკმარისია მისი მთავარი ფაზულის – „ურდოსეულობის“ მეტამორფოზებს თვალი გავადევნოთ. სახელმწიფოს პირველმა ვერსიამ საუკუნენახევარი გაძლო და დაიშალა, როდესაც რიურკების დინასტია შეწყდა. ამან სამეფო ხელისუფლების „საკრალურობის“ საყრდენი სვეტი მოანგრია, რამაც „დიდი არეულობა“ და უცხოური ოკუპაცია გამოიწვია.

* გრაფი ალექსანდრ ბენკენდორფი (1782-1844) – ინფანტერის გენერალი, ჟანდარმების შეფი და, იმავდროულად, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის პირადი კანცელარიის III განყოფილების უფროსი (რედ. შენიშვნ.).

** ბარონი ანტონ დელვიგი (1798-1831) – რუსი პოეტი, გამომცემელი (რედ. შენიშვნ.).

მეორე ვერსიამ, რომელიც 1613 წელს გაჩნდა, საუკუნეზე ნაკლები იარსება, რადგან ფაშარი იყო, მთლად „ურდოსეული“ არ გახლდათ. ახალი დინასტია, რომანოვები, თავს დაჯერებულად ვერ გრძნობდნენ, რაც აიძულებდათ, ძალაუფლება გაენაწილებინათ საპატრიარქოსა და უმაღლესი არისტოკრატიისთვის (ბოიართა დუმისთვის), და დროდადრო სახალხო წარმომდგენლების კრებებიც კი მოეწვიათ („земские соборы“). „ურდოსეულობის“ უპირატესობანი ასეთი შესუსტებული ცენტრალიზაციის პირობებში ცუდად ვლინდებოდა.

პეტრე დიდი, რომელსაც რეფორმატორად მიიჩნევენ, სინამდვილეში კონტრეფორმატორი იყო, რადგან მან სახელმწიფო წინანდელ, თავდაპირველ კონსტრუქციასთან დააბრუნა, „ურდოსეულობის“ ოთხივე საყრდენი აღადგინა და განამტკიცა. ეკლესია და არისტოკრატია სახელმწიფო მართვას ჩამოაშორა, მეფის (იმჟამად უკვე იმპერატორის) ავტორიტეტი თავლულწვდენელ სიმაღლეზე აიყვანა, მთელი მოსახლეობა სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა. ქვეყნის ცხოვრების რეგლამენტაცია კანონებით კი არა, არამედ მეფის ბრძანებულებების უწყვეტი ნაკადით ხორციელდებოდა. შეკეთებულმა და რესტავრირებულმა სისტემამ გაცილებით უკეთ დაიწყო მუშაობა და რუსეთი დიად „დერჟავად“ იქცა (მართალია, მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით).

მაგრამ მხოლოდ ადმინისტრაციული ვერტიკალით ასეთი ვრცელი ქვეყნის მართვა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე რთულდებოდა, ამიტომ ეკატერინე დიდმა სახელმწიფოს ფორმატის გარკვეული მოდერნიზება მოახდინა: მართვაში ჩართო თავადაზნაურები, რომლებიც „მოსამსახურეებიდან“ ერთგვარ „მინორიტარებად“ იქცნენ, რომელთაც „კორპორაციის თავთან“ საერთო ინტერესები აკავშირებდათ.

ამრიგად, შესუსტდა „ურდოსეულობის“ მთავარი პრინციპი – არ მოხდეს ძალაუფლების გაზიარება. თავადაზნაურული წოდება, ერთი მხრივ, იმპერიას აღმშენებლობასა და მართვის საქმეში მეტად ეხმარებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავისი თავის რაღაც ცალკე ძალად გაცნობიერება დაიწყო. ასე ჩაისახა რუსეთში საზოგადოება, ანუ ადამიანთა ფენა (თავდაპირველად მეტად მცირერიცხოვანი), რომელსაც დამოუკიდებელი აზროვნებისკენ სახიფათო მიდრეკილება ახასიათებდა.

მეცხრამეტე საუკუნეში საზოგადოება თანდათანობით სულ უფრო მრავალრიცხოვანი, სულ უფრო გავლენიანი ხდებოდა, – იმავდროულად, მსოფლიოში მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში სულ უფრო მძაფრად ვლინდებოდა „ურდოსეული“ მოდელის ნაკლი: ტექნიკური ჩამორჩენილობა, ეკონომიკური არაეფექტიანობა. ხელისუფლება იცავდა თავის „ვერტიკალურობას“, საზოგადოებას მართვის უფლებას არ აძლევდა (ეს სახელმწიფო სტაბილურობის მთავარ საყრდენს დაანგრევდა), რის შედეგადაც საზოგადოების ნაწილმა რადიკალიზაცია განიცადა და გაჩნდა მესამე ძალა – რევოლუციური მოძრაობა.

როგორც უკვე ითქვა, არსებითი განსხვავება რევლუციონერებს (ნებისმიერი პარტიული კუთვნილებისა) და იმ საზოგადოებრივ ძალას შორის, რომელსაც პირობითად „ლიბერალებს“ ვუწოდებ, გამოიხატებოდა მეთოდებში, რომელთა მეშვეობით ეს ორი ბანაკი ცდილობდა, ძალაუფლება მოეპოვებინა. რევოლუციონერები ფსონს დებდნენ მის ძალისმიერ მიტაცებაზე, „ლიბერალები“ კი – „მცოცავზე“.

სახელმწიფოსთვის, თავისი ძლიერი პოლიციური აპარატით, უფრო იოლი იყო რევოლუციონერებისთვის მოეგლო – „ოხრანკა“ და ჟანდარმერიის კორპუსი, როგორც ვნახეთ, მათ სავსებით გაუმკლავდა. მაგრამ „ლიბერალური“ ოპოზიციის გასრესის უნარი მხოლოდ იმ რეჟიმს ექნებოდა, რომელიც მზად იყო სასტიკი მასობრივი რეპრესიები ჩაეტარებინა, ანუ ისეთი, რომელიც ტრადიციულ ეთიკასა და რესპექტაბელურობის ყოველგვარ პრეტენზიას პრინციპში უარყოფდა. მონარქიას ასეთი ქმედების უფლება თავისი თავისთვის ივანე მრისხანესა და პავლე პირველის დროს შეეძლო მიეცა, მაგრამ არა XX საუკუნეში.

სახელმწიფო დაიშალა, უპირველესად, უმაღლესი ხელისუფლების, თვითმპყრობელობის კრიზისის შედეგად. მთავარი რუსული საყრდენი მთლიანად დალბა. ის რევოლუციონერებმა ან თუნდაც „ლიბერალებმა“ კი არ დაანგრეს, არამედ, თავისით დაინგრა. როგორც დავინახეთ, თებერვალში, ფაქტობრივად, მთავრობის თვითლიკვიდაცია მოხდა, უმაღლესმა გენერალიტეტმა კი მეფეს მხარდჭერაზე უარი უთხრა.

ძალაუფლება „ლიბერალებს“ თავისით ჩაუვარდათ ხელში და ის მათ, ცხადია, ვერ შეინარჩუნეს, რადგან „ურდოსეული“ საყრდენები დაუყო-

ნებლივ ბოლომდე დაანგრის, სანაცვლოდ კი არაფერი შეუქმნიათ. ცენტრალური მმართველობის დეზორგანიზაცია სახელმწიფო ინსტიტუტების დაბალი პრესტიჟისა და აღმასრულებელი ინფრასტრუქტურის სისუსტის ვითარებაში, თანაც, ომის პირობებში, მხოლოდ ახალი არეულობით, ქაოსით და ტოტალური რღვევით შეიძლება დასრულებულიყო.

სამაგიეროდ, ბოლშევიკებს, რომლებიც დემაგოგიურად ბევრს ლაპარაკობდნენ ხალხის თავისუფლებაზე, ძალიან კარგად ესმოდათ „ურდოსეულობის“ არსი და ძალზე სწრაფად აღადგინეს ოთხივე საყრდენი ისეთი მონოლითურობით, ქვეყანას ჯერ რომ არ ენახა.

ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელს რუსეთის „ისტორიული ისტორია“ სრულდება და იწყება თანამედროვე ისტორია – პერიოდი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა და ამიტომ მისი ობიექტური, მიუკერძოებელი ანალიზი რთულია.

რუსეთის თავზე დღემდე დაქრის წინა საუკუნის და მისი მთავარი ფიგურის – იოსებ სტალინის სული, რომლის ისტორიულ როლზე ემოციების გარეშე მსჯელობა ჯერაც შეუძლებელია. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში „სახელმწიფოს დამცველებსა“ და „ლიბერალებს“ შორის კვლავაც გრძელდება ბრძოლა – ისევ ისე და ისევ იმაზე. ამ პოლემიკაში ნეიტრალიტეტის შენარჩუნება რთულია. მე, ყოველ შემთხვევაში, ეს არ გამომდის. რუსეთი მეოცე საუკუნის პრობლემატიკიდან ვერა და ვერ ამოსულა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ის დასრულდება – დიდი დაგვიანებით – შესაძლებელი იქნება უკან მივიხედოთ, გავაცნობიეროთ მისი გაკვეთილები და შევაჯამოთ შედეგები.

რუსეთის სახელმწიფო კვლავაც იმ მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს. შეუძლია თუ არა იქიდან თავის დაღწევა?

მკითხველისთვის, ვინც ჩემი ცხრატომეული ეპოპეა დაძლია, პასუხი ცხადი უნდა იყოს, წარსულის შესწავლამ რომ დამანახა.

სახელმწიფო ფორმატის ავტორიტარულიდან დემოკრატიულზე შეცვლის ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის იქნება განწირული, თუკი მართვის ზეცენტრალიზაციის პრინციპი შენარჩუნდება. „საყრდენი სვეტებიდან“ ნებისმიერის მორყევა იმის გარეშე, რომ უარი ითქვას პრაქტიკაზე, ყველა გადაწყვეტილება „ყაენის სადგომში“, ანუ ერთიან ცენტრში იქნას

მიღებული, უცილობლად გამოიწვევს დაშლასა და ქაოსს, რომლის შემდეგ დაშინებული მოსახლეობა უცილობლად მოისურვებს „მტკიცე ხელისუფლების“ დაბრუნებას – თუნდაც ყველა მოპოვებული თავისუფლების დათმობის ხარჯზე.

ასე იქნება, სავარაუდოდ, მანამ, სანამ რუსეთი „ვერტიკალური“ სახელმწიფოდან არ იქცევა „ჰორიზონტალურად“, ანუ ნომინალურ კი არა, არამედ ნამდვილ ფედერაციად. ეს როდის მოხდება და რა ფასად, მომავალი გვიჩვენებს. შესაძლოა, არც ისე შორეული მომავალი.



2014 წელს, გრიგოლ და ერიკა ჩხარტიშვილებმა რუსეთი დატოვეს.
ცხოვრობენ ლონდონში

დილეტანტის ჩანაწერები აკუნინის ცხრატომიულზე და სხვა საკითხებზე...

მარინა ლომოური

აკუნინის ფანი გახლავართ, მისი დეტექტივებიც მომწონს და ისტორიული პროზაც. მან ცხრა ტომი მიუძღვნა რუსეთის სახელმწიფოს ევოლუციის კანონზომიერებათა გარკვევას. ხოლო ის ინფორმაცია, რაც ამ ნაშრომის შექმნის პროცესში მოიპოვა და გამოაქვეყნა, რუსეთის იმპერიის მსხვერპლი ყველა ხალხისათვის უაღრესად საინტერესო და დამაფიქრებელია. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა რუსული ენა არ იცის, აკუნინის ცხრატომიულს ვერ წაიკითხავს, ამიტომ წინამდებარე წიგნის – „რუსეთის საბედისწერო პარადიგმა“ – გამოცემა, რომელიც, ფაქტობრივად, აკუნინის ცხრატომიულის მოკლე გზამკვლევაა, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. აკუნინის თხზულება ხომ რუსების ესენციალურ ბუნებას აღწერს, რუსეთის სახელმწიფოს სიღრმისეულ არსს წარმოაჩენს, ეს კი რუსეთის მოქმედების პროგნოზირებისთვის, მასთან ურთიერთობის გააზრებისთვის სრულიად აუცილებელია. ჩვენ, ქართველები, სამწუხაროდ, ბედის ეკვილიბრისტიკის ნაკლებობას არ ვუჩივით, მტერი (ზოგიერთებს მოყვარე რომ ჰგონიათ) მუდამ ჩვენს გვერდითაა, მაგრამ მისი რეალური სახე დღემდე ვერ შევიცანით, მასთან მეზობლობის ოპტიმალური პოლიტიკის შემუშავება, საუბედუროდ, დღემდე ვერ ვისწავლეთ და მუდამ ერთსა და იმავე ფოცხს ვაბიჯებთ (რუსული გამოთქმისა არ იყოს)...

აკუნინის კოლოსალური ნაშრომის წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება პატივისცემით არ განიმსჭვალო ავტორის მიუკერძოებლობის და პასუხისმგებლობის მიმართ. თუმცა, როგორც ვიცით, რუსეთის სახელმწიფოს ბევრმა თავგადაკლულმა აპოლოგეტმა აკუნინის ისტორიული ფაქტების ტენდენციურ გააზრებაში დასდო ბრალი. ამ პოლემიკაში, მე, რა თქმა უნდა, არ და ვერ ჩავერევი, მაგრამ საკუთარი მოსაზრებები კი მსურს გაგიზიაროთ.

რა განცდას აჩენს ეს მრავალტომიული?

ცოდნის გაღრმავებისა და მრავალ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის

მიღების გამო – მადლიერებას, ხოლო თხრობის მიღმა დარჩენილი, არგან-ხილული ეპოქების გამო – სინანულს. მართლაც, თხრობა 1917 წლით დასრულდა და დღევანდლობამდე არ გაგრძელებულა – მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს არსებობის ეს პერიოდი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. რატომ? ის იმპერიული, „დერჟავული“ რუსეთი ხომ დღესაც არსებობს და – აქედან გამომდინარე – ჩვენთვის, იმპერიის მსხვერპლი ქვეყნების მოქალაქეებისთვის რუსეთის იმპერიის მიერ შექმნილი პრობლემების სიმწვავე არა თუ არ განელებულა, პირიქით, გამწვავდა და ლამის აპოკალიფსურ მასშტაბს მიაღწია. რუსეთის სახელმწიფოს დღევანდელ შიდა და გარე მიმართებებში გარკვევა არა მარტო ჩვენთვის, უკვე ლამის მთელი მსოფლიოსთვის – უაღრესად მნიშვნელოვანია. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეპოქა 1917 წლიდან დღემდე იმდენად მრავალგანზომილებიანია, რომ, ალბათ, კიდევ ცხრა ტომის დაწერა იქნებოდა საჭირო. და მაინც, აკუნინს თხრობა 21-ე საუკუნემდე რომ გაეგრძელებინა, დღევანდლობის ანალიზი ჩვენთვის შეიძლება უფრო მარტივი ყოფილიყო. მაგრამ თხრობა დასრულდა და თუ გვსურს დღევანდლობაში გავერკვეთ, რეალობა თავად უნდა გავიაზროთ და გადაარჩინის გზები ვეძებოთ....

რამდენად კანონზომიერია, ანდა რამდენად პარადოქსულია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დღეს, 21-ე საუკუნეში, ცივილიზებულ სამყაროში, რუსეთის მხრიდან ეგზისტენციური საფრთხე ემუქრებათ? მინდა ამ საკითხის გარკვევა ვცადო.

რუსეთის იმპერიის შიდა და გარე პოლიტიკურ რყევებს, რეჟიმის შერბილებებს და გამკაცრებებს აკუნინი თვითმპყრობელის პიროვნულ თვისებებს უკავშირებს, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განმსაზღვრელი მაინც ჩინგიზიდების მოდელით შექმნილი ძალაუფლების ვერტიკალია. ესაა სწორედ რუსეთის საბედისწერო პარადიგმა, რომელსაც ვერა და ვერ დააღწია თავი, ფორმაციათა შეცვლის მიუხედავად. ამ მოსაზრების მართებულობას ამტკიცებს ის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი, თვისობრივად, თავის გარე და შიდა მიმართებებში, რუსეთის იმპერიის გამგრძელებელი იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბჭოთა კავშირი რუსეთის იმპერიაზე მეტადაც კი იყო იმპერიალისტური – რადგან არა მარტო მეზობელი ქვეყნების და ხალხების, არამედ პრაქტი-

კულად დედამიწის ორივე ნახევარსფეროს ქვეყნების დამორჩილებასაც ცდილობდა კომინტერნის (ანუ ინტერნაციონალიზმის), ლოზუნგებს ამოფარებული. სსრკ რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით გამოფხვლირებული, იგივე იმპერიალ დაჩა, რუსები ინტუიტიურად გრძნობდნენ. თავის დროზე ეს ფაქტი ემიგრაციაში წასულმა მრავალმა თეთრგვარდიელმა ოფიცერმა გააცნობიერა – რასაც ემიგრანტულ პრესაში საგანგებოდ აღნიშნავდნენ კიდევ – და ოცდაათიან წლებში მრავალი მათგანი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, „წითელ არმიას“ ჩაეწერა, მოდერნიზებული იმპერიის მშენებლობაში მონაწილეობა რომ მიეღო, რადგან მათთვისაც მთავარი რუსეთის „დერჟავა“ იყო და არა რომანოვების დინასტია.

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის ბელადები, მიუხედავად მათი განსხვავებული ეთნიკური თუ სოციალური წარმომადგენლობისა, ძალიან სწრაფად ტრანსფორმირდებოდნენ უზარმაზარი იმპერიის თვითმპყრობელებად და რომანოვების გვარის წარმომადგენლებისა არ იყოს, ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით კი განსხვავდებოდნენ, მაგრამ იმპერიის კარდინალურ ხაზს არ/ვერ ცვლიდნენ. კონკრეტული ისტორიული მომენტი თუ ვითარება ზოგჯერ მეთაურს განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებდა – მაგალითად, მიხეილ გორბაჩოვის შემთხვევაში.

გორბაჩოვის მცედლობამ სრულიად არაეფექტიანი სოციალისტური ეკონომიკის პირობებში ქვეყნის მოდერნიზაცია განეხორციელებინა, კრახი განიცადა, საბჭოთა კავშირის დემონტაჟი გამოიწვია, რაც, პუტინის სიტყვები რომ გავიხსენოთ, საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. პუტინის ამ განცხადებამ რუსეთის მოსახლეობის ჰეგემონობის ამბიციები გამოაღვიძა – გაირკვა, რომ საბჭოთა იმპერიის დანგრევა აუტანელია არა მარტო პუტინისთვის, არამედ ასევე რიგითი მოქალაქისთვის, საშუალო სტატისტიკური რუსისთვის, რომ რუსეთის მოსახლეობა, პრაქტიკულად მთლიანად, უდრტვინველად ეგუება ადამიანის უფლებების უგულვებელყოფას, სიღატაკეს, გაუნათლებლობას, შიმშილსაც კი, მაგრამ ვერ იტანს თავისი მეზობლების, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, კეთილდღეობას. რუსეთის ტერორისტულმა შეჭრამ უკრაინაში არა მარტო პუტინის არაადეკვატურობა გამოავლინა, არამედ, რაც გაცილებით უფრო საშიშია – რუსეთის მოსახ-

ღეობის მზაობა, ენთუზიაზმით შეხვდეს დამპყრობლურ ომს, გაამართლოს უკრაინელი ხალხის, ქალების, ბავშვების წამება, გაუპატიურება, ხოცვა.

რუსეთის სათავეში მოსვლის შემდეგ თვითმპყრობელმა პუტინმა მალევე დაიწყო რუსი მთავრებისა თუ მეფეების დარად „მიწების შეგროვება“. დღეს ჩვენ საკუთარი თვალთ ვხედავთ პუტინის უსაფუძვლო პრეტენზიებს უკრაინის მიმართ, ცივისსხლიან აგრესიას, უკრაინის ვერდამორჩილების გამო რუსეთის ვანდალიზმის სრულიად ამორალურ სურათებს: უკრაინის სახელმწიფოს და მისი მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსულ განადგურებას და მუქარას მთელი ცივილიზებული სამყაროს მისამართით. რასაც დღეს უკრაინაში ვხედავთ, არის მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული პროცესების ლოგიკური განვითარება. რუსეთის სპეცსამსახურების ჩარევას დამოუკიდებელი რესპუბლიკების შიდა საქმეებში ადგილი ჰქონდა უკრაინაშიც და საქართველოშიც. ერთ-ერთი პირველი იყო პროვოცირებული შეიარაღებული შეტაკებები სეპარატისტულად განწყობილ ოსურ ჯგუფებთან ცხინვალის რაიონში, იყო მსხვერპლიც. შემდეგ პროცესები გააქვავდა – ვნახეთ აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტში რუსი სამხედროების ენით აუწერელი მხეცობა, ჩეჩნეთის ომების წარმოუდგენელი სისასტიკე, შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) დაპყრობის დაუვიწყარი ტრაგედია, დონეცკის, ლუგანსკის ოლქების და ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია. ამ ტერორისტულ აქტებს პუტინი რუსეთის ინტერესებით ამართლებს, რუსეთის ისტორიული დიდების აღდგენისათვის საჭირო პატრიოტულ ძალისხმევად ასალებს, რითიც რუსი ხალხის სიყვარულს და ნდობას იმსახურებს.

დიახ, არა მარტო საშუალო სტატისტიკური რუსი, არამედ, ჩვენდა საუბედუროდ (და ზოგჯერ გასაკვირად) – რუსული კულტურის, ინტელექტუალური ელიტის, წარჩინებული საზოგადოების პრაქტიკულად სრული შემადგენლობა (შესაძლოა, პროცენტის მეათედების გამოკლებით) ალტკინებით სკანდირებდა „Крым наш!!!“, ამ საერთაშორისო დანაშაულს თანაგრძნობით, ალტაცებით და მადლიერებით ხვდებოდა და წმიდათაწმიდა პატრიოტიზმის დასტურად მიიჩნევდა. შეიძლება თუ არა ამ დამოკიდებულების გაგება? რეალობა გასაკვირია, მაგრამ ფაქტია და თანაც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში უცვლელად მეორდება – რუსეთი იპყრობს

მის გარშემო ყველაფერს, რასაც მისწვდება. ამიტომ, ვფიქრობ, თამამად შეგვიძლია განვაგრძოთ დღევანდელიობაზე აკუნინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთის განვითარების კარდინალური გზა ოქროს ურდოს ფენომენმა და, იმავდროულად, რუსული სახელმწიფოს კოლონიალისტური მიმართებების პრაგმატულმა ლოგიკამ განაპირობა – რატომ უნდა ეძებნა კოლონიები შორს, ზღვების გადაღმა, როცა გვერდით ამოდენა უპატრონო (გინდაც პატრონიანი, დიდი ამბავი, მთავარია, რომ სუსტი) ტერიტორია და ამდენი პატარა, დაუცველი ქვეყანა და ხალხი იყო?! მე რე რა, რომ მათგან ზოგიერთი „ერთმორწმუნე“ ერი გახლდათ, განა ეთიკურ-მორალური პრინციპი როდისმე აკავებდა დამპყრობლურ ინსტინქტებს?

მაგრამ ვითარების დრამატულობა ისაა, რომ ეთნოფსიქოლოგიაში თუ სოციალურ ფსიქოლოგიაში ღრმა ძიების გარეშეც ვხედავთ – რუსმა ხალხმა, ამ რუსულ-მონღოლურმა სინთეტურმა ერმა – ენთუზიაზმით აიტაცა, გაითავისა და უყოყმანოდ დაიკერა საკუთარი გამორჩეულობა, უფლებამოსილება და მესამე რომისა და მესამე რომაელების (ანუ – საკუთარი) ღვთივკურთხეული მისია – იყოს ჰეგემონი ყველგან, სადაც კი რუსული ჩექმა დადგება. სხვადასხვა ეპოქაში ეს აკვიატება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა – მაგ., რიურიკოვიჩებით დაწყებული „მიწების შეგროვება“, პეტრე პირველის ოცნება – ბალტიიდან კონსტანტინოპოლამდე იმპერიის გაფართოება, „ევროპის ჟანდარმობა“ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ბოლშევიკური რევოლუციის ევროპაში გავრცელების მცდელობა, ჰიტლერის დამარცხების შემდეგ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ტერორი, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ლამის ყველა კონტინენტზე გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნები ნაყიდი თუ მარიონეტული მთავრობებით და ბოლოს, სსრკ-ს დაშლასთან ვერშეგუება, რუსეთის იმპერიის აღდგენის დაუოკებელი სწრაფვა სისხლიანი მეთოდებით და, ისევ და ისევ, ნაყიდი, კონფორმისტი პოლიტიკოსების მეშვეობით, დღეს, 21-ე საუკუნეში.

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის სახელმწიფოს (პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციის განუჩრეველად) შიდა ბატონყმური და გარე დამპყრობლურ-ტერორისტული პოლიტიკა სრულიად კანონზომიერი, რადგან პასუხობს მისი მოსახლეობის მოლოდინს და სურვილს (რო-

მელსაც თვითონვე უყალიბებს). დღეს ის კვლავაც ცოცხალია, როგორც საუკუნეების წინ, და მისი ისტორიული განვითარების არაევოლუციური პროცესის ლოგიკური გამოვლინებაა.

უფრო მეტად გასაკვირი სხვაა – ჩვენ, რუსეთის იმპერიის სამივე იპოსტასის მიერ დაპყრობილ, დახვრეტილ, გაციმბირებულ, ოკუპირებულ ხალხს, რატომ არ ან ვერ გამოგვიმუშავდა ერთიანი, ადეკვატური დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოს მიმართ?

როგორ შეიძლება ამ რეალობის შემხედვარე ხალხი რუსეთის მიმართ ასეთ ხიბლში რჩებოდეს?

როგორ ვტყუვდებით?

ვფიქრობ, აკუნინმა არასათანადოდ განიხილა და არასაკმარისი მნიშვნელობა მიანიჭა რუსეთის სამეფოში აღმოცენებულ და საუკუნეების განმავლობაში დახვეწილ, „დერჟავის“ გადარჩენის იდეოლოგიურ ფრონტს – ინფორმაციით მანიპულირების, უტიფარი ტყუილის და მიზანმიმართული პროპაგანდის მეთოდების ფართო გამოყენებას სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. თუმცა ამ მეთოდის წარმატებული გამოყენების ცალკეული მაგალითები კი შესანიშნავად აღწერა – გავიხსენოთ რუსეთის „წმინდა ძროხები“ (ფრანგულ და ანგლო-ამერიკულ პუბლიცისტიკაში ეს მეტაფორა უზადო რეპუტაციის მქონე პიროვნებას აღნიშნავს, რომლის მიმართ რაიმე ეჭვის გაჩენა შეუძლებელია. ფრანგულად „vache sacrée“, ინგლისურად „sacred cow“), ანუ – ხელშეუხებელი პერსონები – მაგ.: პეტრე პირველი, ამორალური სადისტი და ა.შ., პროგრესულად მოაზროვნე რეფორმატორად არის აღიარებული, ალექსანდრე პირველი, ნაპოლეონის დამმარცხებელი, მაგრამ „ევროპის ჟანდარმი“ და სხვანი. სხვათა შორის, შეგვიძლია „ვიამაყოთ“ – ამ სიაში სტალინიც შედის. სამწუხაროდ, რუსეთის იდეოლოგიები ამ მეთოდს არა მარტო ასეთ პიროვნებათა „გამაპატიოსნებელი“ მიზნებისათვის იყენებდნენ და იყენებენ, ბევრად უფრო საშიში და დამაზიანებელია, როდესაც რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა ტერორისტულ, დამპყრობლურ მიზნებს ემსახურება. დღეს უკრაინაში ომის საჭიროების პუტინისეული დასაბუთება და მსვლელობის კომენტირება პროპაგანდისტული ტყუილის და დეზინფორმაციის უწყვეტი ნაკადია. რუსეთის მიერ იდეოლოგიური მანიპულირების როგორც ისტორიული, ასევე

დღევანდელი მაგალითები საქართველოშიც მრავლადაა და, შესაძლებელია, ქართველების „სიბედის“ გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს იყოს. გარდა ამისა, 21-ე საუკუნის ქართველები კვლავაც (მსგავსად მათი წინაპრებისა) უაღრესად მგრძობიარენი აღმოჩნდნენ რელიგიური, უფრო ზუსტად, ფსევდორელიგიური სენტიმენტების, ანუ „წმინდა რუსეთის – მესამე რომის“ შარავანდედის მიმართ. განათლების არმქონე ადამიანები შეიძლება მართლაც გულწრფელად მიიჩნევენ, რომ ერთმორწმუნეობა ყველაზე და ყველაფერზე, სამშობლოზე, კაცთმოყვარეობაზე, მორალზე, სამართლიანობაზე მეტია, მაგრამ მიჭირს დავიჯერო, რომ განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე ე.წ. ინტელიგენტი ან ცალკეული პატიოსანი ქართველი ღვთისმსახური რაიმე მიზეზით გაამართლებს რუსეთის ტერორიზმს უკრაინაში, ან სერიოზულად მიიჩნევს რუსული პროპაგანდის არგუმენტს უკრაინაში „გამეფებული“ ნეოფაშიზმ/ნეონაციზმის ან, ამ ბოლო დროს, უკვე სატანიზმის დამარცხების საჭიროების შესახებ. სამწუხაროდ, ქართველების ფსიქიკაში კოგნიტური დისონანსი შეიქმნა: ერთმორწმუნე, კარგი რუსეთი და უცებ – ომი და ცუდი რუსეთი. ქართველები თავიანთ სენტიმენტებში ცდილობენ კარგ ერთმორწმუნე რუსეთს ეს სიცუდე როგორმე მოაცილონ. მოიძებნა გამოსავალი: ცუდია პუტინი და ომი, კარგია ერთმორწმუნე რუსეთი. მაგრამ ომის და პუტინის მიმართ რუსული ეკლესიის და რუსი ხალხის უმრავლესობის დამოკიდებულებამ ცხადი გახადა: რუსეთი, პუტინი, პატრიარქი კირილე და ომი – ეს ერთი მთლიანობაა. და ეს ძალიან ცუდია. ამ ფაქტს ერთმორწმუნე რუსეთის მოყვარულმა ქართველებმა თვალი უნდა გაუსწორონ და სათანადო დასკვნა გააკეთონ. იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენი ხალხის გულუბრყვილო, მიმდობი ნაწილი რეალობას დაინახავს. კარგი რუსეთი კი ემიგრაციაშია. იქნებ რუსეთუმეობის მიზეზი სულ სხვაა? სამწუხაროა, მაგრამ შესაძლებელია, რომ რუსეთუმეობის მიზეზი არა ერთმორწმუნეობის პატივისცემა, არამედ გაცილებით უფრო სამარცხვინო რამ არის – ანგარება: ვთქვათ, მავანთა მიერ ქვეყნის ინტერესების გაყიდვა რუსეთის მხრიდან მათ მოსაქრთამად გადმოგდებული თანხების სანაცვლოდ.

- თუ განვიხილავთ რუსეთ-საქართველოს მიმართებებს იდეოლოგიურ ფრონტზე, დავინახავთ, რომ ჰერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადე-

ბამდე, საქართველოში რუსეთის მიმართ ნდობის და რწმენის a priori იდე-
ალიზაციის ტენდენციამ იმძლავრა, რაშიც ქართველებისათვის ერთმორ-
წმუნეობა მართლაც გადამწყვეტი იქნებოდა. ძალიან ბევრ ქართველს
სჯეროდა და დღესაც (!) სჯერა, რომ:

- დალუბვის ზღვარზე მდგარი საქართველო გადაარჩინა ერეკლე მეფის
გადაწყვეტილებამ, რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო;

- ერთმორწმუნე რუსეთი ჩვენი მფარველია, რუსეთის გარეშე საქარ-
თველო ვერ იარსებებს;

- ევრობა/ამერიკა ცოდვილია, ერეტიკოსია, ამორალურია, გვაიძულებს
ერთსქესიანთა ქორწინებას, გვართმევს ქართველობას, გვითრევს ომში;

ქართველების მსგავსად, რუსებსაც აქვთ საუკუნეებში განმტკიცებული
წარმოდგენები. დღეს რუსებს სჯერათ, რომ:

- უმადური პოსტსაბჭოთა ქვეყნები რუსეთის საკუთრებაა, რუსეთს
უფლება აქვს ისინი იარაღის ძალით დაიბრუნოს;

- მთელი მსოფლიო ემუქრება რუსეთს მოსპობით, ამიტომ მშვიდობიანი
რუსეთი იძულებულია თავი დაიცვას, თუნდაც ატომური იარაღით;

- რუსეთი-მესამე რომია, პუტინი – მისი მოციქული, შეუცდომელი, გამ-
ჭრიახი, სამშობლოზე მზრუნველი, ხოლო რუსები ზე-ხალხია.

საჭიროებს კი ეს წარმოდგენები სერიოზულ განსჯას? მათი ტენდენ-
ციურობა, აბსურდულობა, სიყალბე და პირდაპირ ვთქვათ, სიბრიყვე ხომ
ცხადზე უცხადესია?

სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დიახაც, საჭიროებს... მაგრამ
ვისთვის საჭიროებს? აკუნინის წამკითხველი ისედაც მშვენივრად ერკვევა
ამ საკითხებში, ის კი ვინც საჭიროებს – არც აკუნინს კითხულობს და, თით-
ქმის დარწმუნებული ვარ, არც ამ წიგნს წაიკითხავს.

ჩამოთვლილი საკითხების გარჩევა, ცხადია, ძალიან საინტერესო, pro
& contra არგუმენტირება ზუსტი და წონადი შეიძლება ყოფილიყო, მაგ-
რამ საბოლოოდ ეს შრომა ფუჭი იქნებოდა, რადგან ადრესატამდე ვერ
მიღწევდა. ამიტომ, ვფიქრობ, ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გარ-
ჩევით შემოვიფარგლო, რომელიც თანამედროვე საქართველოს ბედის
უკუღმართობის სათავე მგონია და, სიმართლეს ვიტყვი, მე თვითონ გან-

საკუთრებით მაინტერესებს – ეს საკითხია ერეკლე მეორის საბედისწერო გადაწყვეტილების გავლენა ქართველებზე. რაც შეეხება გეორგიევსკის ტრაქტატის პრეისტორიას, მომენტის ისტორიულ ანალიზს და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რაც ისტორიის მეცნიერების სფეროს განეკუთვნება – ამის შესახებ ცალკე და სერიოზულად საუბარია საჭირო.

დღევანდელი ქართველების დიდ ნაწილს სწამს, რომ ერეკლე მეფემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც რუსეთს მფარველობა სთხოვა. ხალხში დამკვიდრებული ეს რწმენა ჯერ რუსეთის იმპერიის, მერე სსრკ-ს, ახლა რუსეთის პროპაგანდის და დეზინფორმაციის სამსახურების წარმატებული პროექტია. ეს უაღრესად სერიოზული სამსახურები უზრუნველყოფდნენ იმ თაფლაკვერების გამოცხობას, რომლითაც გამათრახებულ ხალხებს არსებულ ვითარებას აგუებდნენ – სულიერი სიმშვიდისათვის ხალხს ეროვნული გმირი სჭირდება? – კი ბატონო, გამოვუცხობთ. ეს არ ეხება მხოლოდ საქართველოს, ყველა დამონებულ ხალხს თითო-ორიოლა გმირს შეურჩევდნენ, თვით რუსებსაც, როცა საჭიროდ ჩათვლიდნენ, ძველ ეპოქებში ჩაკარგულ ახალ/ძველ გმირს იბოვნიდნენ, სათანადო კოსმეტიკური ჩარევის შემდეგ გაცოცხლებდნენ და, აი, ისიც, ჰობლა! საჭირო გმირი საჭირო მომენტში – მაგალითად, ალექსანდრე ნეველი მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში გადაღებულ საბჭოთა „ბოევიკის“, „ალექსანდრე ნეველის“ მთავარი გმირი, ისტორიული კვაზი გამარჯვების მომპოვებელი, ლივონიის ორდენის, ტევტონი რაინდების შემმუსვრელი, ქერა, უშიშარი, მომხიბვლელი, მთელი საბჭოეთის ხალხებს რუსეთის დიდებით რომ აღაფრთოვანებდა და ა.შ. ასეთივე როლი დაეკისრა ერეკლე მეორეს, ხალხის საყვარელ „ბატარა კახს“, რუსეთის პროპაგანდისტულმა მანქანამ ქართულ „წმინდა ძროხად“ რომ შექმნა და სათანადო ნარატივით მოგვაწოდა: ერეკლე მეფემ სამშობლოს გადასარჩინად უძლეველ, ერთმორწმუნე, მოწყალე რუსეთს მფარველობა სთხოვა, თავისი ნებით მისი ქვეშევრდომობა მიიღო, რუსეთმა თავისი მფარველი კალთა გადააფარა სულთმობრძავ საქართველოს, გადაარჩინა, ააყვავა. საქართველო სამუდამოდ დარჩება რუსეთის ქვეშ, ერეკლე მეფის გადაწყვეტილება სწორი იყო, მასში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. რუსული პროპაგანდის სიძლიერეზე მეტყველებს ფაქტი, რომ საქართველოს ისტო-

რიის ამ უმძიმესი გარდამტეხი მომენტის ინტერპრეტაცია არ შეცვლილა არც სსრკ-ში, არც დღევანდელ რუსეთში და რაც დასანანია, არც თავისუფალი საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებში.

შენიშვნა:

ამ უკანასკნელი განცხადების გაკეთების უფლებას მაძლევს საკითხის გასარკვევად ჩატარებული პატარა კვლევა – შევისწავლე აღნიშნული ისტორიული მომენტის აღწერა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ეს punctum nullum reditus იგივე ბუნდოვანი, მითოლოგიზებული ნარატივით არის გადმოცემული.

თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები წერენ და აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს, სადაც ისტორიული სიმართლეა გადმოცემული. რამდენიმე ავტორს დავასახელებ: ოთარ ჯანელიძე – ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2013; ლევან ზ. შურუშაძე – რუსეთის ანტიქართული პოლიტიკა, თბ., 2017; ვახტანგ გურული – საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801), თბ., 2009; მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული – საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1801-1921), თბ., 2009; ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე – რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, სტატიების კრებული, თბ., 2008.

სამწუხარო ისაა, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამ და სხვა მსგავსი წიგნების არსებობა არ იცის და, შესაბამისად, არც კითხულობს. ხელისუფლება და მას-მედია არაფერს აკეთებს, რომ ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომები საზოგადოებას გააცნოს – ანუ, ფაქტობრივად, აჩუქათებს მათ... საზოგადოებრივ მაუწყებელზე აუცილებლად უნდა არსებობდეს ისტორიული არხი, სადაც ზემოხსენებულ თემებზე საგანმანათლებლო და, თუნდაც, სადისკუსიო გადაცემები გადაიციემა ეთერში. ცივილიზებულ, ევროპულ ქვეყანაში ასეც იქნებოდა, მაგრამ ჩვენს მმართველებს, როგორც ჩანს, არ

სურთ, ქართველ ხალხამდე ისტორიული სიმართლე მივიდეს.

რომ არა იდეოლოგიური წნეხი და ეფექტიანი პროპაგანდა, რომელიც სნაიპერის სიზუსტით პოულობს და პოულობდა ქართველების სულის მგრძობიარე სიმებს, ერეკლე მეორის ამ რისკის შემცველი გადაწყვეტილების მიმართ დამოკიდებულება, სავარაუდოდ, ხალხის თვალში ასე რომანტიზებულ-გავარდისფრებულად არ იქნებოდა შემონახული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია, გიორგიევსკის ტრაქტატის წინა პერიოდი, მოკავშირეების ძებნის ალტერნატიული ვარიანტები, მეფის მრჩევლების შეხედულებები, ვითარება ტრაქტატის დადების კონკრეტულ ისტორიულ მომენტში, და ა.შ. სათანადოდ არის შესწავლილი და პოლიტიკური შეფასებებიც არის გაკეთებული. ეს შეფასებები სულაც არ ყოფილა მხოლოდ დადებითი, პირიქით, კრიტიკაც იყო (თუნდაც ივანე ჯავახიშვილის ნარკვევი გავიხსენოთ: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში“, თბ., 1919, რეპრინტი კრებულში: „ისტორიული რარიტეტები“, თბ., 1989. ამ წიგნიდან საილუსტრაციოდ ორ ციტატას მოვიყვან: „რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰბარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძობაზე და გულუბრყვილობაზე იყო დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინეობა სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუს ხალხისადმი“-ო, ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, – და ამ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევ ქართველების იმდენად მოჯადოვებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.“ (გვ.110) ... „ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარ ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მის მამის თეიმურაზ მე II-ისა და მის პირად დაულალავ შრომითა და გამჭირახობით იყო მოპოვებული.

მის სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.“ (გვ.113-114).)

როგორც ვთქვი, ეს საკითხი სერიოზულ განხილვას მოითხოვს. აქ კი მხოლოდ ხალხში დამკვიდრებული წარმოდგენების შესახებ ვიმსჯელებ.

ცხადია, რომ ერეკლე მეორე, თავისი ქვეყნისათვის თავდადებული პატარა კახი, მთელი სიცოცხლე ხმლით ხელში გმირულად რომ იმობდა, სხვა იმედებს ამყარებდა რუსეთზე და, შესაძლოა სიცოცხლის ბოლოს საშინელი ეჭვები და სინანული დაეუფლა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ადამიანურად ვუთანაგრძნობთ ნაომარ, დაქანცულ, მიმნდობ, მოტყუებულ მთავარსარდალს. ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ქართველებმა იმედგაცრუება მალევე იგრძნეს, საზოგადოება ორად გაიყო. ერეკლეს შვილიშვილებმა უკვე ცხადად დაინახეს, რომ დაიღუპა ყველა და ყველაფერი, რისთვისაც მათი პაპა სისხლს ღვრიდა – ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა, რუსეთის გუბერნიად იქცა. დასანანია, მაგრამ უკვე გვიანლა იყო. ეს ყველაფერი ფართოდაა ცნობილი, ხალხის უკმაყოფილებაც, პროტესტებიც, აჯანყებებიც, მალევე რომ დაიწყო. მაგრამ დღეს ეს აღარ გვახსოვს (ზოგს ახსოვს, მაგრამ ის „ცუდი ტიპია“) და მოწყალე რუსეთს ბეჩავი საქართველოს გადარჩენას ისევე ვუმაძლით (ბრავო, პროპაგანდა!).

ცხადია, რუსეთი ისევე მოიქცა საქართველოში, როგორც ნებისმიერ სხვა დაპყრობილ ტერიტორიაზე: ტერიტორია შეიერთა, დაყო გუბერნიებად, თავის განაპირა პროვინციად აქცია და ისე მართავდა, როგორც, ვთქვათ, ტამბოვის ოლქს. იმ ტიპის იმპერიალისტურ-ტერორისტული სახელმწიფოსთვის, როგორც რუსეთია, გეორგიევსკის ტრაქტატს, თავის წვრილად გაწერილი უფლება-მოვალეობებით, როგორც იტყვიან ხოლმე – ჩალის ფასი ჰქონდა, საქართველოს სამეფოს მხრიდან ტრაქტატის ხელმოწერა, რუსეთის თვალში, საქართველოს განადგურების არა მარტო პოლიტიკურ, არამედ მორალურ ლეგიტიმაციადა აღიქმებოდა. დამონებულ ხალხზე მორალური წნეხი კი ნიშნავს შეურაცხყოფას, აბურად აგდებას, დამცირებას, ღირსების შელახვას ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ყველას მიმართ – დაწყებული ტახტიდან ჩამოგდებული ექს-მეფის ოჯახით, დამთავრებული ყველაზე უწყინარი გლეხით. სხვა რა დამოკიდებულება ექნებოდა

რუს სამხედროს, ჩინოვნიკს, მღვდელს, საცოდავი, დამფრთხალი, უძლური ხალხის მიმართ, მფარველობას რომ ეხვეწებოდა? სავარაუდოდ, აქედან მომდინარეობს მიზანმიმართული პროპაგანდით გამყარებული ის აგდებული დამოკიდებულება, რომლის დემონსტრირებას რუსები ქართველების მიმართ არასდროს ერიდებოდნენ. A propos, სტალინის რუსები ქართველად არ აღიქვამენ, ის რუსული „წმინდა ძროხაა“.

ცალკე დიდი საკითხია ქართული ეკლესიის სტატუსი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ. ავტოკეფალია გააუქმეს და საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიას დაუქვემდებარეს, მმართველად ეგზარქოსი დაუნიშნეს (მხოლოდ პირველი იყო ეროვნებით ქართველი, ყველა დანარჩენი – რუსი). რა თქმა უნდა, ეს უკიდურესად უსამართლო და ცინიკური ძალადობა იყო, თუ გავიხსენებთ, რამდენი საუკუნით უფროსია საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიაზე. მაგრამ საკითხი არც კი განხილულა, რადგან რუსეთის, როგორც მესამე რომის პრეტენზიები იმდენად გრანდიოზულია, რომ რამდენიმე საუკუნე არაფერს წყვეტს. სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიის ძალმომრეობა საკმაოდ მასშტაბური იყო – ქალაქებში არსებულ დიდ ტაძრებში შეწყდა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, შეათეთრეს ფრესკები, რუსეთში გაიტანეს საეკლესიო განძი და სხვ. ბევრი დამსახურებული ქართველი ღვთისმსახური შეეწირა ქართული ეკლესიის განადგურებას, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგაც კი, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთი არ წყვეტდა ქართულ ეკლესიაზე თავდასხმებს – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღმდგენი, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, ხომ სრულიად გაურკვეველ ვითარებაში, საკუთარ ლოგინში ტყვიით მოკლული ნახეს. კათოლიკოს-პატრიარქი რომ თვითმკვლელობას არ ჩაიდენდა, ამაზე კამათი, ვფიქრობ, ზედმეტია. ბოლშევიკებმა აწამეს, გაასამართლეს, არაერთხელ გადაასახლეს, მეორე მღვდელმთავარი – კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომელმაც სულის სიმტკიცის შესანიშნავი მაგალითი დაგვიტოვა. ჩვენს დროში რუსულმა საპატრიარქომ აფხაზეთის ეკლესიებში ჩაიდინა ვანდალური აქტები. შედეგად რა? დღეს რა ხდება? პატრიარქ კირილესთან გაგზავნილი მისალოცი ეპისტოლეები რად ღირს! ეს ის კირილეა, პუტინის მთავარი იდეოლოგი, „წმინდა რუსეთის“ მისიის აპოლოგეტი, უკრაინის ომის გამამართლებელი, ომში მიმავალი მეომრე-

ბის დამლოცავი, ახალწვეულების დამაიმედებელი – სიკვდილი ამ ომში განწმენდს ჯარისკაცს და ის პირდაპირ სამოთხეში მოხვდება (მგონი ისლამიც ასე ანუგეშებს თვითმკვლელ ტერორისტებს, არა?). როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსეთის ეგზარქოსების რწმენას იზიარებს, რომელიც დღეს, 21-ე საუკუნეში, უკრაინაში გაჩაღებულ ტერორისტულ, სისხლისმღვრელ, ბარბაროსულ ომს ბოროტების ძალების და სატანისტების განადგურების წმინდა მისიად ასაღებს. რაღად გვიკვირს ეკლესიის მოშიში ადამიანების განწყობა, თუ ათასი პრობლემით გატანჯულ მრევლს ეკლესია ასე აწვდის ამ ომის „წმინდა მისიას“. მიმდობი ქართველებით მანიპულირება ხომ ძალიან ადვილია: რუსები და ჩვენ ერთმორწმუნეები ვართ, ევროპა და ამერიკა კი ერეტიკოსები და ცოდვილები არიან, უნდათ ქართველებიც წარწყმიდონ. რუსეთმა როგორც არ უნდა შეურაცხვეს ქართული ეკლესია და ქართველი ხალხი, რა ბოროტებაც არ უნდა ჩაიდინოს უკრაინაში, კიევიში, რომელიც ამ რუსეთის აკვანია, ჩვენ მაინც ერთმორწმუნე რუსეთი გვირჩევნია. დაუჯერებელია, გულდასაწყვეტი და ბოლოს და ბოლოს – კატასტროფულად სახიფათოა, მაგრამ ასე დღესაც ბევრი ფიქრობს.

როგორ მოხდა, რომ თავმოყვარე ქართველები ამდენ შეურაცხყოფას იტანდნენ?

ვეჭვობ, ქართველების თვითშეფასებისათვის დამანგრეველი აღმოჩნდა საყვარელი მეფის მიერ გადადგმული ეს უიმედობით ნაკარნახევი საორჭოფო ნაბიჯი – თავდაცვით ბრძოლაზე უარის თქმა. ასეთი რამ ძვირად უჯდება ქვეყანას და ხალხს. ვფიქრობ, სწორედ ეს – ეროვნული სიამაყის შელახვა, დამოუკიდებლობის დაკარგვა და საკუთარ უძლურებასთან იძულებითი შეგუება იქნებოდა (და არის) ქართველების უმძიმესი ტრაგედია. საკუთარი ნებით ოკუპანტის ფეხქვეშ გაგებით ისპობა მორალური უპირატესობა, როდესაც ერი შეიძლება დაპყრობილი აღმოჩნდეს, მაგრამ ვერდამორჩილებული და ამდენად – გაუტეხელი. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი თავის პატივისცემის და ღირსების შესანარჩუნებლად, რაც ადამიანებს პროტესტის, წინააღმდეგობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის ძალას აძლევს. კიდევ საჭიროა გმირი, წინამძღოლი, მთელი ერისათვის თავდადების მაგალითის მიძეცი, რომელსაც ადამიანები დაუჯერებენ,

მიბაძავენ, ბრძოლაში გაყვებიან, დამარცხდებიან და დაიღუპებიან კიდეც, მაგრამ იმ რწმენით, რომ სამშობლოს ღირსება შეუნარჩუნეს. ამ მხრივ მაშინაც და ეხლაც არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ... Per viam, იმამ შამილის სახელი, ალბათ, დღესაც ისევე ცოცხალია კავკასიელი ხალხების გულში, როგორც ორი საუკუნის წინ.

გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგი პერიოდის გადატანა, ალბათ, ძალიან ძნელი იქნებოდა თავმოყვარე ქართველი თავად-აზნაურობისთვის, და, მართლაც ცნობილია, რომ ძალიან ბევრი იყო წინააღმდეგობის, აჯანყების, შეთქმულების ფაქტი, რასაკვირველია – ცეცხლით და მახვილით ჩახშობილი. პარალელურად ასევე ძალიან ბევრი იყო კოლაბორაციონიზმის ან სულაც გამყიდველობის ფაქტი და აქ უკვე არავითარ მაღალ მატერიებზე არ იქნებოდა ფიქრი – სად გაგონილა დაყმევებულის ღირსება და სიამაყე... და გაჩნდა დაბეჩავებული ერის თავშესაფარი – წარსული დიდება როგორც ნუგეში, როცა აწმყო აუტანელია. დღესაც იქ ვართ. თუმცა, ზოგჯერ გავიბრძოლებთ ხოლმე...

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ ქართველების თვითშეფასება სრული განადგურებისაგან იხსნა – პირველი რესპუბლიკის მთელი პერიოდი გვარწმუნებს, რომ ქართველები მართლაც ევროპელები ვართ, რომ ჩვენი ფასეულობები ევროპული ჰუმანიზმის, განმანათლებლობის, სოციალური სამართლიანობის ფასეულობებია. სიამაყით ვიხსენებთ ჩვენს სწავლულებს, პირველ რიგში უნივერსიტეტი რომ დააფუძნეს, მეცენატებს, ნიჭიერი ახალგაზრდები უცხოეთში რომ გაგზავნეს სასწავლებლად, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ორ წელიწადსა და რვა თვეში ცივილიზებული ევროპული ქვეყანა რომ ააშენეს. მაღლობები ვართ ევროპის, გვახსოვს როგორ ეხმარებოდა საქართველოს ხან გერმანიის ჯარი და საკონსულო, ხან ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატიური წრეები. შემდეგ როგორ დავრჩით მათ გარეშე და რუსეთმა, რომელთანაც 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონდა დადებული, საკუთარი სიტყვა ურცხვად დაარღვია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ 1921 წელს კიდეც არსებობდნენ გმირები, რომლებმაც არ მოისურვეს მორჩილად დანებება და სამშობლოსათვის უიმედო ბრძოლაში თავდადების მაგალითები გვიჩვენეს. პატივისცემით ვიხსენებთ ჩვენ სამხედროებს, განსაცდელის უამს, უთანა-

სწორად ბრძოლაში რომ იცავდნენ ქვეყანას, რა თქმა უნდა – იუნკრებს, სტუდენტებს, 19 წლის მარო მაყაშვილს, თბილისისთვის ბრძოლაში რომ დაიღუპა. ბევრი გვაქვს გასახსენებელი, მაგალითად, როგორი სიტყვებით მიმართა ომში მიმავალ სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა. ეს ყველაფერი ცნობილია, შემონახულია დოკუმენტების სახით, მაგრამ ბევრმა არ იცის და არც უნდა, რომ იცოდეს, რადგან პირველი რესპუბლიკის მიღწევები, რუსების შემოჭრის და ბოლშევიკურ რუსეთთან ტრაგიკული, უთანასწორო ბრძოლის და დამარცხების ამბებიც ეწინააღმდეგებოდა სსრკ-ს იდეოლოგიზებულ, მითოლოგიზებულ ისტორიას, რომელიც მთლიანად გაყალბებულია და მხოლოდ გამყიდველი ქართველების ამაზრზენ ფრაზას „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს“-ო, იხსენებდა. საქართველოს ახალი ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი ობიექტურ შესწავლას, გაშუქებას და, რაც მთავარია, ფართო საზოგადოებამდე მიტანას საჭიროებს. მთავარი ფაქტი კი მაინც ვერ დამალეს ბოლშევიკებმა – ქვეყნის კაპიტულაცია არ გამოუცხადებია, ის იარაღის ძალით იქნა დაპყრობილი და რუსეთის მიერ ანექსირებულად უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების „ძმურ ოჯახში“ ეს აღარ გახსენებიათ. თავისუფლების ორი წელი და რვა თვე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და შეფიცულთა რაზმი, სისხლით ჩანშობილი დაუმორჩილებლობა და ბოლოს დამარცხება – საქართველოს ისტორიის ეს მოკლე პერიოდი სამშობლოს სიყვარულის, თავდადების, თავგანწირვის ისეთი მუხტის შემქმნელი აღმოჩნდა, რომ 70 წლის განმავლობაში გვასულდგმულებდა. მერე, როგორც იქნა, სსრკ დაიშალა.

ბოლო 30 წელი საქართველო დამოუკიდებელია. ამასობაში ორი შეიარაღებული კონფლიქტი გადავიტანეთ: აფხაზეთის ომი პუტინამდე და შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) ომი პუტინის ეპოქაში. ამ ორივე ომში ქართველების სულისკვეთება პატრიოტული და გამირული იყო. მიუხედავად ომების პოლიტიკური შედეგებისა, ადამიანებმა სამშობლოსადმი თავდადება, თავგანწირვა გამოავლინეს, დაიღუპნენ, მაგრამ ქართველი გმირების პანთეონს მრავალი სახელი შეემატა. დღემდე გრძელდება კონფლიქტები სასაზღვრო რეგიონებში, როდესაც ადამიანები ამტკიცებენ სამშობლოს სიყვარულსა და სამშობლოსთვის თავგანწირვას. 2008 წელს და შემდეგ

ისე ჩანდა, რომ ქართველები ერთიანები იყვნენ მტრის წინააღმდეგ, ხოლო ეს მტერი იყო – რუსეთი. ჯერ კიდევ 7-8 წლის წინათ ამაში ეჭვი, მგონი, არავის ეპარებოდა. საუბედუროდ, ახლა ასე დარწმუნებით ველარ ვიტყვი. არც მიკვირს – ქართველი ხალხიც ხომ ისევე შთაგონებადია (ახლა მოწყვლადობას რომ ვეძახით), როგორც ნებისმიერი სხვა – და თუ რელიგიურ და სახელმწიფო ხელისუფლებაში მყოფი, ჩვენი ქვეყნის მომავლის განმკარგავი კონგლომერატი, ამ რთულ დროს ბედის ირონიით ისტორიას რომ ქმნის, ერთი და იგივე სიტყვებით, მოწოდებებით, შეპარვით და ღიად, ფინანსური და ზოგჯერ ძალისმიერი არგუმენტებით გამყარებული ნარატივით ზემოქმედებს მასის ცნობიერებაზე, შედეგი ადრე თუ გვიან დადგება (როგორც დიდი გამოცდილების მქონე ალ კაპონე იტყოდა – კეთილი სიტყვით ბევრის მიღწევა შეიძლება, მაგრამ კეთილი სიტყვითა და რევოლუციით – გაცილებით მეტის). ამ პრორუსული პრესინგის პირობებში სისხლისმსმელი რუსეთის მიმართ ქვეშევრდომლური სენტიმენტების არსებობის პარადოქსი ნაკლებ გასაკვირია, ვიდრე მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან ევროპისაკენ სწრაფვის შენარჩუნება (NB! საბედნიეროდ, კრიტიკულ მომენტში ადამიანის ქცევას გადარჩენის ბიოლოგიური ინსტინქტი განკარგავს – გვახსოვხარ, აკელა – ფრხიზლად იყავით, მგლებო! Homo sapiens-მა ეს ინსტინქტი common sense-ში გამოხატა, ხოდა ბავშვმაც კი იცის, რომ ევროპაში ცხოვრება უკეთესია, ვიდრე რუსეთში). იქნებ ამ ბარბაროსულმა ომმა ერთი სასარგებლო საქმე მაინც გააკეთოს – კეთილი და ბოროტი უფრო ცხადი გახადოს, დაგვეხმაროს, სწორ გზაზე დავრჩეთ.

რიტორიკული კითხვა – მხოლოდ ქართველები ვართ ასე ადვილად მართვადები?

რა დროა საჭირო იმისათვის, რომ ხალხმა ტყუილი – სიმართლედ, მტერი – მოყვარედ, მოძალადე – მეგობრად და ა.შ. აღიქვას? ანუ რა დროა საჭირო წარსულის დავიწყების, პრინციპების ღალატის, ფასეულობების გექტორების შესაბრუნებლად?

მე-20 საუკუნემ ხალხში დამკვიდრებული ფასეულობების მეტამორფოზის მკაფიო სურათი გერმანელების ნაციზმით გატაცებამ გვიჩვენა. ადოლფ ჰიტლერი საზოგადოებრივ სარბიელზე 1920 წელს სუსტი და მარგინალიზებული ნაცისტური პარტიის სახელით გამოჩნდა. 1918-1933

წლებში მაშინდელი გერმანია, იგივე ვაიმარის რესპუბლიკა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში იყო. 1923 წელს ნაცისტურმა პარტიამ სცადა პუტჩის მოწყობა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ არჩევნების გზით, კარგად გათვლილი, სპეკულატიური ლოზუნგების და დაპირებების დახმარებით, რესენტიმენტის წინ წამოწევით, ეტაპობრივად გაიძლიერა პოზიციები, თუმცა საღად მოაზროვნე გერმანელები ეწინააღმდეგებოდნენ ამ სახიფათო მიდრეკილებების პარტიის გავლენის ზრდას. 1933 წელს არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. გერმანიის პრეზიდენტმა პაულ ფონ გინდენბურგმა ადოლფ ჰიტლერი კანცლერად დანიშნა. 1934 წელს გინდენბურგი გარდაიცვალა, ხოლო ჰიტლერმა, პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენიდან მე-14 წელს, თავი ფიურერად – წინამძღოლად (ბელადად) გამოაცხადა – ამ მომენტიდან „ტვინების გამორეცხვის“ გებელსის უეფექტურესი პროპაგანდისტული კომპანია გაჩაღდა. და აი, ჰუმანისტი, კანონმორჩილი, გონიერი, განათლებული, ფილოსოფიის, ლიტერატურის, მუსიკის, ყვავილების და ა.შ. მოყვარული გერმანელი ხალხის დიდმა ნაწილმა ნაცისტების არაადამიანური, სასტიკი, ბარბაროსული ქმედებები გაამართლა, ან, სულ მცირე – შეეგუა მათ. ვერშეგუებული გერმანელების ნაწილმა ემიგრაციაში გაასწრო, დანარჩენი საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა. ჰიტლერის მთელი ეპოპეა დაახლოებით 24 წელს მოიცავს. ნაციზმის დამარცხების მომდევნო მრავალი წელი (დაახლოებით ოთხი ათეული) გერმანელებს გონზე მოსასვლელად დასჭირდათ. ეს ფსიქოტრავმა დღესაც, გარკვეულად, დაღად აწევთ, თუმცა მთავრობიან/ხალხიანად მოინანიეს კაცობრიობის წინაშე დანაშაულში თანამონაწილეობა. გასაოცარია ასეთი ცივილიზებული ერის გონების მასობრივი დაბნელების ფაქტი. ბრავო, დოქტორ გებელს!

რუსეთში – გლადიმერ პუტინი, იურისტი საუნცივერსიტეტო განათლებით, სუკ-ის უმაღლესი სკოლის და შემდეგ სუკ-ის წითელდროშოვანი ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სუკ-ის მაღალჩინოსანი (სამხედრო წოდებით – პოდპოლკოვნიკი), სობჩაკის და შემდეგ ელცინის დაახლოებული პირი (ცხადია, სუკ-ის მეშვეობით), 2000 წლის 26 მარტიდან დღემდე რუსეთის ფედერაციის თვითმპყრობელია მცირე ვარიაციებით – ხან პრეზიდენტი, ხან პრემიერ-მინისტრი. მისი საკუთარი, ეგროპასა და ამე-

რიკაში ამჟამად „პუტინიზმად“ ცნობილი იდეოლოგია ეყრდნობა ტრიადას – რწმენა, ოჯახი, სამშობლო. ამ იდეოლოგიის ნიშანსვეტებია: ჩეჩნეთის ორი ომი, გენოციდი და ქვეყნის განადგურება; ომი და გენოციდი სირიაში, შეიარაღებული შეჭრა საქართველოში, შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) და კოდორის ხეობის ოკუპაცია 2008 წელს; შეიარაღებული შეჭრა უკრაინაში, დონეცკის, ლუგანსკის ოლქების და ყირიმის ოკუპაცია 2014 წელს და ბოლოს – ფართომასშტაბიანი საომარი შეჭრა უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს, მთავრობის დამხობის და ნეონაციზმ/ნეოფაშიზმის გასანადგურებლად. იდეოლოგიური საყრდენი – უკრაინა ქვეყანა არ არის, ის რუსეთის მხარეა (პარადოქსი – ისტორიულად სწორედაც კიევის რუსეთის ნაწილი იყო მომავალი მოსკოვის სამთავროს ტერიტორია, და არა პირიქით) და რუსეთის შემაღენლობაში უნდა იყოს. რუსები აღტაცებით ეგებებიან პუტინის ყოველ ნაბიჯს. ამ ემოციური სოლიდარობის მისაღწევად ნიადაგი რუსეთში მზად იყო (მესამე რომი, რუსეთის და რუსების ზე-მისია და ა.შ.), მაგრამ პუტინმა, ჰიტლერის ანალოგიურად, ჟანრის კანონების დაცვით, უძლიერესი პროპაგანდისტული მანქანა აამუშავა, ხალხის აღზრდა ბავშვების წვრთნით დაიწყო – საბავშვო ბაღი(!) და სკოლა სრულიად იდეოლოგიზებულია, მიღებულია გადაწყვეტილება უმაღლესი სასწავლებლების იდეოლოგიზების შესახებ. თავისუფალი სიტყვა, ფაქტობრივად, აკრძალულია, დამოუკიდებელი ტელევიზიები დახურულია, ანტიპუტინისტები – ზოგი ემიგრაციაშია, ზოგი – ციხეში, გამორჩეულები – დახოცილია.

მაგრამ ამ ტოტალიტარულ/ტერორისტული მიმართულებით ტრანსფორმირებული სახელმწიფოსათვისაც კი უცნაურია, რასაც უკანასკნელ ხანს, ანუ 21-ე საუკუნის 20-იანი წლების, ევროპული ცივილიზაციის გამზიარებელ (გარეგნულად მაინც) სახელმწიფოს იდეოლოგიაში რუსი და არარუსი დამკვირვებლები ამჩნევენ და ჯერ იცინოდნენ, ახლა კი შფოთავენ. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს რუსი მიმომხილველის, ჟურნალისტისა და პოლიტოლოგის, ანდრია კოლესნიკოვის სტატიიდან „მეცნიერული პუტინიზმი“ (Научный путинизм), რომლის სრული ტექსტი მისაწვდომია ელ. მისამართზე: <https://carnegieendowment.org/politika/88295>

კოლესნიკოვი წერს, რომ პუტინის ავტოკრატიულმა რეჟიმმა 2022-2023 წლებში სიმწიფეს მიაღწია; განვითარების პროცესში მოხერხდა რუსეთის

მოსახლეობის ნაწილის დარწმუნება, რომ დიადი „დერჟავის“ დაბრუნება აუცილებელია, ასევე მოხერხდა ლიბერალური დასავლეთიდან და ქვეყნის შიგნით არსებული ლიბერალური, გამყიდველი მეხუთე კოლონიდან მომდინარე საფრთხეების რეალურობაში ხალხის დარწმუნება. პუტინის იმპერიული იდეა, კოლონიზაციის ლაიტმოტივი – მისი იდეოლოგიის ცენტრალური რგოლია. როგორც თავის დროზე ერმიტაჟის დირექტორმა, პუტინის ნდობით აღჭურვილმა პირმა, აკადემიკოსმა ბიოტროვსკიმ შენიშნა: „ჩვენ ყველა მილიტარისტები და იმპერიელები (имперцы) ვართ“. ძალიან მალე მოხერხდა მოსახლეობის დიდ ნაწილში მთვლემარე იმპერიული რესენტიმენტების გაღვივება; აქვე მოხდა სპეციალური სამხედრო ოპერაციის წარმოჩენა, როგორც „მთავარანგელოზ მიხეილის ბრძოლა სატანის წინააღმდეგ“, სტატიის ავტორის გასაკვირად წარმოიშვა ერთგვარი ღვთაებრივი დისკურსი, როდესაც რუსეთი ბოროტების ძალებსა და სატანას ებრძვის (არ მესმის, რატომ უკვირს კოლესნიკოვს უკრაინული სატანიზმი, რუსეთი ხომ მესამე რომია, პუტინი კი მეორე მთავარანგელოზი მიხეილი შეიძლება იყოს). ამ ნარატივის შექმნაში ძალიან „სასარგებლო“ როლს ასრულებენ პატრიარქი კირილე და ალექსანდრე დუგინი. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთის თავდაცვის საბჭოში უკრაინის „დესატანიზაციაზე“ დაიწყეს საუბარი (необходимость „десатанизации“ Украины).

ამ სტატიაში კიდევ ბევრი საგულისხმო ინფორმაციაა მოცემული. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს და, ჩემი აზრით, შემაშინებელიც, რადგან აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და ეკლესიაში ამ მანიაკალურ ბოდვას ბევრი იზიარებს და ისე მისდევს, როგორც გზამკვლევს.

Sic! გვიშობ, დაგვიანებულია, მაგრამ სასწრაფოდ, ყველგან, ყველანი, უკომპრომისოდ უნდა ვებრძოლოთ პუტინის ფულით ნაკვებ მეხუთე კოლონას, „ქართული მარშების“, „ალტ-ინფოების“ და „ინაშვილების“ იდეოლოგიურ დივერსიებს. ხომ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ მასა, ბრბო, ადვილად მოწყვლადია ამ გავლენების მიმართ, ხოლო ბავშვების და მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედება კი – უკიდურესად საშიში. ეს პრორუსული პროპაგანდა უნდა დასრულდეს! Ceterum censeo Carthaginem esse delendam!

პუტინის იდეოლოგიური აღზრდის შედეგი სახეზეა: რუსეთი მხარს უჭერს ერთმორწმუნე და მოძმე უკრაინელი ბავშვების, ქალების, კაცების წამებას, გაუბატიურებას, მკვლელობას, რადგან ეს სამშობლოს სადიდებლად – „Во славу России!“ – კეთდება. რუსი ხალხის ერთმორწმუნე ქართველების წინააღმდეგ დარაზმვას მ წელიც კი არ დასჭირდა („Грузины фашисты чернож.ые“). უფრო ადრეც მოახერხებდა, მაგრამ ვერ მოიცალა, ჯერ ჩეჩნების ბედი იყო გასარკვევი. სლავი ძმების, უკრაინელების წინააღმდეგ კი მთელი 14 წელი ემზადებოდა, სამაგიეროდ ისე ეფექტიანად იმოქმედა, რომ 2022 წლის შედეგმა არა თუ ჰუმანისტ/დემოკრატი ევროპელ/ამერიკელები, არამედ ერთ-ერთი აფრიკელი პოლიტიკოსიც კი ისეთ შოკში ჩააგდო – შეძრული ვარო – სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა. ეს პოლიტიკოსი, ალბათ, შეძლებისდაგვარად დაეხმარება უკრაინას, მაგრამ უფრო მეტი შანსია, რომ ევროპა/ამერიკის შეძრულობა გამოიღებს შედეგს.

მსოფლიოს უკრაინაც აოცებს – რუსული ურდოების წინაშე ასეთი მედგარი წინააღმდეგობა მოულოდნელი იყო რუსეთისთვისაც და მთელი მსოფლიოსთვისაც. გამოგიტყდებით, მშურს უკრაინელი ხალხის ერთიანობა და უდრეკი თავდადება. არავითარი შიში და გამყიდველობა (ერთეული შემთხვევები, ცხადია, არის, მაგრამ გამონაკლისი კანონზომიერებას უსვამს ხაზს), მხოლოდ შეურიგებლობა და სიმტკიცე. ვფიქრობ, რუსების წინაშე უკრაინელების ფსიქოლოგიური მედეგობა წარსულ გამოცდილებებში იღებს სათავეს: მათ ხომ რუსეთის „ძმური სიყვარულის“ ჩვენზე ხანგრძლივი და, რამდენად შეუძლებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩვენზე გაცილებით მძიმე გამოცდილება აქვთ – ჯერ იმპერიის პერიოდში, უფრო კი სსრკ-ს დროს ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, მეტ-ნაკლები მასშტაბით, გახდა სისხლიანი ტერორის და რეპრესიების სამიზნე და მსხვერპლი. მაგრამ უკრაინას განსაკუთრებული სისასტიკე დაატყდა თავს – 1932-1933 წლების „გოლოდომორი“, როდესაც რუსეთის სახალხო კომისრებმა უკრაინელებს წაართვეს მთელი სურსათი, სათესლე მარაგების ჩათვლით და შიმშილისთვის გაწირეს. ეს იყო უკრაინული სოფლის დასჯა კოლექტივიზაციის პროცესისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. ამ გაუგონარი ექსპრობრიაციის შედეგად, შავმიწა ნიადაგებზე მცხოვრები, გამრჯე უკრა-

ინელები, მთელ ევროპას რომ ხორბლით ამარაგებდნენ (ახლაც ამარაგებენ) შიმშილით იხოცებოდნენ ისე, რომ სოფლის დატოვების უფლება არ ჰქონდათ. სხვადასხვა დათვლით შიმშილით 4-დან 8 მილ. უკრაინელი დაიღუპა. ძალიან ბევრი გადაასახლეს. სასტიკი იყო ასევე, მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციები. ცხადია, ხალხი ასეთ „ძმობას“ არ იფიქრებს და სწორადაც იქცევა. ამიტომ რუსეთს უკრაინაში შანსი არა აქვს. A propos, პუტინი რუსეთის სათავეში უკვე 22 წელია, თუ ჰიტლერს გავიხსენებთ, მგონი დრო იწურება.

როგორც ვხედავთ, გერმანელი და რუსი ხალხების ორ არათანაბარ ნაწილად გახლეჩას და დიდი ნაწილის ფუნდამენტურ ზომბირებას (გერმანელების მიერ ჰიტლერის ფიურერად აღიარება და რუსეთის მიერ უკრაინის ორი რეგიონის და ყირიმის ოკუპაცია) დაახლოებით 14-14 წელი დასჭირდა, ჰიტლერის თვითგანადგურების სპირალში შესვლას და ფინალამდე მისვლას – 24 წელი. მაგრამ პუტინი ჯერ ფინალამდე არ მისულა. უკრაინაში სისხლისმღვრელი, ბარბაროსული ომი გრძელდება. ჯერჯერობით არ მართლდება მოლოდინი, რომ რუსი ხალხი გამოფხიზლდება და თავისი ხელით შეაჩერებს საკუთარ შლევ ბელადს. პუტინზე აკუნინს თავის ცხრატომეულში არაფერი უთქვამს – სხვა ეპოქებს განიხილავდა. მაგრამ როდესაც პუტინმა ომი გააჩაღა, აკუნინმა რომელიც 2014 წლიდან ლონდონში ცხოვრობს, მეგობრებთან ერთად დაარსა არაპოლიტიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია „Настоящая Россия“. ორგანიზაციის მიზანი უკრაინის და უკრაინელი ლტოლვილების, ასევე პუტინის რეჟიმს გამოქცეული რუსი ლტოლვილების დახმარებაა (გშიშობ, აკუნინი და მისი მეგობრები არ არიან ნამდვილი „ნამდვილი რუსეთი“, ეს უფრო აკუნინის ოცნებაა. ნამდვილი რუსეთი რუსეთშია, უყვარს პუტინი და სულაც არ ღელავს უკრაინელების და რუსი ლტოლვილების ბედზე). ორგანიზაცია აწყობს საქველმოქმედო შეხვედრებს, აგროვებს ფულს და ურიცხავს ისეთ ორგანიზაციებს, როგორც, მაგალითად Disasters Emergency Committee, რომელიც ამ დახმარების ბენეფიციარებამდე მიტანას უზრუნველყოფს. ამ ორგანიზაციაში პუტინის და ამ სასტიკი ომის მოწინააღმდეგე ემიგრანტი და არაემიგრანტი რუსები ერთიანდებიან, მასში გაწევრიანება ნებისმიერ

მსურველს შეუძლია (<https://truerussia.org/journal/>). გარდა ქველმოქმედებისა, ამ ორგანიზაციის წევრები (ნამდვილად ჰუმანისტი, მოაზროვნე, უბრალოდ – ნორმალური რუსები) მსჯელობენ, წერენ და აქვეყნებენ ძალიან მნიშვნელოვან მასალებს რუსეთის აწმყოსა და მომავალზე. ამ მასალების გაცნობა იგივე ელ. მისამართზე შეიძლება.

რა ხდება ამ დროს საქართველოში?

არაფერი განსაკუთრებული: გულში მჯილის ცემით მიგტირით ძველ დროს, ძველ დიდებას, ვიხსენებთ ძველ გმირებს, არასათანადოდ ვაფასებთ ახლებს, ნელ-ნელა ვივიწყებთ რუსეთ-საქართველოს ომების გმირებს, უკრაინაში დაღუპულ მებრძოლებს ძმათა სასაფლაოზე არ ვკარძალავთ – უკრაინა ჩვენი ომი არ არის, უკრაინაში დაღუპულები ხომ რუსეთის აგრესიის მსხვერპლნი არიან, მათ მიმართ ყურადღებამ და დაფასებამ შეიძლება რუსეთი გაანაწყენოს, გააბრაზოს, ჩვენ რა, ომი გვინდა? არა, ჩვენ ერთმორწმუნე, მოძმე რუსეთთან მშვიდობა გვინდა. ხელისუფლების და მთავრობის ამ, დელიკატურად რომ შევაფასოთ, ამორალური პოზიციის გამო ვკარგავთ ევროპულ პერსპექტივას, ვკარგავთ ძლიერი მეგობრების მხარდაჭერას, საკუთარი უმაქნისობით ვკარგავთ მომავალს, საკუთარი ფეხით მივდივართ რუსეთისკენ. ევროპა და ამერიკა ეხმარებიან უკრაინას, აცხადებენ, რომ უკრაინის განადგურებას არ დაუშვებენ, რომ ეს ცივილიზაციური ომია და რუსეთი უკვე დამარცხებულია, რომ გაიმარჯვებს უკრაინა და მთელი დემოკრატიული დასავლეთი. რუსეთი დამარცხდება უკრაინასთან ომში, უკრაინის და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ევროპა/ამერიკა დაეხმარებიან, ახალ, ძლიერ, ლამაზ უკრაინას ააშენებენ, ევროკავშირისა და ნატოში მიიღებენ. სად ვიქნებით ამ დროს ჩვენ?

დასასრულს, მაინც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან კითხვას მინდა დავუბრუნდე – როგორ ხდება, რომ ბევრნი საქართველოში, ვინც რუსეთის მიმართ სენტიმენტებს ინარჩუნებენ, ვერ ამჩნევენ პუტინის და მისი თანამოაზრეების ამორალობას, ბოროტებას და გინდაც – ფსიქიკურ არაადეკვატურობას? ვერ აცნობიერებენ, რომ პუტინმა თავისი ხელით მოსპო რუსეთის პერსპექტივა, თავისი იმპერიული ამბიციებით გაანადგურა, აუტანელი გახადა მსოფლიოსათვის რუსეთის არსებობა. ცივილიზებული სამყარო

სამუდამოდ მოიშორებს ამ, როგორც პრეზიდენტი რეიგანი ამბობდა, ბოროტების იმპერიას, საქართველო კი დამარცხებულ მონსტრს უფსკრულში გადასაჩენად მიჰყვება?!

მინდა, ბ. აკუნინის, alias, გრიგოლ ჩხარტიშვილის სიტყვებით დავასრულო:

„В непростые времена какие-то вещи становятся очень простыми, черными и белыми, — ты за войну или против войны, ты за диктатуру или против диктатуры. По этому поводу у меня, например, колебаний никаких нет, ответ ясен.“ (<https://truerussia.org/journal/>)

(„რთულ დროში ზოგი რამ ძალიან მარტივი, შავი და თეთრი ხდება — შენ ომის მხარეს ხარ ან ომის წინააღმდეგ, დიქტატურის მხარეს ხარ ან დიქტატურის წინააღმდეგ. ამის თაობაზე, მე, მაგალითად, არავითარი ეჭვი არ მეპარება, პასუხი ნათელია.“)



გრიგოლ შალვას-ძე ჩხარტიშვილი (ფოტოს ცენტრში) მშობლებთან და ძმასთან ერთად.

დედა, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ბერტა ისააკის ასული ბრაზინსკაია. მამა, ოფიცერი-არტილერიისტი შალვა ნოეს-ძე ჩხარტიშვილი, შუაში დგას – უფროსი ძმა. ფოტო გადაღებულია 1960-ანი წლების დასაწყისში.



დანართი აკუნინის პორტრეტისათვის –
მიხო მოსულიშვილის ესეები და ინტერვიუ

HONOR PRIMUM, ALIA DEINDE

(ინტერვიუ ბორის აკუნინთან,
ანუ გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილთან)

ინტერვიუერის წინასიტყვაობა, უფრო სწორად, წერილი

ბატონო აკუნინ!

თქვენსეტი წლის წინ ჟურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურის“ პროზის განყოფილების აფრიკა-აზიის ქვეყნების უფროსი რედაქტორი, გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილი გულისხმიერად გამოეხმაურა თავისი თბილისელი კოლეგის თხოვნას აკუტაგავას ქართულად თარგმნის თაობაზე.

თქვენგან გამოგზავნილმა ვლადიმერ სერგის ძე გრივინის წიგნმა „აკუტაგავა რიუნოსკე“ ფასდაუდებელი დახმარება გამიწია ამ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაცნობად.

ახლა თქვენ ბორის აკუნინი ხართ, ევროპული დიდებისა და კოლოსალური შემოქმედებითი ნაყოფიერების მწერალი.

ამჯერადაც თქვენი გულისხმიერების იმედით, უმორჩილესად გთხოვთ ნებართვას „აზაზელის“ სათარგმნელად. თქვენი თანხმობის შემთხვევაში ხსენებული რომანი ქართულ ჟურნალ „ცისკარში“, ადრინდელი „იუნოსტის“ მსგავს გამოცემაში დაიბეჭდება, რომლის კრიტიკის განყოფილების გამგე თქვენი მონა-მორჩილია.

აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენში ნათარგმნი ლიტერატურის არსებობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა – კადნიერება გახლავთ! დიახ, სწორედ კადნიერება და, იმედი მაქვს, არა უტიფრობა თუ მეკობრეული თარგმანით გამოწვეული აღმაშფოთებელი თავხედობა. ასე, მაგალითად, „ვარდის სახელის“ უფასო თარგმანის ნებართვისთვის ერთმა აქაურმა რომ მიმართა უმბერტო ეკოს, თანხმობა მიიღო და ახლა დამშვიდებული სინდისით თარგმნის, და არა – უტიფრად, გნებავთ, უნებართვოდ.

იმედი გვაქვს, რომ „აზაზელის“ შემთხვევაშიც შევძლებთ საკუთარი სახის შენარჩუნებას, რადგან, როცა ფული არა გვაქვს, მაშინ – Honor primum, alia deinde!

ხუმრობა იქით იყოს და, თქვენ რომ მთელი რუსეთის აკუნიზაცია მოახდინეთ, ევროპაშიც გადაინაცვლეთ და ახლა ინტერნეტშიც აპირებთ მუშაობას, საქართველოში ისეთ მდგომარეობაში ხართ, თუკი „ბრწყინვალე სტილისტის“ კარლ მარქსის (უმბერტო ეკოს აზრი გახლავთ!) ერთი წი-

ნადადების პერიფრაზს გამოვიყენებთ – „აჩრდილი დაძრწის საქართველოში, აჩრდილი აკუნინისა!“

და ჩვენ სულაც არ ვაპირებთ შევუირიგდეთ თქვენს ამგვარ, ერთობ არაკონკრეტულ არსებობას თქვენს ისტორიულ სამშობლოში! ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ითარგმნოთ ქართულად, რისთვისაც თქვენი მხარდაჭერა აუცილებელია.

ბოლომდე გულახდილი თუ ვიქნები, უნდა მოგახსენოთ, რომ გვინდა რომანის პუბლიკაციას წავუძღვაროთ ავტორთან ინტერვიუ, რომლის შეკითხვებზეც (რისკ-ფაქტორი და ჩემი კადნიერების ხარისხი ცოტა უფრო მატულობს!), ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ.

და კიდევ ერთი: მართო მადლობა რომ გითხრათ მთელი თქვენი შემოქმედებისთვის, თარგმანის ნებართვის მოცემისთვის თუ უარის თქმისთვის, ნაპასუხარ თუ უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვებზე – კაცურად ძალიან ცოტა და თან უნიათოც იქნებოდა – ეს არც ქართული წესია, არც გურული და არც მაინცადამაინც რუსული. ასე რომ, დიდი იმედი გვაქვს თბილისში თქვენთან შეხვედრისა...

გეპატიჟებით.

პატივისცემით,
მიხო მოსულიშვილი
10.03.2002

P.S. ყოვლად ახირებულ შეხედულებათა და სხვადასხვა მოარული ჭორების საპირისპიროდ, რომ, თითქოს ყველა კორესპონდენტს არ პასუხობს, გრიგოლ ჩხარტიშვილმა „აზაზელის“ თარგმანის ნებართვაც მოგვცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს შეკითხვებსაც უპასუხა.

მე კი ჩვენ ინტერვიუს სწორედ იმ სათაურით გთავაზობთ, ყველა ფანდორინის დევნილად რომ იქცა (რომანიდან „ალტინ-ტოლობასი“) – „ჯერ ღირსება, დანარჩენი კი მერე!“

18.09.2002

– „ღმერთო, დალოცე ქართველები თავიანთი ფეთქებადი ბუნებით!“ – გაიფიქრებს გადარჩენილი ნიკოლას ფანდორინი „ალტინ-ტოლობასში“... მეჩვენება, რომ ამ სიტყვებში მარტო ირონია არ არის. მართალი ვიქნები, თქვენს ქართულ სენტიმენტალობაზე რომ მივიტანო ექვი?

– მე არც ქართული ენა ვიცი, არც კულტურა და, რაღა თქმა უნდა, არავითარი ქართველი აღარ გახლავართ, მაგრამ არ შემიძლია ქართველების მიმართ მთლად ობიექტური ვიყო, ქართული ხასიათის სიმპათიური მხარეები მახარებს, არასიმპათიური კი მაბრაზებს. მით უმეტეს, რომ პირველიც და, სამწუხაროდ, მეორეც არცთუ იშვიათად აღმომიჩენია ჩემშიც, თუმცა უკვე ადაპტირებული სახით...

– რამდენიმე სიტყვა თქვენს ბავშვობაზე... რამდენი წელი იცხოვრეთ საქართველოში და როგორ გამოიყურებოდა მოსკოვი, იქ რომ გადახვედით?

– საქართველოში მხოლოდ ერთი თვე ვიცხოვრე, ისიც დაბადების შემდეგ და, საერთოდ, საქართველოშიც (ზესტაფონი) შემთხვევით გაეჩნდი. ჩვენი ოჯახი მოსკოვური იყო, მაგრამ მამა სამხედრო გახლდათ და აკადემიის დამთავრების შემდეგ კავკასიაში გაანაწილეს.

– სად სწავლობდით და როგორ გაიარა თქვენმა სტუდენტობის წლებმა?

– მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპეციალობით – იაპონიის ისტორია და ლიტერატურა. სტუდენტობის წლებმა მოწყენილობაში ჩაიარა. იმიტომ, რომ მაშინდელი, 70-იანი წლების რუსეთი სასიკვდილოდ მოსაწყენი ქვეყანა იყო. სასწავლო დროის მესამედი კომპარტიის ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის შესწავლაში და ლენინურ ჩათვლებში გავიდა. ამჟამად, სწავლა, ალბათ, უფრო სახალისო უნდა იყოს.

– ლიტერატურისკენ ვინ გიბიძგათ?

– იგივე მოწყენილობამ, ყოველგვარი შემოქმედების წყარომ. სკოლაშიც წიგნებს ვკითხულობდი, მოსაწყენ გაკვეთილებზე და ინსტიტუტის თავმომაბეზრებელ ლექციებზეც. ლიტერატურაში უფრო მეტი სიცოცხლე, ინტრიგები და თავგადასავლები იყო, ვიდრე გარემომცველ სინამდვილეში.

– ნიკოლას ფანდორინი სამშობლოში ბრუნდება! და ეს მაშინ, როცა მამისის ფრთხილი შეგონებები ინგლისში დარჩენის უმჯობესობის თაობაზე თანდათან მატულობს (გეძახის, ეშმაკმაც წაილოს და გიზიდავს უფსკრულის ფსკერი!) ხომ არ გეგმავთ თქვენი რომელიმე ნაწარმოების მოქმედების თბილისში გადმოტანას?

– არა მგონია, ჩემი რომელიმე მომავალი წიგნის მოქმედება საქართველოში გადმოვიტანო – ქართულ ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცი. უფრო ჩრდილოეთისკენ, კავკასიაში. გასაგები მიზეზების გამო, ძალიან მაინტერესებს კავკასიური ომების ისტორია.

– რამდენიმე სიტყვა თქვენს ოჯახზე. გეხმარებიან თუ არა შინაურები მუშაობაში, უფრო სწორად, ხელს ხომ არ გიშლიან?

– ჩემი ცოლი ერთი პატარა საწარმოს სამუშაოს ასრულებს: ჩემი ლიტერატურული აგენტიც არის, პრეს-მდივანიც, რედაქტორიც, რეცენზენტიც, საგადასახადო ექსპერტიც, ხანდახან – ინსცენირების ავტორიც. ეს ძალიან ძიმე სამუშაოა, რადგან საქმეები უნდა აწარმოო სამ რუსულ და ორ ათეულ უცხოურ გამომცემლობასთან, თეატრებთან, სუბაგენტებთან, უურნალისტებთან. თუმცა, ანაზღაურებაც მაღალი ნიხრით მიწევს – გამომუშავების ასი პროცენტით.

– მოხდება თუ არა მთელი მსოფლიოს აკუნთავცია?

– რას ბრძანებთ... თარგმნიან, კითხულობენ, რეცენზიებს წერენ – ამაზეც მაღლობელი ვარ. აი, ჰოლოვუდის ფილმი თუ გადაიღეს, შეიძლება უფრო ფართო რეზონანსი მოყვეს.

– ამ პოსტმოდერნმა, ცოტა არ იყოს, ხომ არ გადაგვალა? რა მიმართულებით განვითარდება მსოფლიო ლიტერატურა?

– გააჩნია, რას ვგულისხმობთ პოსტმოდერნიზმში. თუკი იმ ტექსტებზე საუბარი, რომლებიც სხვა ტექსტებიდან ამოიზრდებიან, მაშინ ეს ბუნებრივი მოვლენაა. სად გაექცევი დაგროვილი კულტურული ფენის ლიტერატურას? ანდა, რატომ უნდა გაექცე სადმე? ჩვენ ხომ ჩვენი ინფორმაციის ოთხმოცდაათ პროცენტს, ნებისმიერ შემთხვევაში, უშუალოდ ცხოვრები-

სეული გამოცდილებიდან კი არა, წიგნებიდან, ფილმებიდან და ტელევიზიიდან ვიღებთ.

რაც შეეხება ლიტერატურის მომავალს, მე მგონია, რომ ყოველმხეზგარეშე განიცდის კომპიუტერული ცნობიერების ძლიერ გავლენას, და ეს საინტერესო იქნება. ტექსტები უფრო მეტად ვარიანტული, გამოუცნობი და გამომგონებლური გახდება. თანდათან ქალაქიდან მონიტორზე გადინაცვლებს წიგნი და მაშინ გამოჩნდება ახალი შესაძლებლობები: ჰიპერტექსტუალური, მულტიმედიაური, ინტერაქტიური.

– თქვენი რომანები მხოლოდ გასართობია თუ იქ არსებობს სუბესტიური პლასტებიც და რა დოზით? თუ შეიძლება, გულახდილად, მოკრძალების გარეშე...

– იცით, ამაზე ხშირად მეკითხებიან, მაგრამ მართებული არა მგონია ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. დაწერილი ტექსტი – ეს დასრულებული ნაწარმოებია. და ისეთია, როგორც არის. ჩემი წიგნები ისეა შექმნილი, რომ მკითხველის პროვოცირება მოახდინოს, მისი გონებისა და გულის ასამუშავებლად. ჩემი რომანების გაგება და ახსნა სხვადასხვანაირად შეიძლება (ეს ასეც ხდება, თანაც ზოგჯერ ეს ახსნები დიამეტრალურად ურთიერთსაპირისპიროა). რასაკვირველია, თითოეულ წიგნში არის რაღაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი – იდეა, ხასიათი, შეკითხვა, სიტუაცია. მაგრამ მკითხველს ეს კი არა, უფრო სხვა, ჩემგან შექმნილი კონსტრუქციის ფაკულტატური ნაწილი დააბამს. და ასეც უნდა იყოს. ცხოვრება ხომ ერთსა და იმავე შეკითხვებს გვისვამს, ეს ჩვენ, ყველანი ჩვენებურად ვპასუხობთ.

– 1998 წლის შემდეგ იმდენი დაწერეთ, რომ აუცილებლად უნდა გკითხონ – თუკი ის, რასაც თქვენ ლიტერატურულ ხელობას უწოდებთ, მართლა ხელობაა, მაშინ თანამედროვე ლიტერატურული ხელოვნება რაღაა?

– მაღალი ხელოვნება არ იწარმოება კონვეიერზე და საგამომცემლო კონტრაქტის ვადებზე არ არის დამოკიდებული, ის ნელ-ნელა მწიფდება, წვეთ-წვეთობით. და ეჭვი მაქვს, რომ ამ პროცესში ინტელექტი მხოლოდ ის კი არა, რომ არ მონაწილეობს, არამედ დამხმარე ფუნქციას ასრულებს.

და კიდევ: მაღალი ხელოვნება თავისი გამოჩენის მომენტში შეიძლება გაგებული და შეფასებული იქნას არცთუ ისე ბევრის მიერ. მე მასობრივ ლიტერატურას ვაკეთებ, მაგრამ ეს სულაც არ მაკომპლექსებს. ეს წარმტაცი სამუშაოა, მაღალპროფესიონალური და, როგორც მეჩვენება, კიდევ უფრო საჭირო, ვიდრე ელიტარულ ხელოვნებაში საქმიანობა.

– სხვა ოსტატების მაგალითებზე თუ სწავლობდით ბელეტრისტიკის ხელოვნებას? რა წინააღმდეგობაშია აკუნინი ტრადიციულ რუსულ მწერლობასთან? რა ძირითადი თვისებები აქვს თანამედროვე რუსულ პროზას?

– დიახ, რა თქმა უნდა. მისაბაძად ბრწყინვალე ნიმუშები – რამდენიც გინდა, იმდენია. ბელეტრისტიკის შედეგები – ბულგაკოვია. „ოსტატი და მარგარიტა“ და „თეთრი გვარდია“. ამაზე უფრო მომხიბვლელი, ჩემი აზრით, რუსულად არაფერი დაწერილა. ლამაზად და მსუბუქად, ღრმად, და, ამასთან, ქვემოთ კი არ გიშვებს, მაღლა აშყავხარ. აი, ესეც ბელეტრისტიკის იდეალური ფორმულა: მსუბუქად, წარმტაცად და გამართულად მარადიულზე და მთავარზე. თანამედროვე რუსული ლიტერატურა საბირისპიროთი სცოდავს: მძიმეა, წარმტაცი არ არის და მეტისმეტად დალაგებულად გვაბეზრებს თავს თავისი უმნიშვნელობით.

– არის თუ არა თანამედროვე, ანდა ისტორიული მოსკოვი თქვენი შთაგონების წყარო?

– დიახ, მე მიყვარს დღევანდელი მოსკოვი. ჩემი აზრით, დღეს ეს ყველაზე საინტერესო ადგილია დედამიწაზე კულტურის მხრივ. ამას პატრიოტული პათოსის გარეშე ვამბობ, ვინაიდან კარგად მახსოვს ის ხანაც, როცა მოსკოვი ერთი მიყრუებული და კულტურულად მივარდნილი ადგილი იყო. დღეს ეს ცოცხალი და ხორკლიანი, სასტიკი და მშვენიერი ქალაქია, სადაც ძალიან ცუდი, თუ მოხუცი ხარ და პირიქით, ჩინებულია აქ ახალგაზრდა იყო. ეს ვამბობია, ნიჭიერ სისხლს ყველა კაპილარიდან რომ სწოვს უშველებელ, სწრაფად ცვალებად ქვეყანას. ეს კი მთელი რუსეთისთვის, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ მოსკოვისთვის – შესანიშნავი.

– როგორ გგონიათ, შემთხვევითია თუ არა სოციალური და ეკონომიური არეულობა მართლმადიდებლურ ქვეყნებში?

– რატომ მართო მართლმადიდებლურებში? განა მუსლიმურ ან კათო-
ლიკურ ქვეყანათა უმეტესობაში საქმეები უკეთესადაა? დღეს ყველაზე
კარგად ის ქვეყნები არიან, სადაც ადრევე განმტკიცდა შრომისმოყვარეო-
ბის, პირადი მორალის და მოთმინების პროტესტანტული ეთიკა. რუსეთში
და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოშიც ეს თვისებები ჰერ
კიდევ საკმაოდ ეგზოტიკურია.

– „...გასული ასწლეულის რუსეთი, განსაკუთრებით მეორე ნახევარში
ერთობ რიგიანად გამოიყურებოდა...“ – ეთანხმება თუ არა ავტორი შვი-
ლიშვილი-ფანდორინის ამ აზრს?

– თქვენ წარმოიდგინეთ, ეთანხმება. ველურობა, რასაკვირველია, ცოტა
არ იყო, მაგრამ იმაზე მეტი არა, ვიდრე რომელიმე ესპანეთში. ალექსანდრე
მესამე რომ ცოტა უფრო გონიერი ყოფილიყო და კონსტანტინე პეტრეს ძე
ბობელონოსცევისთვის კი არა, უფრო შორსმჭვრეტელი მრჩეველებისთვის
ესმინა, მაშინ რევოლუციის გარეშეც კი გადავრჩებოდით.

– „პატრიოტიზმი“, „ოქროს ტაძარი“, „ჩემი მეგობარი ჰიტლერი“ – თქვენი
საჩუქარია მთელ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე. მე, როგორც სცენარის თა-
ნაავტორი, ვმუშაობდი სატელევიზიო დადგმაზე, რომელის საქართველოს
ტელევიზიის პირველ არხზე განხორციელდა 1999 წელს (რეჟისორი ანდრო
ენუქიძე, როლებში – ზურაბ ყიფშიძე და მიხეილ გომიაშვილი). როგორი
მისიმა უფრო მოგწონთ: დასავლელი თუ იაპონელი ტრადიციონალისტი?

– მისიმა მაინტერესებდა არა როგორც იდეოლოგი ანდა ამა თუ იმ ფა-
სეულობის მატარებელი, არამედ, როგორც უნათლესი მაგალითი უსაზღ-
ვრო ნიჭისა, რომელიც, ღმერთმა იცის, ვის დაატყდება თავზე. სიტყვის,
მეტაფორის, ფსიქოლოგიის ვირტუოზული ფლობა – აი, რას ვცემ მისიმაში
პატივს და რითი ვარ აღფრთოვანებული. თვითონ მისიმა კი მეტრალემა:
ძალიან მძიმე ტვირთი აღმოჩნდა ამ კაცისთვის ნიჭი და გასრისა კიდევც.

– როგორია კრიტიკის დამოკიდებულება თქვენთან? პირიქით?

– თავიდან კრიტიკა თავზე ხელს მისვამდა, წიგნები კი ცუდად იყიდე-
ბოდა. მერე წიგნები კარგად იყიდებოდა, კრიტიკოსები კი ილანძღებოდ-
ნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩემთვის ცოდვა იქნება, კრიტიკაზე დავიწყო

ჩივილი: პროექტის პირველ ეტაპზე მისი კეთილგანწყობა რომ არა, მაშინ, ალბათ, არც წარმატება იქნებოდა.

– როგორ შეიტყო ჰოლივუდის რეჟისორმა პოლ ვერხოვენმა „აზაზელის“ შესახებ და მერე რა მოხდა?

– ფრანგულად წაიკითხა „აზაზელი“, თავის აგენტებს დაავალა ჩემი ელექტრონული მისამართის პოვნა და წერილი გამომიგზავნა. თავიდან გადავწყვიტე, რომ ეს ვილაცის სულელური ხუმრობაა, მაგრამ მერე ამერიკული სააგენტოდანაც მოვიდა წერილი. ახლა უკვე კონტრაქტი ხელმოწერილია, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ფილმს გადაიღებენ. მე უკვე მოვასწარი ჰოლივუდის სტატისტიკის ექსპერტად გახდომა და ვიცი, რომ ყოველი ხუთი ხელმოწერილი კონტრაქტიდან მხოლოდ ერთი გადაიქცევა გადაღებულ ფილმად.

– როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ – „ფიოდორ მიხეილის ძე დოსტოევსკის სახეს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის წვერს აწებებთ...“ ეთანხმებით?

– მე კიდევ ბევრ სხვა რამესაც ვაწებებ: ლერმოტოვის ულვაშებს, დიუმა-მამის გრუზა და ხშირ თმას; ზემოდან ვახურავ აგათა კრისტის შლაპას, ცხვირზე კი უმბერტო ეკოს სათვალეს ვარგებ... ეშმაკმა უწყის, რა გამოდის.

(ინტერვიუს დასასრული).

მოკლე შენიშვნა ცნობისმოყვარე მკითხველისთვის:

გრიგოლ ჩხარტიშვილი თბილისში ჩამოსვლას ჯერ არ აპირებს. როცა დააპირებს, ალბათ, მეც გამაგებინებს. მე კი, არ დაგზარდებით და თქვენც გაგანდობთ ამ ახალ ამბავს.

მანამდე კი შეგიძლიათ ამ ჩინებული ბელეტრისტის შესანიშნავი რომანები იკითხოთ და თანაც, გაითვალისწინოთ, რომ ჩხარტიშვილთა გვარის ეტიმოლოგიას გურიაში მივყავართ და ერთ პატარა, ველურ ჩიტს მოგვაძებნინებს, რომელსაც გურულ დიალექტზე „ჩხარტი“ ჰქვია, საერ-

თოქართულზე „ჩხართვად“ მოიხსენიებენ, ლათინურად კი ასე – Turdus Viscivorus Viscivorus.

ჩხართვი შაშვისებრთა ოჯახის წარმომადგენელია: საერთოდ შავია, მაგრამ მკერდი ჭრელი აქვს და თავისებურად, თავის ნებაზე გალობს.

2002

ნაჩქარევი უსკიზი

(ბორის აკუნინის, ანუ
გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილის პორტრეტისთვის)

ნაჩქარევი იმიტომ, რომ ჩვენი „სპანიელის“ ჯიშის ძალღზე მოზრდილი, თეთრი, სპარსული კატა, სახელად „რიჩარდი“, ისეთი გენეალოგიური წარმომავლობით, ბევრი ადამიანი რომ ვერ დაიტრაბახებს (როგორც მსოფლიოს კატების ფედერაციის თბილისის ცენტრ „ალისას“ გაცემული და სათანადო ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტიდან ვარკვევ: მამა – უინძორის პრინცი ანტუანი; პაპა – ჩარლზ ეგერ-კსილაგა ბახუსი; ბებია – ეველინა გრანდი და ასე შემდეგ, პაპის პაპამდე. დედა – პეპა ხურიკანი; პაპა (დედის ხაზით) – ჩემპიონი ალექს ვიტე; ბებია – არიანდა და ასე შემდეგ, პაპის პაპამდე), საწერ მაგიდაზე მიზის, ჭაბუა ამირეჯიბის შვიდტომეულის ყუთზე და, როგორც კი წერას დავიწყებ, პირდაპირ საწერ ფურცლებზე ინაცვლებს. სამეფო ჯიშისა და ოჯახის თავის ნებაზე მოსიარულე წევრის სტატუსი მოყვანისთანავე მივანიჭეთ. ხოლო, როცა გვერდით მივაჩოჩებ, ახლა კალმის წართმევას მიპირებს ღონიერი თათებით. რასაკვირველია, არ ვანებებ და ისიც ბრჭყალებით მიკაწრავს სიტყვებს. ალბათ, ისიც აღარ გამაკვირვებს, რომ ჰოფმანის კატა მურივით რომანების წერაც დაიწყო. ჰოდა, სიგარეტის კოლოფს გარდერობის თავზე ვუგდებ და, სანამ იქ ახტება – სკამის, მაგიდის და წიგნების კარადის გამოყენებით, იმ კოლოფით გაერთობა – გადაადგებს, დაიჭერს, გადმოადგებს, ჩამოუვარდება, ჩამოყვება, წაიღებს, წამოიღებს, მოწყინდება და ისევ საწერ მაგიდას მოაკითხავს, მანამდე უნდა მოვასწრო დაწერა.

მაგიდაზე მოსკოვის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 1980 წელს დასტამბული ვლადიმერ სერგის ძე გრივინინის წიგნი – „აკუტაგავა რიუნოსკე (ცხოვრება, შემოქმედება, იდეები)“ მიდევს. ეს მონოგრაფია ამ თოთხმეტოდე წლის წინ, ჩემი თხოვნის პასუხად – აკუტაგავას ნოველების თარგმნას ვაპირებ და დამეხმარეთ მეთქი, – 1986 წლის 17 ოქტომბერს (იმ წერილს დღესაც ვინახავ) გამომიგზავნა ჟურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურას“ აფრო-აზიის განყოფილების გამგემ, გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილმა. მაშინ მას იცნობდნენ, როგორც იაპონისტს, ასევე ინგლისურიდან მთარგმნელს...

მერე საბჭოთა კავშირი დაიშალა და ჩვენი არეული ცხოვრების გადამკიდემ გრიგოლ ჩხარტიშვილთან მიმოწერის გაგრძელება ველარ შევძელი – ვილას ჰქონდა წერილების გული...

კიდევ გაიარა დრომ და, თბილისის ცენტრალური პროსპექტის თავში და ბოლოში, სადაც მოსკოვიდან ჩამოტანილი წიგნებით ვაჭრობენ, გამოჩნდა ვინმე ბორის აკუნინის დეტექტივები სერიიდან: „ერასტ ფანდორინის თავგადასავლები“. მთლად დეტექტივებსაც ვერ უწოდებდი, პოსტმოდერნული თვალთახედვით წერდა, არარუსული სისხარტით და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთს, იმდროინდელი სახელგანთქმული მწერლების ენასა და სტილს ნოსტალგიურად, დიდი მონატრებით „იხსენებდა“.

თავდაპირველად ამ სერიის ბოლო რომანი „სიკვდილის საყვარელი კაცი“ წავიკითხე და ბევრიც აღარ დამიხანებია, ელზა მეტრეველს მივუბრენინე სათარგმნელად, რადგან მანამდე შესანიშნავად თარგმნა მილორად ბავიჩის „საწერი მოწყობილობების ზანდუკი“. ვურჩიე, რომ მოსკოვური უბნების ჟარგონი, რომელსაც ამ რომანში იყენებს ბორის აკუნინი, თბილისური უბნების ჟარგონად გადმოგველო. ამასობაში „ჩვენ მწერლობაში“ დაიბეჭდა ნაწყვეტი ბორის აკუნინის რომანიდან „ბელაგეა და თეთრი ბულდოგი“ (მთარგმნელი თინა აგლაძე). ეს იყო ბორის აკუნინის პირველი პუბლიკაცია საქართველოში. ამავე გაზეთმა გამოაცხადა, რომ ბორის აკუნინი იგივე გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილია. აქედან დაიწყო ბორის აკუნინის თბილისური დიდება და ზოგიერთებმა ისიც კი გაიხსენეს, რომ 1999 წელს თბილისელ წიგნით მოვაჭრეებში შეიძლებოდა ოცდახუთ-

ოცდაათ ლარად გეყიდა გრიგოლ ჩხარტიშვილის მონოგრაფია „მწერალი და თვითმკვლევლობა“.

„ცისკარში“ კი გადაწყდა, რომ „სიკვდილის საყვარლის“ ელზა მეტრეველისეული თარგმანისთვის ბორის აკუნინთან ინტერვიუ წაგვეძღვარებინა, რომლის შეკითხვებს მე მოვიფიქრებდი.

რამდენიმე დღეში აკუნინთან გასაგზავნი წერილი, თავისი ოცდაერთი შეკითხვით და აკუტაგავაზე გრიგინის წიგნის გამოგზავნის შეხსენებითურთ უკვე მზად მქონდა. „ინასტრანკაში“ დავრეკე. მითხრეს, გრიგორი შალვოვიჩი, უკვე ერთი წელია, აქ აღარ მუშაობსო.

ცოტა ვიწვალე თუ ბევრი, ბოლოს მაინც გავიგე ტელეფონის ნომერი. პირველად რომ დავრეკე, შინ არ დამიხვდა. ყურმილი მისმა მეუღლემ, ერიკა ერნესტოვანა ვორონინამ აიღო და რომ გაიგო, თბილისური ყურნალის კრიტიკის განყოფილების გამგე ურეკავდა, ძალიან გულისხმიერად მელაპარაკა. ჩვენი განზრახვა გავაცანი, არც ის დამიმალავს, რომ თარგმანისთვის საავტორო ჰონორარის გადახდას ვერ შევძლებდით. თვითონ მას დაუკავშირდითო და იმეილი მიკარნახა ასო-ასო. ჩავიწერე, თან ბინის მისამართიც ვკითხე, წერილს გაახლებთ მეთქი. ჩამაწერინა. საქართველოში ხომ არ ჩამობრძანდებით მეთქი, დავინტერესდი ბოლოს. რამდენიმე წლის წინათ, ერთხელ იყო ჩამოსული და, ეგ იყო და ეგო.

გამოხდა ხანი და როცა ვივარაუდე, რომ ჩემი წერილი მიუვიდოდა, ჩხარტიშვილებთან დავრეკე. მაშინ „ო-ერ-ტე“-ზე უკვე ნანახი მქონდა ბორის აკუნინის სცენარით გადაღებული ალექსანდრე ადაბაშიანის ოთხსერიიანი სატელევიზიო ფილმი „აზაზელი“, თუმცა მანამდე იყო გაჭიანურებული დავა „ო-ერ-ტე“-სთან, რადგან ფილმისთვის, დიდი ჰონორარის გარდა, რეჟისორისა და მსახიბების შერჩევას თავად მწერალი მოითხოვდა. ამბობდნენ, ორი სასამართლო პროცესი მოუგო ამ ტელეკომპანიასო.

დავრეკე და, მამაკაცის ხმამ მითხრა, რომ თხუთმეტი წუთის მერე დამიკავშირდით, ახლა დაკავებული ვარო.

ვიფიქრე, ცუდად არის ჩემი საქმე მეთქი. აკი აკუნინი ყველას არ თანხმდება ინტერვიუზე და მე რამდენ რამეს ვთხოვ – უჰონორაროდ თარგმნა, ზედაც ინტერვიუ. აქცენტზე მიხვდა, თბილისიდან რომ ვარ და, ალბათ, დამემალა მეთქი.

აი, ასე აფორიაქებულმა დაფურეკე თხუთმეტი წუთის შემდეგ.
რა დამალვა, რის დამალვა – გულითადი და, ასე განსაჯეთ, მეგობრული
საუბარი გამოგვივიდა.

თქვენი წერილი მივიღეო და, როგორ გეკადრებათ, წიგნის უჭონორა-
როდ თარგმნის ნებას გაძლევთო. ოღონდ „სიკვდილის საყვარელი კაცი“
გინდათ თარგმნოთ თუ „სიკვდილის საყვარელი ქალი“-ო.

„სიკვდილის საყვარელი კაცი“ მეთქი.

მაშინ გაგიჭირდებათ მაგისი თარგმნაო.

ჰო, მთარგმნელის მაგას ჩიოდა, მაგრამ ვიფიქრეთ, თბილისური ჟარ-
გონი ხომ არ მიგუსადაგოთ მოსკოვურს მეთქი.

არა, ეგ ჟარგონი არ არის. მაგ წიგნში ჩემი მოგონი სიტყვებიაო; ან
იმეილით შემეხმინანოს მთარგმნელი, ავეუხსნი მაგ სიტყვებს; თუ არადა, მა-
გას „აზაზელის“ თარგმნა სჯობია, ის არ გაუჭირდებაო.

უკვე ვნახე „ო-ერ-ტე“-ზე თქვენი ფილმი და გილოცავთ მეთქი.

გმადლობო. „ო-ერ-ტე“ შემოდგომაზე გაიმეორებს და თქვენი ჟურნა-
ლისთვისაც კარგი იქნებოდა, ტირაჟს მოუმატებდითო. აგერ, ლატვიელებმა
თარგმნეს „აზაზელი“ და იქ პირველ ადგილზეა ბესტსელერების სიაშიო.

კი, ბატონო, „აზაზელი“ იყოს მეთქი.

ხოლო, რაც შეეხება თქვენ ოცდაერთ შეკითხვას, რომელიც რომანს
უნდა წაუმიძღვაროთ, ეს სამი თვე ძალიან დაკავებული ვარ, ამასობაში
მთარგმნელმა მუშაობა დაიწყო, თქვენც ცოტა სხვანაირი შეკითხვები გა-
გიჩნდებათ „აზაზელთან“ დაკავშირებით, გამომიგზავნეთ და მერე გიპასუ-
ხებთო.

ჰო, მთარგმნელი დაიწყებს და ინტერვიუც წამოეწევა მეთქი.

ასე აჯობებსო.

შემოდგომაზე მთარგმნელების სიმბოზიუმს ვაპირებთ, ხომ არ ჩამობ-
რძანდებით მეთქი?

გერაო, მთელი წლის გეგმა შედგენილი მაქვს და ველარ მოვახერხებ.
ისე, არც ქართული ვიცი, რომ გავჩნდი, ერთი თვის მერე მოსკოვში გად-
მოვსახლდით. ასე რომ, ჩვეულებრივი მოსკოვური ოჯახიდან ვარო.

რალა დამრჩენოდა, გამოვემშვიდობე.

ახლა მახსენდება, რომ ერთ-ერთი სატელევიზიო თამაშისას „აზაზელის“ მსახიობებმა აკუნინს დაუბრუნეს და დასმულ შეკითხვაზე მისგან მიიღეს დახმარება. მაშინ გაირკვა, რომ „აკუნ“ იეროგლიფი იაპონურად „ბოროტ-მოქმედს“ ნიშნავს; თუმცა გრიგოლ შალვას ძე ჩხარტიშვილს, თუკი კრიმინალურ რომანებს გამოვრცხავთ, მე ვერაფერი შევატყვე დამნაშავესა.

ერთი ეგ არის, რომ ჩემი „რიჩარდით“ მოქნილი და სხარტი სტილის მწერალია ბორის აკუნინი.

მინაწერი:

ელზა მეტრეველმა უარი თქვა, მილორად პავიჩის „უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში“ დავიწყეო, და ისევ მე მომიწია „აზაზელის“ თარგმნა. 2003 წლის „ცისკრის“ ნომრებში დაიბეჭდა აკუნინთან ინტერვიუს თანხლებით.

დაინტერესებული პირების საყურადღებოდ კი ვიტყვი, რომ ფურცელი გრიგორი ჩხარტიშვილის ტელეფონის ნომრითა და მისამართით „რიჩარდმა“ ისეთ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო, რომ აღარაფრის გარჩევა აღარ შეიძლებოდა და გადავაგდე.

წიგნიდან: მიხო მოსულიშვილი, „გედები თოვლქვეშ“, თბ., გამომცემლობა „საარი“, 2004 წელი.



აკუნინი პიესას წერს,
რომლის მოქმედება საქართველოში ხდება...
(თბილისში რომ ჩამოვიდა)

ილიაუნის უნივერსიტეტში შეხვედრისას, მეც რომ მომცეს მიკროფონიდან აკუნინთან დალაპარაკების უფლება, თავიდან მაძლობა გადავუხადე თანამშრომლობისთვის, რამაც საშუალება მომცა მისი სამი რომანი („აზაზელი“ (კონსპიროლოგიური დეტექტივი), არეტე, 2004; „თურქული გამბიტი“ (ჯაშუშური დეტექტივი), პალიტრა L, 2006; „ლევიათანი“ (ჭერმეტული დეტექტივი), პალიტრა L, 2006) და მეოთხეც, ჯერ გამოუქვეყნებელი („საგანგებო დავალებები“, რომელშიც შედის ორი ამბავი ერასტ ფანდორინის თვგადასავლებიდან: „პიკის ვალეტი“ (ამბავი თაღლითებზე) და „დეკორატორი“ (ამბავი მანიაკზე)) მეთარგმნა და ვაჩუქე თუშური ქუდი,

თეთრი ფერისა, – ეკუთვნოდა ნამდვილად, თან ქართველობიდან სულ პირველს მე მომცა ინტერვიუ...

მერე ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გადაგვიღო კიდეც სურათი – მე შავი თუშური ქუდით და გრიგორი შალვოვიჩი თეთრი ქუდით.

მერე სახელდახელოდ, ავტოგრაფებზე და ფოტოებზე მონადირე მკითხველის შემოსევის უმძიმეს პირობებში, ვილაპარაკეთ კიდეც მე და გრიგორი შალვოვიჩმა და, როგორც გაირკვა, მართო მკითხველთან შეხვედრა კი არ გამართა, არამედ პიესას წერს, რომლიც მოქმედება საქართველოში ხდება...

მასალის შესაგროვებლად ვიყავი ლიტერატურის მუზეუმშიო და კარგად დამემარნენ იქაურებიო, – მაღლიერება გამოხატა...

2002 წლის ინტერვიუში კი ასე მიბასუხა:

„ – ...ხომ არ გეგმავთ თქვენი რომელიმე ნაწარმოების მოქმედების თბილისში გადმოტანას?

– არა მგონია, ჩემი რომელიმე მომავალი წიგნის მოქმედება საქართველოში გადმოვიტანო – ქართულ ცხოვრებაზე ძალიან ცოტა რამ ვიცი... “.

ჰოდა, ახლა საქართველოზე რომ დაწერს, ეს ძალიან მაგარი ამბავია!

მე რით დაგეხმაროთ მეთქი, შალვოვიჩ?

შენი მეილი მაქვს, ფესიბუკზეც ვართ და მოგწერ, თუ დამჭირდებაო...

მე აქ რეჟისორებს ვიცნობ, ვთარგმნი მეთქი და მერე დავდგათ აქ.

კი, მაგრამ მოდი, ჯერ დავწერო...

კი, ბატონო მეთქი...

ჯერ დაწეროს, აბა რა!

2016 წლის 18 ოქტომბერი




45°

CARTE DE LA GÉORGIE

ÉCHELLE

$\frac{1}{3.000.000}$



45°

Carte fol

მეორე დანართი: „რუსეთიდან და ბელარუსიდან ჩამოსულ მოქალაქეთა საყურადღებოდ“

(ლიფლეტის ტექსტი. მარინა ლომოური)

გთავაზობთ ტექსტს, რომელიც 2022 წლის შემოდგომაზე ინტერნეტში გავავრცელეთ „დარიო რადიოს“ ვებსაიტის მეშვეობით. იდეაში, ეს ტექსტი რუსულ ენაზე დაბეჭდილი ლიფლეტების სახით გვინდოდა მიგვეწოდებინა საქართველოში შემოსული მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებისთვის (რუსულად თარგმნილ ტექსტს კრებულის ბოლოს იხილავთ).

ტექსტის ავტორია მარინა ლომოური.

ძვირფასო მეგობრებო,

წლებანდელმა წელმა ბევრი სერიოზული პრობლემა მოგვითანა, მაგრამ რუსეთის მიერ წამოწყებული ომი სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ, ცხადია, ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა. ამ ომმა კიდევ ერთხელ გამოავლინა რუსეთის სახელმწიფოს ჩვენთვის კარგად ნაცნობი ექსპანსიონისტური, აგრესიული, ტერორისტული ბუნება. ჩვენთან შეაფარეს თავი უკრაინიდან ლტოლვილებმა და ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხი გულწრფელი თანაგრძნობით ცდილობს შეუმსუბუქოს მათ ლტოლვილობის მწარე დღეები. მაგრამ პარალელურად სხვა მოვლენის მომსწრეებიც ვართ: უფრო მეტი, ვიდრე უკრაინელი ლტოლვილი, საქართველოს რუსი მოქალაქე მოაწყდა – ისინი რუსეთში ცხოვრების დისკომფორტს და ავტორიტარიზმს გამოექცნენ – ასე ამბობენ და, სავარაუდოდ, ერთი ნაწილი რუსეთის მოქალაქეებისა, მართლაც პუტინის რეჟიმს გამოექცა, თუმცა საქართველოში ჩამოსვლის სხვა მოტივებსაც (მათ შორის – დივერსიას, პოლიტიკურ ზემოქმედებას) ვერ გამოვრიცხავთ, რადგან ზოგი სტუმარი არც კი მალავს, რომ მხარს უჭერს რუსეთის ომს უკრაინაში და პუტინის იდეებს სავსებით იზიარებს.

ჩვენ კი დიღემის წინაშე აღმოვჩნდით – ერთის მხრივ, გაჭირვებული ადამიანის მიმართ თანაგრძნობა, დახმარების მზაობა და სტუმართმასპინ-

ძლობის ძველთაძველი ტრადიცია, მეორეს მხრივ – რუსეთის მოქალაქეების შემოდინებით გაჩენილი საფრთხე – ბუტინის დოქტრინა ხომ ნებისმიერ ქვეყანაში მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვით ამართლებს ხოლმე ამ ქვეყანაში შეჭრას. ამ სიტუაციაში საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი ჩანს საქართველოს ყოველი მოქალაქის წინაშე გაჩენილი გამოწვევა – ჩამოსული რუსების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება შეინარჩუნოს და ამავე დროს საკუთარი ქვეყნის ღირსება და უსაფრთხოება დაიცვას.

როგორ უნდა ვიქცეოდეთ ჩვენ, მოქალაქეები, როდესაც ყოველდღე ვხვდებით ჩამოსულ ადამიანებს და, ცხადია, ერთი შეხედვით ვერ ვარჩევთ, რა პოზიციას იზიარებენ ისინი?

თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ აქ ჩამოსულების უდიდესმა უმრავლესობამ ან სულ არაფერი, ან ძალიან ცოტა რამ იცის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიასა და დღევანდელ მდგომარეობაზე. ამიტომ, ვფიქრობ, მასპინძლისთვისაც და სტუმრისთვისაც სასარგებლო იქნება, თუ ჩამოსული გაერკვევა, სად ჩამოვიდა, რა აკავშირებს ან აშორებს ამ ორ ქვეყანას, რა განცდებს ბადებს ჩვენში რუსეთთან ურთიერთობის სხვადასხვა ფაქტის გახსენება და ა.შ. ამიტომ, მინდა შემოგთავაზოთ ქართულ-რუსული ურთიერთობების კრიტიკული მომენტების შესახებ მოკლე ცნობარი, რომელიც შეგვიძლია გავამრავლოთ და დავუთრიგოთ ხოლმე რუსულენოვან სტუმრებს, რათა მათ ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიის და გამოცდილების შესახებ ობიექტური წარმოდგენა შეექმნათ.

რუსეთიდან და გელარუსიდან ჩამოსულ მოქალაქეთა საყურადღებოდ

საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიალისტურ-დამპყრობლურ პოლიტიკას დიდხინანი ისტორია აქვს. ის დღესაც განსაკუთრებული აგრესიით გრძელდება. გთავაზობთ ამ ურთიერთობების განმსაზღვრელი მომენტების მოკლე განმარტებას. ინფორმაცია აღებულია ინტერნეტის ღია წყაროებიდან. სურვილის შემთხვევაში, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება იოლად შეიძლება.

საქართველოში ჩამომსვლელმა უნდა იცოდეს:

1. გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები

1783 წ. რუსეთში, გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაფორმდა ტრაქტატი რუსეთის იმპერიას და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის პროტექტორატში აყვანის შესახებ. ქართლ-კახეთი მხოლოდ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებას თმობდა. რუსეთი აღიარებდა ერეკლე II-ის და მის შთამომავლების უფლებებს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე, შიდა საქმეებში სამეფო სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. რუსეთი ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო სამეფოს მართვაში: გადასახადების აკრეფა, სამართალწარმოება, ეკლესიის ავტოკეფალია და ა.შ. უცვლელად უნდა დარჩენილიყო. რუსეთის მხრიდან ყველა ეს პირობა დარღვეულ იქნა. რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, დაიპყრო იმერეთის სამეფო, სისხლში ჩაახშო მრავალი აჯანყება, თანდათანობით დაიპყრო საქართველოს ყველა რეგიონი. 1811-1814 წლებში გააუქმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, დაუქვემდებარა რუსეთის ეკლესიას. სახელმწიფო ენა გახდა რუსული: ღვთისმსახურება, ნებისმიერი სასწავლებელი, სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის სასამართლო, წარმოებდა რუსულად. ამრიგად, 1841 წელს საქართველო, თავის ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზღვრებში, თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სახით, სრულად ანექსირებული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის მიერ.

2. საქართველოს რესპუბლიკის ანექსია 1921 წელს

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით რუსეთის მონარქიის დამხობის და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მოიცავდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების, აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს, ლორეს და ზაქათალის ოლქს (აქვე განვმარტავთ, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ისტორიულად არ არსებობს, ამიტომ აქ ნახსენები არაა, ის შიდა ქართლის ნაწილია – სამაჩაბლო). საქართველოს რესპუბლიკა დაადგა კონსტიტუციური, საპარლამენტო განვითარების გზას, დემოკრატიული თავისუფლებების, ეთნიკური მრავალფეროვნების, ქალთა უფლებების და ა.შ. დაცვით. სახელმწიფო ენა იყო ქართული. საქართველოს რესპუბლიკა აღიარებული იყო ევროპის სახელმწიფოების მიერ. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ოსფრ-მ დადეს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც რუსეთმა ურცხვად დაარღია. 1921 წლის 15 თებერვალს რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მიუხედავად თავდადებული წინააღმდეგობისა, საქართველოს რესპუბლიკის არმიამ ვერ მოახერხა მტრის უკუგდება და 17 მარტს სამხედრო კამპანია დასრულდა, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა ისე, რომ კაპიტულაციის აქტი ხელმოწერილი არ ყოფილა, ამრიგად, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველო დარჩა ომის მდგომარეობაში და გახდა რუსეთის ინტერვენციის მსხვერპლი. მოხდა ქვეყნის სამხედრო ძალისმიერი ოკუპაცია და დამყარდა რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი, რასაც მასობრივი გამოსვლების და აჯანყებების სისხლში ჩახშობა, თავად-აზნაურობის მასობრივი დახვრეტა და მოსახლეობის მრავალჯერადი რეპრესიები მოჰყვა.

3. 9 აპრილი

1986-1988 წლებში სსრკ-ს პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის რეფორმებმა კომუნისტური პარტიის კონტროლი და წნეხი სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებზე შეამსუბუქა. დაიწყო რესპუბლიკების თვითგამორკვევის პროცესები და გაჩნდა სსრკ-ს დაშლის მოთხოვნა. 1989 წლის აპრილში საქართველოს

მასშტაბით იმართებოდა ანტისაბჭოთა დემონსტრაციები. 9 აპრილს, თბილისში გამართული მშვიდობიანი აქცია საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა დაარბიეს – მოქალაქეებს საბჭოთა არმიის მძიმე ტექნიკა, შემდეგ კი შინაგანი ჯარის სპეცრაზმელები დაესხნენ თავს. დემონსტრანტები სასანგრე ნიჩბებით აჩეხეს, მხუთავი აირით გაგუდეს. 21 ადამიანი დაიღუპა. აქედან 17 ქალი, 2 არასრულწლოვანი, 4 მამაკაცი, 4 ათასზე მეტი დემონსტრანტი სხვადასხვა სახის ტრავმით საავადმყოფოში მოათავსეს. დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა 2000-მდე მოქალაქე. სადამსჯელო აქციას ხელმძღვანელობდნენ გენერლები კონსტანტინე კოჩეტოვი და იგორ როდიონოვი. ეს ვანდალური სისხლისღვრა საბჭოთა ხელისუფლებამ გამართლებულად და სამართლიანად აღიარა. დამნაშავეები არ დასჯილან. ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა.

4. შეიარაღებული კონფლიქტები და აფხაზეთის ომი

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გამოვლინდა რუსეთის სპეცსამსახურების ჩარევის ფაქტები საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკების შიდა საქმეებში. შიდა ქართლში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობების ხელშეწყობა. პროვოცირებულ იქნა შეიარაღებული შეტაკებები სეპარატისტულად განწყობილ ოსურ ჯგუფებთან ცხინვალის რაიონში, იყო მსხვერპლიც. შემდეგი იყო აფხაზეთის ომი — 1992-1993 წლების ომი საქართველოს სამთავრობო ჯარებს, რუსულ სამხედრო შენაერთებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა. მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაქირავებული მებრძოლები, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მემორები, გუდაუთას რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა, დაიჭრა და დასახინჩრდა 10 ათასზე მეტი მშვიდობიანი ქართველი, თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან გაძევებულ იქნა 300 ათასზე მეტი ადამიანი. ადგილი ჰქონდა ქართველების მიმართ წარმოუდგენელი სისასტიკის, არაადამიანური მოპყრობის, დამცირების, წამების და ა.შ. ფაქტებს, რაც დოკუმენტურად დასტურდება (ანალოგიურად იმისა, რაც ბუჩასა და იზიუმში მოხდა). ქართველების ეთნიკური ნიშნით დევნა და შევიწროება დღესაც გრძელდება. რუსეთის დესტრუქ-

ციული, წამქეზებლური პოლიტიკის გავლენით კონფლიქტი სულ უფრო ღრმავდება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლით აღიარებული არ არის, ხოლო საქართველო აღიარებულია თავის საერთაშორისო საზღვრებში. საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია/ანექსია გრძელდება. ამ ომის შედეგები კვალიფიცირებულია, როგორც ქართველთა ეთნიკური გენოციდი.

5. 2008 წლის ომი

2008 წლის გაზაფხულიდან გაჩნდა ინფორმაცია, რომ რუსეთი ემზადებოდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ანექსიისათვის. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან დაიწყო პროვოკაციული ქმედებები – სროლა, აფეთქებები და ა.შ. სამარაბლოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსი „სამშვიდობების“ მხრიდან. ამავე დროს, ადგილობრივი ოსური მოსახლეობის ნაწილი – ქალები, ბავშვები, მოხუცები – გახიზნულ იქნა რუსეთში. 3-4 აგვისტოს როკის გვირგვინით რუსეთის ტერიტორიიდან შემოვიდა რამდენიმე სამხედრო შენაერთი და მძიმე ტექნიკა, რომლებიც ქართულ დასახლებული პუნქტების სიახლოვეს განლაგდა. 5-6 აგვისტოს გაგრძელდა ქართული სოფლების დაბომბვა. 7 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა რუსეთის რეგულარული (არასამშვიდობო) ჯარები, მძიმე ტექნიკა, ავიაცია. საქართველოს სამთავრობო ძალებმა დაიწყეს შეკავების სამხედრო ოპერაცია. სამხედრო დაპირისპირებამ 5 დღე გასტანა. პარალელურად, შეიარაღებული ბრძოლები გაიმართა კოდორის ხეობაში, რომელიც საქართველოს სამთავრობო ძალებმა 12 აგვისტოს დატოვეს.

2008 წელს რუსული აგრესიის შედეგად დაიღუპა 500-მდე ქართველი, დაჭრილ/დაშავებული 2200-ზე მეტი საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო პირი, 30000-მდე ადგილობრივი ქართული მოსახლეობა დევნილი გახდა. რუსეთი დღემდე განაგრძობს საქართველოს ტერიტორიების მცოცავ ოკუპაციას, ბორდერიზაციას, ხდება მოსაზღვრე ტერიტორიებიდან მოქალაქეების გატაცება, წამება და მკვლელობა. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლით აღიარებული არ არის, ხოლო საქართველო აღიარებულია თავის საერთაშორისო საზღვრებში. საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია/ანექსია გრძელდება.

ამ ომის შედეგები კვალიფიცირებულია როგორც ქართველთა ეთნიკური გენოციდი.

ნ. დღევანდელი მდგომარეობა

რუსეთის აგრესიული საოკუპაციო პოლიტიკის შედეგად, დღეს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ (საგარაუდოდ, მეტი – მცოცავი ოკუპაციის გამო). საქართველოში სულ 300 000 დევნილია. საქართველო იმყოფება რუსეთთან ჰიბრიდული ომის მდგომარეობაში. ჩვენ ყოველდღიურად გვემუქრება საფრთხე რუსეთის მხრიდან, რომლის პოლიტიკური დოქტრინა არ ითვალისწინებს მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემას, პირიქით, მიზნად ისახავს რუსეთის იმპერიის ან სსრკ-ს აღდგენას, რაც არსებითად, ერთი და იგივეა. საქართველო არასდროს შეეგუება არსებულ მდგომარეობას და გამარჯვების მოპოვებამდე იბრძოლებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

Уважаемые граждане России и Беларуси,

Захватническая, поработительная политика России по отношению к Грузии имеет давнюю историю, с особой агрессивностью продолжается по сей день. Ниже приводятся фактические данные о критических моментах взаимоотношений двух стран. Информация взята из открытых источников. Желающие легко смогут убедиться в достоверности приведенных фактов.

Приезжая в Грузию следует знать:

1. Последствия Георгиевского Трактата

В 1783 г. в Георгиевской крепости, на территории России, был заключен Трактат о переходе Грузии под протекторат России. Грузия отказывалась от самостоятельной внешней политики и только Россия со своей стороны выступала гарантом независимости и целостности Грузии, гарантировала сохранение царствующего дома Багратионов и полную внутреннюю самостоятельность. На деле, Россия нарушила все взятые обязательства, ликвидировала царствующий дом Багратионов, ограничила, а затем лишила автокефалии Грузинскую апостольскую церковь, ввела русский язык в качестве государственного и, наконец, аннексировав всю исторически сложившуюся территорию Грузии, включила в состав Российской империи в виде Тбилисской и Кутаисской губерний. Народ Грузии никогда не мирился с этим положением, однако Россия прибегла к кровавому террору и жесточайше подавила многочисленные восстания и сопротивление грузинского народа.

2. Аннексия независимой Грузинской Демократической Республики в 1921г.

Независимая Грузинская Демократическая Республика была провозглашена 26 мая 1918г., и признана европейскими государствами субъектом Международного права. В 1920г. был заключен мирный договор между РСФСР и Грузинской Демократической Республикой. Нарушив собственный мирный договор, а также все нормы Международного права, 15 февраля 1921г. Красная Армия вторглась в Грузию с захватнической целью. Несмотря на самоотверженное сопротивление грузинской республиканской армии и отрядов народного ополчения, в ходе кровавой

военной агрессии русская армия захватила Тбилиси, свергла избранную путем всеобщих и свободных выборов власть. 17 марта военная компания завершилась. В ходе кровавой военной интервенции большевистское правительство России осуществило аннексию независимой Грузинской Демократической Республики. Следует отметить, что акт о капитуляции подписан не был, таким образом, Грузия осталась в состоянии войны с Россией. В дальнейшем имели место жестокие массовые репрессии, террор, ссылки и расстрелы инакомыслящих.

3. События 9 апреля 1989г.

В конце 80-тых горбачевские Гласность и Перестройка создали иллюзию демократизации СССР. В Грузии начались массовые антисоветские выступления с требованием самоопределения. Масштабный протест начался 4 апреля 1989г. Трагические события последовали в 4 ч. ночи 9 апреля — силами внутренних войск МВД СССР и Советской армии была осуществлена т.н. „специальная операция“ по разгону мирного оппозиционного митинга у Дома правительства Грузинской ССР в Тбилиси, в ходе которой были использованы танки, сапёрные лопатки и отравляющие вещества массового поражения. Погибли: 17 женщин, в том числе — 2 школьницы, 4 мужчин, более 4000 получило различные травмы, химическое отравление — до 2000 человек. Карательной акцией руководили генералы Константин Кочетов и Игорь Родионов. Правительство СССР оправдало это массовое убийство мирных митингующих.

4. Вооруженные конфликты и война в Абхазии 1992-1993 гг.

В 90-ых годах 20 века проявились факты вмешательства спецслужб России во внутренние дела независимой Грузии. В цхинвальском районе Шида Картли произошли вооруженные столкновения с отрядами осетинских сепаратистов. Были жертвы. Затем, в 1992-1993 гг. на территории Грузии, в регионе Абхазии политическое противостояние между государственной властью Грузии и абхазскими сепаратистами, подстрекаемыми русскими политиками, переросло в вооруженный конфликт, в котором правительственным войскам Грузии противостояли абхазские сепаратисты, русские военные подразделения, казачьи отряды, вооруженные группы армян и пр. Конфликт длился 13 месяцев. Около

300 тысяч гражданских грузин стали беженцами, более 10 тысяч погибло или пропало без вести. Имели место массовые пытки, расстрелы, варварское насилие (факты документально подтверждены). События квалифицированы как геноцид грузинского народа по этническому признаку. Репрессии оставшегося грузинского населения продолжают по сей день. Международное право не признает Абхазию в качестве независимого государства, оно остается частью Грузии.

5. Война 2008г.

С первых чисел августа 2008г. на исконно грузинской территории Шида Картли/Самачабло (Цхинвальский административный район Грузии), начались провокационные действия со стороны русских т.н. „миротворческих сил“ – бомбёжка, стрельба, поджоги и пр. При этом, этнические осетины – дети, женщины и старики – были эвакуированы в Россию. 3-4 августа через Рокский тоннель на грузинскую территорию вошли регулярные части русской армии, а так же танки, другая военная техника, появилась авиация. 5-6 августа бомбёжка продолжалась. 7 августа грузинские правительственные военные части приступили к операции сдерживания. Бои продолжались 5 дней. В то же время шли бои в ущелье Кодори, который грузинские правительственные военные части оставили 12-го августа. Были разгромлены города и села, погибло до 500 грузин, ранены более 2000, подверглись насильственному перемещению – около 30000. Имели место массовые пытки, расстрелы, варварское насилие (факты документально подтверждены). Вмешательство международных сил, правительств Польши, Франции, Балтийских государств, вынудило Россию прекратить военные действия. Однако русские военные части аннексировали территорию. По сей день продолжают террор, насилие, убийства, ползучая бордеризация, репрессия оставшегося грузинского населения. События квалифицированы как геноцид грузинского народа по этническому признаку. Международное право не признает Южную Осетию в качестве независимого государства, как и Абхазия, оно является частью Грузии.

6. Ситуация на сегодняшний день

В результате агрессивной оккупационной политики, Россией оккупированы более 20% территории Грузии. Всего насильственно перемещенных лиц грузинской национальности – более 300 000. Грузия находится в состоянии гибридной войны с Россией. Нам ежедневно угрожает опасность военного вторжения со стороны России, чья военная доктрина не признает уважения сопредельных независимых государств, вообще норм Международного права, напротив, имеет целью насильственный захват и аннексию соседних стран и возрождение Российской империи или СССР, что, по сути – одно и то же. Несмотря на кровавые расправы, Грузия никогда не признает аннексию захваченных территорий и до победного конца будет отстаивать свою целостность и независимость.

ISBN 978-0041-8-5784-3



9 789941 857843 >